პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩემი გრანუ ... (?)

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ-ფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 21 მარტი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 63 (2409)

დ ღ ი უ რ ი

- ალუენში (საფრანგეთი) შეტაკება მოხდა გაფიცულებსა და პოლიციას შორის.
- ფინ-იუი-სიანის გადადგომა სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან.
- ტერორი სირიაში.— ფრანგებმა სამხედრო დემონსტრაცია მოაწყვეს მოსახლეობის დასაშინებლად.
- სიმშილობა ლატვიაში.— ერთ ოლქში დამშეულია მოსახლეობის 70 პროც.
- პოლონეთის ჯარების საიდუმლო მობილიზაცია ლიტვის საზღვარზე.
- მეამბოხეთა მოქმედება ჩინეთში.— ანტი-იაპონური ბოიკოტის გაძლიერება.

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 21 მარტს, დილის 11 საათზე სასახლის წითელ დარბაზში

პრაქტიკულ მუშაობისაკენ

(შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის)

შრომის დისციპლინის განმტკიცება ერთ-ერთ მორიგ ცენტრალურ სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს. ამას მოწმობს მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ოთხი თვის შედეგები. ირკვევა, რომ აღნიშნული დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად შენელდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. ზოგიერთ საწარმოო ერთეულში კი ის შესამჩნევადაც დაეცა. თავისთავად ცხადია, ასეთი არანორმალური გარემოება პარტიის და ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარება, მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი მრეწველობის საერთო წინსვლასთან, სოციალისტური მეურნეობის პროდუქციის რაოდენობითი და ხარისხობრივ ზრდასთან. მიმდინარე წლის განმავლობაში პარტიის დირექტივით ჩვენს სამეურნეო ორგანოებს ამ მხრივ განსაზღვრული მოვალეობა ეკისრება: ჩვენმა მრეწველობამ თავისი პროდუქცია უნდა გაადიდოს 20 პროცენტით და ამავე დროს, თვითღირებულება შეამციროს 7 პროცენტით. თუ მდგომარეობა შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ რადიკალურად არ შეიცვალა, თუ ჩვენ ისეთივე ტემპით წავალთ წინ ამ დარგში, როგორც ამას სამეურნეო წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ჰქონდა ადგილი, ცხადია, პარტიის ზემოხსენებულ დიდმნიშვნელოვან დირექტივის წარმატებით შესრულება შეუძლებელი იქნება.

არსებობს შრომის ნაყოფიერების ზრდის რამდენიმე ძირითადი პირობა. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია მრეწველობის ტექნიკურ რეკონსტრუქციას, საწარმოო ერთეულთა რიცხვობრივად გადიდებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრეწველობის მოწყობილობათა განახლება-გაუმჯობესებას. ამ მხრივ ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. ამავე დროს დიდი მუშაობაა ჩატარებული ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგების დარგში. საბჭოთა ხელისუფლების დროს მრავალი ახალი საწარმოო ერთეული შეემატა ჩვენს მრეწველობას. ამრიგად, არ შეიძლება შრომის ნაყოფიერების ზრდის მოდუნების მიზეზი ვეძიოთ მრეწველობის ტექნიკურ მოუწყობლობაში, ან მრეწველობის მშენებლობის ტემპის შენელებაში. პირიქით, შრომის ნაყოფიერების შეუჩერებელ ზრდას უკანასკნელი წლების განმავლობაში საფუძვლად ედო ჩვენი მრეწველობის ასეთივე შეუჩერებელი წინსვლა. ამ მხრივ მდგომარეობა არა თუ არ გაუარესებულა, არამედ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

სულ სხვა სურათია შრომის დისციპლინის დაცვის დარგში. შემჩნეულია, რომ მთელ რიგ წარმოებაში შრომის დისციპლინა საგრძნობლად დაეცა. სამუშაოზე გამოუცხადებლობა, მუშაობის ვადაზე ადრე მიტოვება, ავადმყოფობის სიმულიაცია, ლოთობა და სხვა, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა მრავალ ფაბრიკა-ქარხანაში. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ადმინისტრატიული პერსონალი ჩვენს წარმოებებში ხშირად ვერ სდგას მოწოდების სიმაღლეზე. ადმინისტრაცია გაურბის პასუხისმგებლობას, ის არ იყენებს სრულად იმ უფლებებს, რომელნიც მას მინიჭებული აქვს საერთო დებულების თანახმად ამა თუ იმ შემთხვევაში.

მეორე მხრივ ვერც პროფესიონალური ორგანიზაციები იჩენენ საჭირო აქტივობას შრომის დისციპლინის განმტკიცების დარგში. ადმინისტრატიულ და პროფესიონალურ ფუნქციათა აღრევა, პირდაპირ ჩარევა წარმოების ოპერატიულ მუშაობაში, უმოქმედობა მასების დაინტერესების მხრივ შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებით და სხ. არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა პროფესიონალური ორგანიზაციების ცხოვრებაში. ყოველივე ეს აფერხებს წარმოების ნორმალურ მუშაობას და ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ მუშაობის მოწესრიგებასაც. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ მუშაობისათვის შესაფერი პირობებია გამომუშავებული სათანადო ორგანოების მიერ, ძალიან ხშირად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უფრო მეტად თავიანთი მუშაობის უგეგმოდ წარმოების გამო, არღვევენ ამ პირობებს და ამით ართულებენ მუშახელის რაციონალურად გამოყენების საქმეს.

ამრიგად, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მრეწველობის პროდუქციის შემდგომი ხარისხობრივად გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხს. თუ რამდენად საჭირბოროტოა ეს საკითხი, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საკავშირო სახკომსაბჭომ სპეციალური დადგენილება გამოიტანა შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ამ დადგენილებამ უკვე ჰპოვა გამოხმაურება მასებში. საჭიროა შრომის დისციპლინის საკითხების უფრო მეტი პოპულიარიზაცია, საჭიროა სათანადო საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ დაძლეულ იქნას ამ დარგში არსებული დაბრკოლებანი. მაგრამ ჩვენ მარტო ამით ვერ დავკმაყოფილდებით. ზეპირ პროპაგანდას უთუოდ თან უნდა ახლდეს პროპაგანდა საქმითაც. აქედანვე უნდა მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის არ განისაზღვროს მარტო საგაზეთო წერილებით, დადგენილებებით და ცირკულიარებით. ამ მიზნით თვითეულ წარმოების პარტიულ ორგანიზაციის, ადმინისტრატიულ პერსონალის და პროფკავშირის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს — დასვან საკითხი იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა მათ წარმოებაში მთავრობის დადგენილების განსახორციელებლად შრომის დისციპლინის განმტკიცების დარგში, და რა ღონისძიებებია საჭირო პროდუქციის რაოდენობითი და ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის. ყოველი წარმოების პარტუჯრედი, ადმინისტრაცია და ფაბქარხკომი სისტემატიურად უნდა ამოწმებდნენ—ტარდება თუ არა ცხოვრებაში მათ მიერ შემუშავებული ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განმტკიცების დარგში, რა ეღობება წინ ამ ღონისძიებათა განხორციელებას და სხვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში, მხოლოდ საკითხის არა მარტო პროპაგანდისტული, არამედ პრაქტიკული გადაწყვეტის გზით შევსძლებთ ჩვენ პარტიისა და მთავრობის ამ დიდი მნიშვნელობის მორიგი დირექტივის წარმატებით შესრულებას.

კონფერენციების დადგენილებანი პარტიულ მასებში

პარტიული კონფერენციების პერიოდი, რომელიც ეხლახან დამთავრდა, წარმოადგენდა პარტიის ხაზისა და პოლიტიკის უდიდეს გამოცდას, შემოწმებას, დადასტურებას და ლენინურ ცეკას ირგვლივ მთელი პარტიის ერთსულოვნად დარაზმვის ახალ ეტაპს. ყველა ამ პარტკონფერენციის დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს ის, რომ კონფერენციები მშენებლობის ძირითადი პრაქტიკული საკითხების განხილვას უკავშირებდნენ იმ შეურიგებელ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს პარტიაში ლენინური პრინციპების სიწმინდის დასაცავად და ამ საფუძველზე პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად ლენინური ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ წარსული წლის შემოდგომაზე პარტიამ, რომელიც დაყენებულ იქნა მემარჯვენე-ოპორტუნისტული გადახრის ფაქტის წინაშე, თავის ცალკე ორგანიზაციებში გაშალა ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და მთავარი ყურადღება მიაქცია იდეოლოგიურ ბრძოლას და მემარჯვენე გადახრას ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მოთხოვნების და ტენდენციების გამომჟღავნებას, მაგრამ მემარჯვენე გადახრამ განავითარა ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ და მისი ტენდენციები და პირველ ხანებში ბუნდოვანი მოთხოვნები ჩამოყალიბდნენ საკმაოდ აშკარა ლიკვიდატორულ პლატფორმად; მისი ბრძოლის იარაღად გადაიქცა ცილისწამება პარტიის წინააღმდეგ და ფრაქციონობა. განსაკუთრებით სახიფათო გახდა მემარჯვენე უკლონისტების გალაშქრება ბოლშევიზმის საორგანიზაციო პრინციპების წინააღმდეგ.

ამ პირობების გამო, ეხლახან ჩატარებულმა პარტკონფერენციებმა, კერძოდ, მოსკოვის და ლენინგრადის პარტკონფერენციებმა, მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საკითხი დასვეს უფრო ფართოდ, უფრო მკაფიოდ და მკვეთრად. მოსკოვისა და ლენინგრადის პარტკონფერენციებმა, გაითვალისწინეს რა ის გარემოება, რომ არსებობს მემარჯვენე უკლონისტების ცოტად თუ ბევრად ჩამოყალიბებული სისტემა, არსებობს ჩანასახი მათი ფრაქციული მუშაობისა პარტიის მთლიანობისა და დისციპლინის შესარყევად, — ამ კონფერენციებმა მკაცრად გააკრიტიკეს მემარჯვენე უკლონისტები, მოუხედავად პირობებისა, და გადაჭრით მოსთხოვეს მათ ყოველგვარი პირობის გარეშე და დაუყოვნებლივ დაემორჩილონ პარტიას. პარტიული კონფერენციების გადაწყვეტილებათა დამუშავება ფართო პარტიული მასების მიერ უნდა სწარმოებდეს სწორედ ამ მიმართულებით, რათა ხსენებულმა მასებმა ნათლად შეიგნონ, რომ საჭიროა ბრძოლა პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და მთელი პარტიის დასარაზმავად ცეკას ირგვლივ.

მემარჯვენე გადახრის ძირითად შინაარს შეადგენს დამახინჯება და რევიზია ლენინის პრინციპებისა, მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხში და ბოლშევიზმის საორგანიზაციო პრინციპების დარღვევა. პარტიის პოლიტიკას ისინი აცხადებენ „გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის" პოლიტიკად. ამ გამოგონილ ფეოდალურ ექსპლოატაციასთან ბრძოლის დროშით მემარჯვენე უკლონისტები იბრძვიან ინდუსტრიალიზაციის ტემპის შემცირებისათვის, იმისათვის, რომ მთავარ ელემენტებად სოფლის მეურნეობის განვითარებაში ცნობილ იქნას მისი ინდივიდუალური სექტორის განვითარება. როცა მემარჯვენე უკლონისტები წინააღმდეგობას უწევენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის კურსს, სცდილობენ მიჩქმალონ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად, როცა მათ სოფლის ზედაფენებისათვის პერმანენტული დათმობების გზით სურთ მიაღწიონ სრულ კლასობრივ მშვიდობიანობას სოფლად, —ამით ისინი კვლავ აყენებენ პარტიის მიერ გადაჭრით დაგმობილ ანტილენინურ იდეებს იმის შესახებ, რომ კულაკი მშვიდობიანად უნდა შეეზარდოს სოციალიზმს და დაუბრკოლებლად უნდა აღორძინდეს სოფლის ზედაფენა, რომელიც მდიდრდება. ფრუმკინი პირდაპირ და აშკარად იცავდა გამდიდრებული კულაკის შეუფერხებელ განვითარებას და აცხადებდა, რომ „ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ კულაკურ მეურნეობათა წარმოებას"-ო. სხვა უკლონისტებმა წამოაყენეს სოციალიზმთან კულაკის მშვიდობიანად შეზრდის თეორია, ისინი ჩქმალავენ გლეხობასთან კავშირის ეხლანდელი ეტაპის თავისებურებას, რისთვისაც ამახინჯებენ ლენინიზმს და სცდილობენ მისი ცალკე წერილებიდან გამოიყვანონ ის დასკვნა, თითქოს ლენინი თავის მთავარ თხზულებებში გვერდს უხვევს კულაკის საკითხს, სცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ჩვენ ამოცანას ეხლა და შემდგომ პერიოდში შეადგენს კავშირის განმტკიცება მთელ გლეხობასთან, როგორც ეს მოხდა ოქტომბრის რევოლიუციის წინ, როცა პროლეტარული რევოლიუციისა და გლეხთა ბრძოლის ერთმანეთთან დაკავშირებამ გამარჯვება მოგვანიჭა. როცა მემარჯვენე უკლონისტები ილაშქრებენ სოციალისტური შეტევის პოლიტიკის წინააღმდეგ, აყენებენ სოციალიზმთან კულაკის მშვიდობიანად შეზრდის თეორიას, ამით ისინი ააშკარავებენ თავიანთ წვრილბურჟუაზიულ ბუნებას, რადგან, როგორც თავის დროზე „მემარცხენე კომუნისტები", ისინიც ეხლა „თავიანთ წვრილბურჟუაზიულობას ააშკარავებენ სწორედ იმით, რომ ვერ ხედავენ წვრილბურჟუაზიულ სტიქიას, როგორც სოციალიზმის მთავარ მტერს ჩვენში" (ლენინი).

ბრძოლა პარტიის მთლიანობისა და დისციპლინის წინააღმდეგ გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ მემარჯვენე უკლონისტები სცდილობენ შექმნან პარტიის შეურიგებელი ლენინური პოლიტიკით „უკმაყოფილოთა და ნაწყენთა" ფრაქციული ბლოკი, არამედ იმაშიაც, რომ მათ პირდაპირ უარი სთქვეს პარტიის მიერ დაკისრებულ მუშაობაზე და საბოტაჟი გამოაცხადეს. ყოველისავე ამას ერთვის მემარჯვენეთა ცდა—სახელი გაუტეხონ პარტიის ხელმძღვანელობას, პრინციპებისათვის ბრძოლა დაუკავშირონ წვრილმან საორგანიზაციო კომბინაციებს და ცალკე მუშაკების პირად თვისებებს.

პარტკონფერენციებზე გამჟღავნდა ის ამხანაგები, რომლებიც დაადგნენ პარტიის შერყევის სახიფათო გზას და მოადუნეს მათ ის მოვალეობანი, რომლებსაც ბოლშევიკური პარტიის დისციპლინა აკისრებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბოლშევიზმის საორგანიზაციო პრინციპების საკითხში სრულებითაც არ არის საკმაო ლოიალობის, თუნდაც სრული ლოიალობის მოთხოვნა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მიმართ. საჭიროა აგრეთვე თვით ხელმძღვანელობის შინაგანი დარაზმულობა და უმკაცრესი დისციპლინა. დისციპლინის დარღვევას პარტიის ხელმძღვანელი მუშაკის მიერ, ლენინი სთვლიდა რევოლიუციის აშკარა საბოტაჟად. „ნამდვილად,—ამბობდა იგი,—ეს არის რევოლიუციის საბოტაჟის ერთ-ერთი სახეობა: გადადგომის მუქარა გადამჭრელ მომენტში. აქ საქმე ლოიალობაში არ არის, საქმე იმაშია, რომ შეუძლებელია გამარჯვება რევოლიუციაში, თუ ხელმძღვანელების მუშაობას ყოველ მძიმე მომენტში დააბრკოლებს მერყეობა და გადადგომა „თავისიანებს" შორის, მაღალ თანამდებობაზე მყოფთა შორის, „ბელადებს" შორის" (თხზულებათა კრებული, ტომი 17, გვ. 876).

ეხლა მეტად რთული და მძიმე მდგომარეობაა. ჩვენი გლეხური ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქცია დაკავშირებულია თავისებურ სიძნელეებთან და ზრდის დაბრკოლებებთან. ამიტომ პარტიის ყოველ წევრს უნდა ახსოვდეს, რომ მერყეობას და „გადადგომას" მეტად მკაცრი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ, სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელობისათვის სახელის გატეხვის (ჭორებს, ბრძოლის პრინციპიალური რაობის მიფუჩეჩებას ამხანაგების პირად თვისებათა დემაგოგიური სპეკულიაციის საშუალებით. პარტია სავსებით ენდობა თავის ლენინურ ხელმძღვანელობას, იგი ერთსულოვნად არის დარაზმული მისი ხაზის ირგვლივ და ყოველგვარ გალაშქრებას პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სავსებით აღკვეთავს. დავას გადასწყვეტს ხაზი და არა ამა თუ იმ ხელმძღვანელის პირადი თვისება. ის, ვისაც ეს ვერ შეუგნია, მას სამარცხვინო დამარცხება მოელის. გადამჭრელ ბრძოლას პარტიის პრინციპიალური ხაზისათვის, მთავარი ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენი მშენებლობის ყოველ საკითხში. პარტკონფერენციების პრაქტიკული გადაწყვეტილებანი (სამრეწველო მშენებლობის გეგმების, სოფლის მეურნეობის განვითარების, შრომის დისციპლინის ამაღლების საკითხები, მუშათა ახალ კადრებთან მუშაობის, პროფკავშირების მუშაობის ხელმძღვანელობის და სხვა საკითხები) შესწავლილ უნდა იქნან კონფერენციის პრინციპიალური გეზის, პარტიული ხაზისათვის ბრძოლის თვალსაზრისით, მემარჯვენე უკლონისტ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ შეტევის თვალსაზრისით. პარტკონფერენციების გადაწყვეტილებათა დამუშავების დროს ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სავსებით უნდა აღმოფხვრან ტროცკიზმის კონტრ-რევოლიუციონური ნამსხვრევები. ყოვლად დაუშვებელია რაიმე შემარიგებლობა, რაიმე შეწყნარება ტროცკისტული [illegible] მის ყოველგვარ სახეობას.

მემარჯვენე გადახრის ფესვები ჩვენი ქვეყნის წვრილბურჟუაზიულ სტიქიაში იმალება, ხოლო პროლეტარიატის ახალი კადრების მუდმივი ინტენსიური შევსება გლეხთა მასებიდან მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებში ნოყიერ ნიადაგს ჰქმნის წვრილ-ბურჟუაზიული მერყეობისათვის. რადგან მემარჯვენე გადახრას ასეთი ობიექტიური ფესვები აქვს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პარტიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ნამდვილად მიიღოს მონაწილეობა მემარჯვენე გადახრის მხილებასა და დაძლევაში. მხოლოდ პარტიის ფართო მასების მონაწილეობით შეიძლება ყველაზე უფრო უმტკივნეულოდ დაძლევა მემარჯვენე გადახრისა. პარტკონფერენციების გადაწყვეტილებათა დამუშავება დიდ ნაბიჯს უნდა შეადგენდეს ამ ამოცანის ირგვლივ პარტიული მასების მობილიზაციის საქმეში.

დღემდე მემარჯვენე უკლონისტებს არ ემხრობა არა თუ არც ერთი პარტიული ორგანიზაცია, არამედ არც ერთი ქვედა უჯრედი პარტიაში. მოსკოვისა და ლენინგრადის პარტკონფერენციებზე აღნიშნეს, რომ როცა წითელი პროფესურის ინსტიტუტის უჯრედის კრებაზე გამოვიდნენ მემარჯვენეები და სიტყვები წარმოსთქვეს ცალკე ამხანაგებმა, შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამ უჯრედში გაბატონებულია მემარჯვენე სულისკვეთებაო. ნამდვილად კი წითელი პროფესურის ინსტიტუტის უჯრედში მემარჯვენე ელემენტები თითებზე ჩამოითვლება, ხოლო უჯრედი მთლიანად ენერგიულ მუშაობას აწარმოებს პარტიული ხაზისათვის ბრძოლაში. მაგრამ მემარჯვენე უკლონისტების ეხლანდელმა მცირერიცხოვანებამ არ უნდა გამოიწვიოს დემობილიზაციური განწყობილება, რადგან მემარჯვენე გადახრის ობიექტიური ფესვები მეტად სერიოზულია და სამეურნეო სიძნელეთა გამწვავების პერიოდში მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის გართულების დროს მისი ლიკვიდატორული დროშის ქვეშ შეიძლება დადგნენ პარტიულად მერყევი და არა მტკიცე ელემენტების განსაზღვრული ჯგუფები.

ყოველივე ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და პარტკონფერენციების გადაწყვეტილებათა დამუშავება პარტკრებებზე გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მთელი პარტია უფრო მეტად დაირაზმოს ლენინური ცეკას და მისი ხაზის ირგვლივ.

„პრავდა", 20 მარტი.

ექსპერტებმა მიაღწიეს შეთანხმებას „ზებანკის" დაარსების საკითხში

კონსერვატიული „დეილი ექსპრეს" საჭიროდ სთვლის ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებას

შეიარაღებული ბრძოლა გენერლების სხვა და სხვა ჯგუფებს შორის ჩინეთში

შეთანხმების მიღწევა ექსპერტთა კონფერენციაზე

პარიზი, 19 მარტი. რეპარაციების გადამსინჯავ ექსპერტთა კომისიაში მიღწეულ იქნა თითქმის სრული შეთანხმება საერთაშორისო ანგარიშების ბანკის დაარსების საკითხში. პარიზის გაზეთების ცნობების თანახმად, ბანკის ძირითადი კაპიტალი შედარებით მცირე იქნება და შეადგენს „სულ მხოლოდ" 100 მილიონ დოლარს. ბანკი დაკავშირებული იქნება ცალკე ქვეყნების საემისიო ბანკებთან და მის მოწყობაში მონაწილეობას მიიღებენ უდიდესი კერძო ბანკები. ბანკი მოაწესრიგებს რეპარაციების გადასახადს ნატურით, მაგრამ ამ გადასახადის რაოდენობა თანდათან შემცირდება და მის ნაცვლად გაიზრდება ფულადი გადასახადის რაოდენობა. ეს შეთანხმება, ალბად, მიღწეულია ჩერჩილთან მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც კვირას ჩამოვიდა პარიზში. (ადს).

„დეილი ექსპრეს" ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 19 მარტი. ზომიერი კონსერვატიული გაზეთი „დეილი ექსპრეს"-ი ეხება საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხს და სწერს:

„ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დიდ შესაძლებლობას ხედავს საბჭოთა კავშირში. თუ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა იცნობს საბჭოთა კავშირს, ამ ცნობას შედეგად მოჰყვება ამ ორი ქვეყნის შორის ვაჭრობის დიდი განვითარება. თუ ინგლისი განაგრძობს თავის ეხლანდელ პოლიტიკას, ინგლისის ზარალით ისარგებლოს ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები. ბოლდუინის მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები იმ პოლიტიკის გადასაშინჯავად, რომელმაც ინგლისი ჩიხში მოაქცია".

ჩინელ გენერლების ბრძოლა

ენ-ჩის ჯარმა დაამარცხა ლიუ ტი-პინის ჯარი

პეიპინი, 19 მარტი. იაპონური სააგენტო ნიპონ დემპო ამტკიცებს, რომ ხანკოუში სწარმოებს მზადება სამხედრო მოქმედებისათვის. გრძელდება ახალგაზრდა ჯარისკაცთა გაწვევა. თვალსაჩინოთ გაფართოვდა წარმოება ხანიანის არსენალში. ენ-ჩის ჯგუფის ჯარმა დაამარცხა ლიუ ტი-პინის (ჩან კაი-შის მომხრე, რომელიც გუანსის ჯგუფმა გადააყენა ხუნანის გუბერნატორის თანამდებობიდან) ჯარი ვანცაის რაიონში, ძიანსის პროვინციაში (ხუნანის და ძიანსის საზღვრის მახლობლად). (ადს).

ამერიკული გაზეთები სამხრეთ-ჩინეთის შესახებ

პეიპინი, 19 მარტი ამერიკული ორგანო „პეკინ ლიდერ"-ი ეხება იმ ცნობას, რომ ჩინეთის სამხრეთ ნაწილში მზადდება სამხედრო მოქმედება. გაზეთი აცხადებს:

„ერთიანული მთავრობის ბელადებმა ეხლა უნდა გვიჩვენონ — შესძლებენ თუ არა შესრულონ ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მათ ჩინეთის მთლიანობის უზრუნველყოფის ერთად-ერთი შესაძლებლობის დაცვისათვის". (ადს).

იაპონიის ჯარი დაირენში

ხარბინი, 19 მარტი. დაირენში დაგროვდა იაპონიის დიდძალი ჯარი. ჯარის ნაწილი კერძო ბინებში მოათავსეს. (ადს).

ჩრდილო-აღმოსავლეთის ანტი-იაპონური საზოგადოების დაარსება

ხარბინი, 19 მარტი. ნანკინის ანტი-იაპონური საზოგადოების ინიციატივით მუკდენში დაარსდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ანტი-იაპონური საზოგადოება. (ადს).

აჯანყებულთა რაზმების მოქმედება

შანხაი, 19 მარტი. ტაჰუნის სააგენტოს ცნობით, აჯანყებულთა რაზმებმა, ჩუდი მაო ძე-ტუნის წინამძღოლობით, ძიანსის საზღვარი გადალახეს და ფუძიანის პროვინციაში შეიჭრნენ. ამჟამად რაზმები იმყოფებიან სამხრეთ ფუძიანში, გუანდუნის საზღვრებთან. ნანკინის მთავრობა დამსჯელ ექსპედიციას გზავნის ამ რაზმების წინააღმდეგ. (ადს).

იაპონელი ვაჭრების მუქარა

შანხაი, 19 მარტი. იაპონელმა მეზღვაურებმა ხანკოუში მძიმედ დასჭრეს ანტი-იაპონური საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე ლი იაუ-ენი. საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებულმა პროტესტი განუცხადა იაპონიის კონსულს.

როგორც ტოხოს სააგენტო იუწყება, იაპონელმა ვაჭრებმა ხანკოუში გადასწყვიტეს — ბოიკოტის მიუხედავად, გაიტანონ ისეთი საქონელი, რომლის გაფუჭებაც მოსალოდნელია. საქონლის დატვირთვა გემებზე ხდება იაპონიის საზღვაო ძალების დახმარებით. ტოხო იუწყება, რომ თუ ჩინელებმა ხელი შეუშალეს ექსპორტს და დაემუქრნენ მტვირთავებს, იაპონიის ფლოტი „საჭირო ზომებს მიიღებს". (ადს).

ნანკინის მთავრობა ემზადება განიარაღების კონფერენციისათვის

შანხაი, 19 მარტი. ნანკინის მთავრობამ დაადგინა—მონაწილეობა მიიღოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მომავალ სესიაში. (ადს).

ჩანძო-პინისა და ჩან-კაი-შის გამოსვლა გომინდანის ყრილობაზე

შანხაი, 19 მარტი. გომინდანის ყრილობაზე ჩინეთის ელჩმა ბერლინში ჩან ძო-პინმა წინადადება შეიტანა,—გამოარკვიოს გომინდანმა თავისი დამოკიდებულება ერთა ლიგასადმი. ჩან ძო-პინმა განაცხადა: თუ ნანკინის მთავრობის აზრით, ერთა ლიგა მიზნად არ ისახავს სამართლიანობის პრინციპის დაცვას, თუ იგი დიდი სახელმწიფოების ხელში წარმოადგენს მხოლოდ იარაღს პატარა და სუსტ ერებთან საბრძოლველად, მაშინ ლიგიდან გამოსვლას აღარ უნდა მოვერიდოთ.

ჩან კაი-ში გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით გომინდანის ცკას სახელით. უცხოეთის კორესპონდენტებს სხდომაზე დასწრების ნება არ მისცეს. ტრიბუნას, რომელზედაც მომხსენებელი გამოვიდა, შეიარაღებული ჯარისკაცები იცავდნენ. შენობის კარებთან და მთელ მახლობელი რაიონის ირგვლივ შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ. (ადს).

ფინ იუ-სიანის გადადგომა

ლონდონი, 19 მარტი. „დეილი ჰეროლდ"-ი ეხება ცნობას ფინ იუ-სიანის გადადგომის შესახებ სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან და სწერს:

„ყველაფერი მოწმობს, რომ ჩინეთი სდგას ახალი სამოქალაქო ომის წინაშე". (ადს).

დახვრეტილი სტუდენტების გვამების დაკრძალვა

პეიპინი, 19 მარტი. მოხდა დაკრძალვა იმ სტუდენტთა გვამებისა, რომლებიც 1926 წლის მარტში დახვრიტეს დროებითი მმართველის დუან ცი-ჟუის პირადმა მცველებმა (დუან-ცი-ჟუი ცნობილი რეაქციონერია, იაპონოფილური ჯგუფის ლიდერი, რომლის ბრძანებითაც სამი წლის წინად სროლა აუტეხეს სტუდენტთა დემონსტრაციას). დაკრძალვაში, რომელმაც დიდი დემონსტრაციის ხასიათი მიიღო, მონაწილეობა მიიღეს პეკინის სტუდენტობამ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. (ადს).

ნანკინის მთავრობის წინადადების წინააღმდეგ

პეკინი, 19 მარტი. მუკდენის პრესის ცნობით, ნანკინის მთავრობამ წინადადება მისცა ჯან სიუე-ლიანს—შემცირონ მუკდენის არსენალის მუშაობა: ჯან სიუე-ლიანმა ამაზე უპასუხა, რომ წარმოების შემცირება არ არის სასურველი. ამავე დროს მან მუკდენის არსენალს იარაღის წარმოების საქმეში ახალი ამოცანები დააკისრა. (ადს).

პოლონეთის ჯარების საიდუმლო მობილიზაცია

კოვნო, 19 მარტი. ოფიციოზის „ლეტუვოს აიდას"-ის ცნობით, უკანასკნელი კვირების განმავლობაში პოლონეთის სამხედრო ხელისუფლების ორგანოები ვილნოს რაიონში, აგრეთვე პოლონეთ-გერმანიის მოსაზღვრე ადგილებში სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაციას ახდენენ. სწარმოებდა აგრეთვე შემოწმება ([illegible] ვილნოს, გროდნოსა და სუვალკის მაზრებში. ამ ზომებს, გაზეთის სიტყვით, მეტად საიდუმლოდ ატარებენ. (ადს).

მენშევიკები და პოლიცია მუშების წინააღმდეგ

პარიზი, 19 მარტი. კომპარტიის პარიზის ორგანიზაციამ პარიზის მახლობლად მდებარე სამრეწველო ქალაქში ისიში დანიშნა მასიური კრება. კრებაზე უნდა გამოსულიყო კაშენი. ისის მერმა სოციალისტმა უდენმა კომპარტიის ორგანიზაციას კრებისათვის არ დაუთმო მერიის დარბაზი და დახმარებლად გამოიწვია პოლიცია.

„ლიუმანიტე"-ს ცნობით, მუნიციპალიტეტის ახლო-მახლო ქუჩები შეკრული იყო ქვეითა და ცხენოსანი პოლიციელების მიერ. სტიქიური საპროტესტო დემონსტრაცია პოლიციამ გარეკა. (ადს).

აჯანყება მექსიკაში

მთავრობის ჯარმა დაიბრუნა ქალაქი ტორეონი

ლონდონი, 19 მარტი. მექსიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ მთავრობის ჯარმა დაიბრუნა ქალაქი ტორეონი. (ადს).

სიმშილობა ლატვიაში

რიგა, 19 მარტი. გაზეთების ცნობით, ლატგალიაში დამშეულია სოფლის მოსახლეობის 70 პროცენტი. მთავრობა არავითარ ზომას არ იღებს შიმშილობასთან საბრძოლველად. (ადს).

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო კონფერენცია

ბერლინი, 19 მარტი. გერმანიის კომპარტიის ბერლინბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო კონფერენციაზე პიკმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: კომინტერნის მე-6 კონგრესი და პარტიის ამოცანები მიმდინარე პოლიტიკურ მომენტთან დაკავშირებით. პიკმა სასტიკად გააკრიტიკა მემარჯვენეების და შემარიგებლების თვალსაზრისი კომინტერნის გადაწყვეტილებების შესახებ. სოციალ-დემოკრატიამ დაამტკიცა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე გაჰყვეს ბურჟუაზიულ პარტიებს, რასაც მოსდევს აშკარა ფაშისტური დიქტატურა. პარტიის მთავარი ამოცანებია: ბრძოლა ომის საფრთხესთან, საბჭოთა კავშირის დაცვა, წინასწარი პირობების შექმნა ეკონომიური ბრძოლის განსაგრძობად და პარტიის აბსოლუტური შინაგანი მთლიანობის უზრუნველსაყოფად და მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის სრული ლიკვიდაცია.

ომის საფრთხის შესახებ მოხსენება გააკეთა ზნელერმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საომარ მზადებას, რომელიც უმთავრესად მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყველგან მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატები. ომის საკითხში განსაკუთრებით საჭიროა დაუზოგველი ბრძოლა ყოველგვარ მემარჯვენე და შემარიგებელ გადახრასთან.

დისკუსიამ ორივე, მოხსენების გარშემო ჩაიარა ერთსულოვნად და თვითკრიტიკის ნიშნით ქვეშ.

კამათში მონაწილეობა მიიღო გაინც ნეიმანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ის არის საერთაშორისო პოლიტიკის, კლასობრივი ბრძოლის და შინა-პარტიული ცხოვრების არც ერთი საკითხი, რომელშიაც არ არსებობდეს უთანხმოება, ერთის მხრივ, პარტიის უმრავლესობასა და, მეორეს მხრივ, მემარჯვენეებსა და შემარიგებლებს შორის. ამჟამად ვითარდება ორგვარი პროცესი: ხდება სოციალ-დემოკრატიის შეზრდა სახელმწიფო აპარატთან და კომპარტიის შეზრდა ფართო პროლეტარულ მასებთან.

ტელმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეხლანდელ კონფერენციაზე მიღწეულია მთლიანობა კომინტერნის მეექვსე კონგრესის და პროფინტერნის მეოთხე კონგრესის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. შემარიგებლები ობიექტიურად მემარჯვენეების როლს ასრულებენ. გადახრების ნაშთი საბოლოოდ უნდა ამოიფხვრას პარტიის მომავალ ყრილობამდე, პარტიამ უნდა უჩვენოს პროლეტარიატს, რომ რეფორმიზმი წარმოადგენს ნიღაბს ფაშიზმის განვითარებისათვის, ხოლო კომპარტია ნამდვილი მუშათა პარტიაა.

ულბრიხტი გამოვიდა საინფორმაციო მოხსენებით საკავშირო კომპარტიის შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა—გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საკავშირო კომპარტიის ცეკას და საფრანგეთის პარიზის ორგანიზაციის საოლქო კონფერენციას.

კასპერმა მოხსენებაში ეკონომიური ბრძოლისა პროფკავშირებისა და ფაბრიკა-ქარხკომების მდგომარეობის შესახებ აღნიშნა, რომ წარსულში ადგილი ჰქონდა მუშათა არისტოკრატიის ჩამოყალიბების ტენდენციებს, პროფკავშირების არაკვალიფიციური მუშა-წევრებისა და ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მუშების არასაკმაო შეფასებას. ეს ტენდენციები აღმოფხვრილ უნდა იქნას და პარტმუშაობის მთავარ დასაყრდენ პუნქტებად გადაიქცნენ წარმოებები, საქარხნო უჯრედები და მხოლოდ ამის შემდეგ ფრაქციები პროფკავშირებში.

კამათის დროს არავის გაუკრიტიკებია ახალი კურსის პრინციპიალური მხარე, დისკუსია შეეხო მხოლოდ საკითხს მისი კონკრეტული გამოყენების შესახებ.

კონფერენციის რეზოლიუციები მიღებულ იქნა ერთხმად. ერთხმად (ცხრა კაცმა თავი შეიკავა) არჩეულ იქნა ახალი საოლქო კომიტეტი 105 წევრის შემადგენლობით. კომიტეტის ძველი წევრებიდან ახალ შემადგენლობაში არ შესულა 56 კაცი. კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია პარტიის ცეკას ზოგიერთი წევრი ცეკასა და ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით. მთავარი ყურადღება მიექცა იმას, რომ ახალ კომიტეტში სათანადოთ იქნენ წარმოდგენილნი უმნიშვნელოვანესი საწარმოო და მრეწველობის სხვადასხვა დარგები. კონფერენციამ ერთხმად აირჩია 34 დელეგატი პარტყრილობაზე გასაგზავნად.

პიკის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია დამთავრდა ინტერნაციონალის მღერით. კონფერენციას ესწრო 167 დელეგატი.

საფრანგეთის კომპარტიის პარიზის საოლქო კონფერენცია

ამხ. დორიოს განცხადება

პარიზი, 19 მარტი. საფრანგეთის კომპარტიის პარიზის საოლქო კონფერენციაზე გამოვიდა დორიო, რომელმაც განაცხადა:

„თუ მე წინად ვილაშქრებდი კომპარტიის ტაქტიკის წინააღმდეგ არჩევნებში, ეხლა დავრწმუნდი, რომ ჩემი პოზიცია შემცდარი იყო. შეცდომა იყო აგრეთვე სოციალისტების გაყოფა მემარჯვენეებად და მემარცხენეებად, ვინაიდან კომუნისტურ პარტიასთან ბრძოლის პრაქტიკაში სოციალისტები წარმოადგენენ ერთისა და იმავე გახრწნილი სოციალისტური ტანის მარჯვენა და მარცხენა ხელს".

შემდეგ დორიომ აღიარა, რომ უკანასკნელი თვეების მძლავრმა საგაფიცვო მოძრაობამ, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობდა, დაარწმუნა იგი, რომ უსაფუძვლო იყო მისი შიში, თითქოს მასები ვერ გაიგებდნენ საფრანგეთის კომპარტიის ახალ ტაქტიკას და თითქოს ეს პარტიის გავლენას შეასუსტებდა.

დორიომ აღიარა აგრეთვე, რომ მისი წინადადება კომპარტიის, კომკავშირის, ყოფილ ფრონტელთა რევოლიუციონური კავშირის, შრომის უნიტარული კონფედერაციის და მუშათა დამხმარე საერთაშორისო წარმომადგენელთაგან გაერთიანებული სამოქმედო კომიტეტების შექმნის შესახებ სოციალისტური პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე შრომის საყოველთაო (რეფორმისტულ) კონფედერაციასთან მოლაპარაკების გასამართავად—ეწინააღმდეგებოდა კომინტერნის მე-6 კონგრესის ხაზს, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო მასების დაპყრობისაკენ თვით წარმოებებში.

დორიომ განაცხადა, რამდენადაც ყველა ის, ვინც კომინტერნის მეექვსე კონგრესის ხაზს არ ეთანხმება, სცდილობდა გამოეყენებია ჩემსა და ცეკას შორის არსებული უთანხმოება, იმდენად მე საჭიროდ მიმაჩნია ვაღიარო ჩემი შეცდომები და გავემიჯნო მემარჯვენე უკლონისტებს. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ მომენტში, როდესაც საკავშირო კომპარტია (ბ) ებრძვის მემარჯვენე და ტროცკისტულ ელემენტებს და სცდილობს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა დაძლევას, როდესაც საჭიროა დახმარების გაწევა გერმანიის კომპარტიისათვის მის ბრძოლაში მემარჯვენეებთან და ოპორტუნისტებთან.

დორიომ განაცხადა, რომ ამაოა ბურჟუაზიული და სოციალისტური პრესის ცდა ისარგებლოს საფრანგეთის კომპარტიის შიგნით არსებული უთანხმოებით და რომ არავინ არასოდეს მართალი არ არის, როდესაც თავისი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ მიდის. დორიოს ამ განცხადებას დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. (ადს).

ხუცებს სუბსიდიებს უდიდებენ

პარიზი, 19 მარტი. დეპუტატთა პალატაში რელიგიურ კონგრეგაციების საკითხის განხილვის დროს, საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ პოლ ბონკურმა განაცხადა, რომ კომისია ხელმძღვანელობდა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის მოსაზრებებით და უკუაგდო ამ საკითხის საბოტაჟის ყოველგვარი [illegible] კომისიის მომხსენებელმა ერომ აღნიშნა მისიონერების მუშაობა, რომელიც ხორციელდება საერო კანონმდებლობასთან შეთანხმებით. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ეს მუშაობა ხორციელდება აგრეთვე „უმაღლეს კანონთან, ე. ი. საფრანგეთის სიდიადის კანონთან" შეთანხმებით. შემდეგ სთქვა:

„რელიგიური მისიები ასწავლიან 500.000 მოსწავლეს და ეძლევათ სულ 7 მილიონი ფრანკი სუბსიდია, მაშინ, როდესაც საერო მისიონერები ასწავლიან 10.000 მოსწავლეს და ეძლევათ 34 მილიონი ფრანკი სუბსიდია". ერომ აღნიშნა, რომ იტალია და ჩრდ. ამერიკის შეერ. შტატები დიდ სუბსიდიებს აძლევენ თავიანთ რელიგიურ მისიებს, და წინადადება შეიტანა, რომ დამტკიცებულ იქნას მუხლები რელიგიური კონგრეგაციების შესახებ.

ნადირ-ხან ს წინადადება ბაჩე-საკაოს

ლონდონი, 19 მარტი. რეიტერის სააგენტო პეშავარიდან იუწყება: ნადირ-ხანმა წერილი გაუგზავნა ხაბიბულას, რომელშიაც აცხადებს, რომ ხაბიბულამ შეცდომა ჩაიდინა, როდესაც თავისი თავი ფადიშაჰად გამოაცხადა, რადგან მას არ გააჩნია ამისათვის საჭირო თვისებები. ნადირ-ხანი წინადადებას იძლევა, ხაბიბულამ მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხის განხილვაში, თუ ვინ უნდა ავიდეს ავღანისტანის ტახტზე. ნადირ-ხანი აცხადებს, თუ ხაბიბულამ უარჰყო ეს წინადადება, იგი თავის გავლენას გამოიყენებს იმისათვის, რომ ააჯანყოს ავღანელი ტომები ხაბიბულას წინააღმდეგ. (ადს).

ტერორი სირიაში

ანგორა, 19 მარტი. ანატოლიის სააგენტო იუწყება.

როგორც იტყობინებიან, საფრანგეთის ხელისუფლება სირიაში ტერორს მიმართავს, ვინაიდან მოსახლეობა უარს აცხადებს იმაზე, რომ სირიის მეფედ სცნოს საფრანგეთის დამქაში დამად-ნამი.

ალეპოში ფრანგებმა მოაწყვეს სამხედრო დემონსტრაცია სენეგალელ მსროლელთა დივიზიის, 10 ტანკის, 3 აეროპლანისა და არტილერიის მონაწილეობით. დემონსტრაციის მიუხედავად, წესრიგი ჯერ კიდევ აღდგენილი არ არის". (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მემარცხენე ფრთის ეროვნული კომიტეტის დაშლა

ლონდონი, 18 მარტი. 10 ხმის უმრავლესობით ერთი ხმის წინააღმდეგ ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ეროვნულმა კომიტეტმა დაადგინა დაიშალოს. ეს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მას შემდეგ, როცა კომიტეტმა ინგლისის კომპარტიის ცეკასაგან მიიღო წერილი, რომელშიაც იგი აცნობებდა, რომ ორგანიზაციული კავშირი პარტიასა და კომიტეტს შორის შეწყვეტილია (სათანადო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ინგლისის კომპარტიის მე-10 ყრილობაზე).

ინგლისის კომპარტიის ცეკა თავის წერილში ხაზს უსვამს, რომ პარტია მომავლისათვის უარს აცხადებს მემარცხენე ფრთასთან ერთად მოქმედებაზე და რომ გაცილებით მეტი წარმატების მიღწევა შეიძლება, თუ ეს ერთად მოქმედება მომავალში განხორციელდება მთლიანი ფრონტის პრინციპით იმ ცალკე საკითხებში, რომლებიც მუშათა კლასის ინტერესებს შეეხებიან. მემარცხენე ფრთის კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მემარცხენე ფრთის ყველა გულწრფელ მომხრეს მოუწოდებს შევიდეს კომპარტიაში. (ადს).

მარშალ ფოშის გარდაცვალება

პარიზი, 20 მარტი. გარდაიცვალა მარშალი ფოში. (ადს).

მოსკოვის ოქმს იწონებენ

ვარშავა, 20 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოიწონა მოსკოვის ოქმის რატიფიკაციის პროექტი. (ადს).

დოკერების საყოველთაო გაფიცვა ლია-როშელში

პარიზი, 20 მარტი. ლია-როშელში (ნავთსადგური ლა-მანშზე) დაიწყო დოკერების საყოველთაო გაფიცვა, რომლებიც სამუშაო ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. მოლაპარაკება მწარმოებლებთან უშედეგოდ დამთავრდა. (ადს).

ამხ. სმირნოვის განკურნება

მოსკოვი, 20 მარტი. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სმირნოვი განიკურნა და შეუდგა თავის მოვალეობათა შესრულებას. (ადს).

საბჭოთა კოქსი

შჩეგლოვი, 20 მარტი. იუზის ლითონის ქარხანას კოქსი ბოლო დრომდე შემოჰქონდა ინგლისიდან. ამას წინად კემეროვის კომბინატმა მიიღო კოქსი, რომელიც ღირსებით ინგლისურ კოქსზე უკეთესია. ამის გამო იუზის ქარხანამ კემეროვის კომბინატთან დასდო ხელშეკრულება მაღალი ხარისხის კოქსის დიდი პარტიის ჩაბარების შესახებ. (ადს).

ყალბი დოკუმენტების დამმზადებელთა საქმე

ბრაუდესა და სხვების საქმის გამოძიების მსვლელობა

ბერლინი, 19 მარტი. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება, გამოძიება დაპატიმრებული ემიგრანტის ბრაუდესა და იქვე სხვა მასთან დაპატიმრებული პირის შესახებ სწარმოებს არა იმისთვის, რომ სამართალში მისცენ ისინი, არამედ იმისთვის, რომ განდევნონ გერმანიიდან. მათ ბრალდებათ არა სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ქმედობა, არამედ მხოლოდ „დაუშვებელი პოლიტიკური მოქმედობა".

პირიქით, გამოძიება ორლოვის სუმაროკოვისა და გუმანსკის წინააღმდეგ სწარმოებს სისხლის სამართლის წესით. მათ ბრალდებათ ყალბი დოკუმენტების დამზადება და გაყიდვა.

ორლოვის „მუშაობა"

ბერლინი, 19 მარტი. როგორც „ბრაუნშვეიგიშე ლანდის ცეიტუნგ"-ი იუწყება, ორლოვი საიდუმლოდ და განსაზღვრულ საათებში დადიოდა ზივერტის საინფორმაციო ბიუროში. იგი ჩუმად ცდილობდა გაესაღებია რაღაც დოკუმენტების ასლები, რომლებიც უმთავრესად შეიცავდნენ მომავალ კომუნისტურ მოწოდებებისა და თავდასხმების გამომჟღავნებას. მასალის სიყალბე არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზივერტი ხშირად უგზავნიდა ასეთ მასალას გერმანიის ხელისუფლებას (ადს).

ორლოვისა და სუმაროკოვის პროცესის მნიშვნელობის შესახებ

ბერლინი, 19 მარტი. კენიგსბერგის გაზეთი „ოსტ პრეისიშე ცეიტუნგ"-ის აზრით, თეთრგვარდიელი ემიგრანტების—ყალბი დოკუმენტების დამმზადებლების—მომავალ პროცესი ფარდას ახდის იმას, თუ რა გავლენას ახდენდა ამ თეთრგვარდიელთა მუშაობა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე.

გაზეთი სწერს: „ის გარემოება, რომ ბერლინში დრო-გამოშვებით იღვიძებდა უნდობლობა მოსკოვის მიმართ, ადვილად აიხსნება ორლოვის მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებით. ორლოვის დაპატიმრება განსაკუთრებით სახიფათოა ემიგრანტების გაზეთ „რულ"-ისათვის. ამ გაზეთმა დაჰკარგა ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიმწოდებელი ტენდენციური ცნობებისა „მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ რუსეთში": ასეთი ცნობებით ჰკვებავდა „რულ"-ი მკითხველებს 10 წლის განმავლობაში". (ადს).

ყალბი დოკუმენტების დამამზადებლები [illegible] დანაშაულში

ბერლინი, 19 მარტი. ყალბი დოკუმენტების დამზადების საქმეზე დააპატიმრეს კიდევ ერთი ემიგრანტი—ბრაუდე. სულ დაპატიმრებულია 10 კაცი. ბერლინში დაპატიმრებულნი უკვე გამოტყდნენ, რომ ისინი ჰკრებდნენ ცნობებს უცხოეთის სხვადასხვა დაწესებულებებისათვის. ამავე დროს ისინი ამტკიცებენ, რომ მათი მუშაობა არ ყოფილა მიმართული გერმანიის წინააღმდეგ. ორლოვი ყველაფერს სუმაროკოვს აბრალებს. ორლოვი ამტკიცებს, რომ მას არ დაუმზადებია ეგრედ წოდებული „ზინოვიევის წერილი", რაზედაც შენიშნავს, რომ დაპატიმრების წინ ის ტრაბახობდა, მე დავამზადე ეს დოკუმენტიო. (ადს).

ბერლინი, 20 მარტი. „როტე ფანე" აღნიშნავს, რომ პოლიცია-პრეზიდენტმა სრულებით არ უარჰყო ცნობა იმის შესახებ, რომ ზივერტი ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა საქმის გამოძიებაში მონაწილეობას იღებს, როგორც „მცოდნე პირი". გაზეთი, განაგრძობს რა ზივერტის მხილებას, პოლიცია-პრეზიდენტს აძლევს რამდენიმე შეკითხვას: „მართალია თუ არა, რომ ზივერტმა ოთხი თვის წინად ორლოვისაგან მიიღო რამდენიმე ათასი დოლარი? მართალია თუ არა, რომ ზივერტმა მოკვლის მუქარით აიძულა ორლოვი მიეცა ეს ფული და ამასთან ტრაბახობდა, რომ ყალბი დოკუმენტების დამზადების იდეა მას ეკუთვნის? მართალია თუ არა, რომ ორლოვის დაპატიმრებისთანავე თეთრგვარდიელმა ემიგრანტებმა დაიწყეს გაპარვა და საცხოვრებელი ადგილის საჩქაროდ გამოცვლა? მართალია თუ არა, რომ ამ ემიგრანტებს შორის არის ისეთი ხალხი, რომლებსაც თავის დროზე დიდი სამხედრო თანამდებობანი ეჭირათ, ეხლა კი კონტაქტში არიან იტალიელ ფაშისტებთან და რომ ეს ხალხი იტალიის საელჩოში (ბერლინში) ჰყიდ და ყალბ ანტისაბჭოთა დოკუმენტებს?

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის ცნობით, ორლოვი მორიგ დაკითხვაზე უარჰყოფს თავის პირვანდელ ჩვენებას. ეხლა იგი ამტკიცებს, რომ მან სუმაროკოვს მისცა არა მასალები ყალბი დოკუმენტებისათვის, არამედ მხოლოდ თემა სენატორ ბორას შესახებ ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად და ეს თემა მან მიიღო, თითქოს ძველი ფრანგული გაზეთებიდან. (ადს).

შეტაკებები პოლიციასა და გაფიცულთა შორის

პარიზი, 20 მარტი. ალუენში, სადაც მეშვიდე თვეა გრძელდება ფეიქართა გაფიცვა, უკანასკნელ დღეებში რამდენჯერმე მოხდა შეტაკება გაფიცულებსა და პოლიციას შორის. ცნობილია, რომ ალუენის მუნიციპალიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, გამოსცა დადგენილება, რომელიც უკრძალავს პოლიციას გაფიცულთა კრებებისა და მიტინგების დაშლას. მიუხედავად ამისა, პოლიციის უფროსმა აკრძალა გაფიცულთა ყოველგვარი კრებები და დემონსტრაცია.

ამის საპასუხოდ ათასმა გაფიცულმა გამართა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც დაშალა პოლიციამ. პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე გაფიცული. ალუენის შტრეიკბრეხერების ხელმძღვანელი თავს დაესხა ახალგაზრდა უპარტიო გაფიცულ მუშას და მძიმედ დასჭრა იგი (ადს).

პროლეტარულ სტუდენტთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი 20 მარტი. გაიხსნა პროლეტარული სტუდენტობის საკავშირო ყრილობა. ყრილობას ესწრება 300 დელეგატი, რომლებიც პროფკავშირებში გაერთიანებული 250.000 სტუდენტის წარმომადგენლები არიან. მოსმენილ იქნა მოხსენება მრეწველობისათვის სპეციალისტების მომზადების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სპეციალისტების მომზადების ტემპი ჩამორჩება მეურნეობის მოთხოვნილებებს. პროფსკოლა მოწყვეტილია წარმოებას. უმაღლესმა სკოლამ უნდა შეასრულოს მის წინაშე დასმული ამოცანა—მოამზადოს პროლეტარული სპეციალისტები, ინჟინრები, ტექნიკოსები, აგრონომები და ექიმები.

ვრცელი მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. რინიცკიმ.

თავის განსაკუთრებულ მიმართვაში ყრილობა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უცხადებს, რომ იგი ყოველგვარი ძალ-ღონით შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებას. (ადს).

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელი №-ის პირველ გვერდზე, სამს ტელეგრამას პარიზიდან (სადაც ლაპარაკია კაშენის შეკითხვაზე საფრანგეთის პარლამენტში) აქვს მიცემული ასეთი სათაური: „როგორ ზრუნავს" ჯარისკაცებზე მენშევიკი პენლევე". უნდა იყოს: „როგორ ზრუნავს" ჯარისკაცებზე პენლევე".

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა ყალბი საბუთების მკეთებელთა საქმე

მოსკოვი, 20 მარტი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება:

საბჭოთა ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა—ორლოვისა და სხვების საქმე ახალ მსვლელობას ღებულობს. კვლევა-ძიების წარმოება დაეკისრა სისხლის სამართლის პოლიციას. უკვე დაპატიმრებულია ათი კაცი, რომელნიც დაკითხულ იქნებიან უახლოეს დღეებში გამომძიებელ პინერის მიერ.

სასამართლოს ორგანოები უფრო ფართე ხასიათს აძლევენ საქმეს. კვლევა-ძიება მოხდენილ იქნება აგრეთვე მიუნხენში და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა ზოგიერთ ქალაქებში.

გერმანიის პრესა განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნებს თვალყურს კვლევა-ძიების მსვლელობას. გაზეთი „ველტ ამ აბენდ"-ი მოითხოვს, რომ, ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კვლევა-ძიებაში მონაწილეობის მიღება აეკრძალოს ყოფილ ემიგრანტს და ეხლა გერმანიის ქვეშევრდომს ზივერტს.

პარიზის კომუნის დღე მოსკოვში

მოსკოვი, 20 მარტი. პარიზის კომუნის დღე მოსკოვში აღინიშნა მთელი რიგი მიღწევებით. რემედასის მოსკოვის ორგანიზაციას შეემატა 20.000 კაცი ახალი წევრი. გარდა ამისა წარმოება-დაწესებულებებში მოეწყო შეწირულებათა შეკრება—სულ შეკრებილ იქნა 10.000 მანეთზე მეტი.

მწერალი დეპუტატები მოსკოვის საბჭოში

მოსკოვი, 20 მარტი. გუშინ მოსკოვში შესდგა მწერალთა საერთო საარჩევნო კრება, რომელზედაც მოსკოვის ახალ საბჭოს დეპუტატებად მწერალთა კორპორაციიდან არჩეულ იქნენ: ფადეევი და ოგნიოვი, კანდიდატად: სელვინსკი.

უცხოელი ექსკურსანტები

მოსკოვი, 20 მარტი. „იზვესტია" თავის დღევანდელ ნომერში ეხება ტურიზმის განვითარების საკითხს და აღნიშნავს, რომ ტურიზმისაგან შემოსავალი უნდა გადაიქცეს მრავალ საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. უცხოელების ლტოლვა საბჭოთა კავშირისაკენ მეტად დიდია. წარსულ წელს საბჭოთა კავშირი მოიარა 7.500 უცხოელ ტურისტმა. წელს მოველით 15.000 კაცს. საჭიროა აქედანვე მიღებულ იქნას ზომები უცხოელ ექსკურსანტების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტით, სასტუმროებით და კულტურულ გასართობებით.

წერილი პარიზიდან

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პროლეტარული კამპანია რაციონალიზაციის წინააღმდეგ. — რეფორმისტები ბარიკადს იქით. — სოციალისტი მერი ჟანდარმის როლში. — მოახლოებული პოლიტიკური კრიზისი. — რატომ არ უნდა სიკვდილი პუანკარეს.— პაციფისტური ფრაზა და იმპერიალისტური სინამდვილე.

საფრანგეთის ინდუსტრიის თანდათანი წარმატება იმითაც იჩენს თავს, რომ ის პროლეტარიატის მხრივ განუწყვეტელ კლასობრივ წინააღმდეგობას იწვევს. საგაფიცვო ბრძოლა აღარ სცხრება. მხოლოდ ამას წინედ დასრულდა მემაღაროეთა ბრძოლა, და ახლა პარიზის ოლქში უკვე ახალი ბრძოლა იწყება, მელითონეებმა კაპიტალისტური რაციონალიზატორების წინააღმდეგ აჯანყების დროშა აფრიალეს, რომელნიც უკანასკნელ ლუკმას აცლიან მუშებს.

რაც შეეხება ჩრდილოეთის ფეიქართა გმირულ ბრძოლას ალუენში ,ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება.

ჩვენ კიდევ და კიდევ გვხვდება განმეორება, რომ რეფორმისტები, რომელნიც სოციალური ბარიკადის იმ მხარეზე დგანან, სადაც მეპატრონეებია, საშინლად აძნელებენ მუშათა კლასის მემარცხენე ფრთის კლასობრივ ბრძოლას და ხშირად მისი დამარცხების მიზეზად ხდებიან. ჩვენი ბრალი არაა, რომ ეს სამწუხარო ფაქტი ისევ და ისევ გზაზე ეღობება მუშათა კლასს მის ყოველდღიურ ბრძოლაში კაპიტალთან. თვითეულ გაფიცვას, რა გინდ კანონიერიც არ უნდა იყოს იგი, ყვითელი რეფორმისტები კომუნისტურ ავანტიურად აცხადებენ. სინდიკალისტური და „სოციალისტური“ პრესა იმეორებს, თითქმის იმავე სიტყვებით, თავიანთი მონათესავე კაპიტალისტური პრესის ყველა ჭორსა და არგუმენტს. მსხვილ ცენტრში, ბორდოში, საქმე იქამდინაც მივიდა, რომ ცნობილმა რეფორმისტმა და რენოდელის მომხრემ, სოციალისტმა მერმა მარკემ გაფიცულებს მიუსია თავისი პოლიციელები, რომელნიც მუშებს ჯოხის ცემითა და ხმლით გაუმასპინძლდნენ. უნდა იმით ვინუგეშოთ თავი, რომ საფრანგეთის პროლეტარიატს მისი მწარე გამოცდილება ასწავლის რეფორმისტული ხროვის ნამდვილი გამცემლური ხასიათის გაგებას.

ეკონომიურ ბრძოლასთან ერთად პოლიტიკური კრიზისიც მწიფდება. პუანკარეს ბატონობას ბოლო ეღება. ამ დღეებში ერთ მთავარ საკითხში (სასამართლოს რეფორმა) მან უმრავლესობის მხოლოდ 6 ხმა მიიღო. მთავრობის უმნიშვნელო უმრავლესობის შემადგენლობაში შედის 15 ხმა თვითონ მინისტრებისა, რომელთაც თავის თავს მისცეს ხმა. პუანკარემ სხდომის შემდეგ დაუყოვნებლივ გაზუცხადა კოლეგებს თავისი გადადგომის შესახებ, მაგრამ კოლეგებმა — მინისტრებმა ეს გადადგომა არ მიიღეს, და არც თვით პუანკარეს სურს ასე მალე სიკვდილი. საქმე იმაშია, რომ მას განზრახული აქვს, სანამ დაეცემოდეს გაატაროს რეაქციონური პროექტების მთელი რიგი.

პირველ რიგში სდგას საკითხი იმის შესახებ, რომ მისიონერ - იეზუიტებს მიენიჭოთ უფლება ისარგებლონ სახელმწიფო დახმარებით და იმის შესახებ, რომ მათ უკანვე დაუბრუნდეთ კონფისკაცია - ქმნილი ქონება იმ მიზნით, რომ დედამიწის სხვადასხვა ნაწილში მომზადდეს ნიადაგი კოლონიალური იმპერიალიზმისათვის, მეორე პროექტს წარმოადგენს კანონი, რომელსაც „უადრესად ბოროტს“ უწოდებენ და რომელიც ელზასელ ავტონომისტებთან ბრძოლის სახით ცდილობს შექმნას „კანონიერი“ საბაბი კომუნისტების დევნისათვის. მესამე პროექტს წარმოადგენს სახლის პატრონთათვის სასარგებლო კანონი, რომელიც მიმართულია ბინის დამქირავებლების წინააღმდეგ. ეს უკვე მე-80 კანონია. სახლის პატრონები, რომელთა, საკუთრების დასაცავად ზღვა სისხლი დაიღვარა, მწარედ სჩივიან იმაზე, რომ მათ სჩაგრავენ საკუთრების უფლებათა შეზღუდვით: ომამდე მათ შეეძლოთ დაუსრულებლად გაედიდებინათ ბინის ქირა და თავისი მდგმურები ბინიდან გაეგდოთ მაშინ, როდესაც ამას მოისურვებდნენ. ამჟამად კი ზოგიერთ შემთხვევებში სახლის პატრონთა თვითნებობა შეზღუდულია. და ეს ვაჟბატონები ვერ მოისვენებენ მანამდე, სანამდი ექსპლოატაციის სრულ თავისუფლებას არ მიიღებენ. ეს „ძერები“, როგორც მათ აქ უწოდებენ, გრძნობენ, რომ „პუანკარე - ბარტუს“ დროს მათი „ბედნიერება ახლოა და შესაძლებელი“, და ისინი მთელი ძალღონით სცდილობენ საჩქაროდ გაატარონ მე-80 საბინაო კანონი, რომელიც საბინაო რეჟიმს დაუახლოვებს ომამდე არსებულ მდგომარეობას.

თუ პუანკარე გრძნობს სიკვდილის მოახლოვებას, სამაგიეროდ ბრიანი სადღესასწაულო გუნებაზეა. ამ მეტად ცბიერმა პოლიტიკანმა მიაღწია იმას, რომ მისი მდგომარეობა ძლიერ მტკიცეა. ის ყველას (რა თქმა უნდა, კაპიტალისტებს) აამებს, ყველას ხიბლავს თავისი ალერსიანობით და ბამბასავით მსუბუქი მჭერმეტყველებით. ამ გზით მან მოიპოვა მდგომარეობა მუდმივი მინისტრისა, რომელსაც ვერც ერთი კაბინეტი ვერ აუხვევს გვერდს. მისი ენა თითქოს ბუნების მიერ ისეა შექმნილი, რომ დიპლომატიურად დაფაროს მისი აზრები. იგი დაბადებულია ტალეირანად და სიტყვის ოინბაზად. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მან შეკაზმა პაციფისტური რაში და მშვიდობიანად მოგზაურობს ყოველგვარი გზებით. მემარჯვენენი, მემარცხენენი, ცენტრი— ყველა ტაშს უკრავს ბრიანს, აღტაცებულია ბრიანით, ქედს იხრიან მისი ოსტატობის წინაშე, მისი მოქნილობის წინაშე, იმ უნარის წინაშე, რომლითაც მას შეუძლია ადვილად ყინულზე გააცუროს ყველა და ყოველგვარი სიძნელე სიტყვის ელასტიურ ფორმულებით მიმალოს. იგია ავტორი ლოკარნოსი, ტუარისა, გერმანელებთან „შერიგებისა“. ნობელის მშვიდობიანობის პრემიის ეს პატრონი არც ერთ მნიშვნელოვან დათმობაზე არ წასულა, მას არ გაუნთავისუფლებია რეინის ოლქი, ერთი სანტიმითაც არ შეუმცირებია სამხედრო ხარჯები,ერთი პფენიგითაც არ შეუმსუბუქებია სარეპარაციო ტვირთი. მაგრამ ისე ტკბილად მღერის მშვიდობიანი ცხოვრების მშვენიერებაზე, ისე ძლიერ ღელავს ომის საშინელებათა გამო, ისე დარწმუნებით ლაპარაკობს ერთა ლიგის წარმატებებზე, რომელსაც ყველაფერს ერთბაშად ვერ მოვსთხოვთ, რომ ხალხი აღტაცებაში მოდის, თავდავიწყებით ტაშს უკრავს სიტყვის ვირტუოზსა და პაციფისტური ილიუზიების გმირს. კელოგის ხელშეკრულების რატიფიკაციის განხილვის დროსაც ბრიანმა მიმართა თავის ოინბაზურ ხერხებს, დაამშვიდა მილიტარისტები, აღაფრთოვანა პაციფისტები და აღტაცებაში მოიყვანა ყველა.

მხოლოდ „სექტანტმა“ კომუნისტებმა არ დაიჯერეს პაციფისტური ბულბულის ტკბილი სიმღერა და „უხეშად“ მოაგონეს მინისტრ „პოეტს“ ის ომი, რომელიც, მიუხედავად პაციფისტური ფრაზისა, მძვინვარებს მაროკოში და სხვა კოლონიებში. ბრიანი სცდილობდა, რომ პალატას ერთსულოვნად მიეცა ხმა. სცადა კიდევაც მოეყვანა არა-სწორი ციტატა კარლ მარქსიდან, რომელმაც ვითომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში იდეალიზმი აღმოაჩინა. მაგრამ კომუნისტებმა პაციფისტური პირფერობის წინააღმდეგ მისცეს ხმა, და ერთსულოვნობა მაინც არ იქნა მიღწეული. ფართე მასები გაფრთხილებულნი არიან, რომ მზადდება არა მშვიდობიანობა, არამედ ომი.

ხ. რაპოპორტი.

პარიზი, 1929 წ. 9 მარტი.

„მარია“-ს მაღაროში მომხდარ კატასტროფის გარშემო

მთავრობის კომისია „მარია“-ს მაღაროში მომხდარი კატასტროფის შესახებ

მოსკოვი, 20 მარტი. დაბრუნდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, საკავშირო პროფსაბჭოს და მემაღაროეთა ცენტრალური კომიტეტის კომისია, რომელიც დონბასში იყო „მარია“-ს მაღაროში მომხდარ კატასტროფასთან დაკავშირებით. კომისიამ შეისწავლა კატასტროფის უშუალო მიზეზები, აგრეთვე შრომის დაცვის საქმის მდგომარეობა მთელ გორლოვის სამთო-მადნო სამმართველოში. კომისიამ აღნიშნა გადარჩენის საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, გამოირკვა, რომ გადასარჩენი თოკები დამპალი იყო. ერთი დაჭრილის ამოყვანის დროს თოკები ჩაწყდა და დაჭრილი შემთხვევით გადარჩა.

გადამრჩენი პუნქტის პასუხისმგებელი მუშაკები პასუხისგებაში არიან მიცემული.

კომისიამ გამოარკვია, რომ 1927 წლიდან, საწარმოო თათბირებს ხუთჯერ გამოუტანიათ დადგენილება „მარია“-ს მაღაროს ამწევ მოწყობილობათა კაპიტალური რემონტის შესახებ. მიუხედავად ამისა, რემონტი განზრახული იყო მხოლოდ 1929 წლის მაისში. კომისიამ გამოიკვლია ტექნიკური უშიშროების ზედამხედველობის მდგომარეობა, ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა. ტექნიკური უშიშროებისათვის გადადებული თანხების გამოყენება, აგრეთვე ის, თუ რამდენად მოჰყავდათ სისრულეში საწარმოო თათბირებისა, და შრომის დამცველი კომისიის დადგენილებანი.

ყველა საკითხის შესახებ მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილება, კერძოდ, გადასწყდა დაისვას მთავრობის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ სპეციალურად გამოკვლეულ იქნას უშიშროების ტექნიკის მდგომარეობა დონბასში. (ადს).

მუშებს არ სჩვევიათ სულით დაცემა

გორლოვკა, 20 მარტი. გაიმართა შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის საუბარი „მარია“-ს იმ მემაღაროებთან, რომელნიც მაღაროს რემონტზე მუშაობენ. საუბრის საგანს წარმოადგენდა მაღაროში მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოკვლევა.

„მოხდა დიდი უბედურება,—განაცხადეს მუშებმა,—მაგრამ დონბასელებს არ სჩვევიათ სულით დაცემა. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ უფრო ინტენსიურად განვაგრძობთ დაწყებულ საქმეს“. საინჟინრო-ტექნიკურმა პერსონალმა და მუშებმა დაარწმუნეს კომისიის წარმომადგენლები, რომ მაღაროს რემონტი ვადაზე იქნება დამთავრებული. (ადს).

გაზებით მოწამვლა

კოკანდი, 20 მარტი. 17 მარტს „უზბეკნეფტის“ მაღაროს № 7-ში გაზებით სასიკვდილოდ მოიწამლა 4 მემაღაროე; სამი მათგანი დაიღუპა იმის გამო, რომ ისინი დიდის თავგანწირვით შეეცადნენ გადაერჩინათ მაღაროში პირველად ჩასული ამხანაგი. ორი დღის წინად კატასტროფამდე ამავე მაღაროში ადგილი ჰქონდა მოწამვლას, მაგრამ მემაღაროები სიკვდილს გადაარჩინეს. მიუხედავად ამისა, მუშაობა მაღაროში მაინც გრძელდებოდა.

ბაქოს ბაზრობაზე

ბაქო, 20 მარტი. ბაქოს ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად მოვიდა ავღანური ფირმის „ქაბული“-ს რწმუნებული. „ქაბული“-ს ფირმას აქვს გასასყიდად ბამბა, მატყლი, ყარაკული და ნედლი ტყავეული. ავღანისტანში საექსპორტოდ ფირმა ფიქრობს შეისყიდოს მანუფაქტურა, შაქარი და სხვა პროდუქტები.

19 მარტს რეგისტრაციაში გატარდა 315 სპარსელი ვაჭარი, რომელნიც ბაზრობაში მონაწილეობას იღებენ. ბაზრობის დაწყებიდან ბრუნვა უდრის 1.884.500 მანეთს, აქედან სპარსეთთან ვაჭრობაზე მოდის 330.465 მან.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ბაზრობაზე ცოტაოდნად შენელდა გარიგებათა დადება. ამის გამო საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა სპარსეთთან ვაჭრობის საქმეში ამხ. კანევსკიმ განაცხადა:

„ბაზრობის ინტესიურ განვითარებას მარტის დამლევს უნდა მოველოდეთ. გარიგებათა სუსტი ტემპი მხოლოდ იმ გარემოებით აიხსნება, რომ ბაზრობა გაიხსნა რამაზანის ბოლო დღეებსა და ნოვრუზ - ბაირამის წინა დღეებში. ამ დღეებში სპარსელი ვაჭრები ტრადიციულად თავს იკავებენ მსხვილ ოპერაციებისაგან. ამის გამო სპარსეთიდან საქონელი ცოტა შემოაქვთ. სპარსეთში სავაჭრო წარმომადგენლობის რწმუნებულის ცნობით, ბაზრობაზე საქონლის გაძლიერებული გზავნა დაიწყება ნოვრუზ - ბაირამის დასრულებისათანავე. იმავე ცნობების მიხედვით, სპარსელი ვაჭრები ძალიან დაინტერესებულნი არიან ბაზრობით —სპარსელმა ვაჭრებმა უკვე დაინაწილეს ლიცენზიები ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად“ (ადს).

სპარსეთის ვაჭრები ბაქოს ბაზრობის შესახებ

მოსკოვი, 20 მარტი .ბაქოს ბაზრობის გახსნის გამო სპარსეთის ვაჭრებმა და საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებმა გაუგზავნეს ამხ. რიკოვს დეპეშა, რომელშიაც სრულ იმედს გამოსთქვამენ, რომ სპარსეთისა და საბჭოთა კავშირის საზღვართან მოწყობილი ბაზრობა, რომელიც საუკეთესო ასპარეზს წარმოადგენს ეკონომიური კავშირისათვის ამ ორ ქვეყანას შორის, დიდ სამსახურს გაუწევს მეზობელი ქვეყნების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას (ადს).

სპარსეთის ვაჭრების მიღება

მოსკოვი, 20 მარტი. მოსკოვის საქონლის ბირჟაზე გაიმართა სპარსეთის ვაჭრების მიღება. დაესწრნენ საბჭოთა კავშირთან მოვაჭრე უდიდესი ფირმების წარმომადგენელნი, 60-დე ვაჭარი, და შინაგან საქმეთა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, აღმოსავლეთის პალატის და სხვათა პასუხისმგებელი მუშაკები.

საუბრის დროს განხილულ იქნა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შემდგომი განვითარების საკითხები (ადს).

მისალმება ა.-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატს

ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მისასალმებელი დეპეშა მიიღო ბაქოს მეშვიდე ბაზრობის მონაწილეთაგან, გილიანის, მაზანდარანის, ხორასანის და სპარსეთის აზერბეიჯანის სპარსელი ვაჭრები და საბჭოთა კავშირის კოოპერატიული ტრესტების, სინდიკატების და სავაჭრო ორგანოების წარმომადგენელნი ამ დეპეშაში გამოსთქვამენ რწმენას, რომ ბაქოს მეშვიდე ბაზრობა, რომელიც მოწყობილია სპარსეთისა და საბჭოთა კავშირის საზღვართან, საუკეთესო ასპარეზს წარმოადგენს ამ ქვეყნების დაახლოვებისათვის და განამტკიცებს მჭიდრო მეგობრობას საუკუნოებრივ მეზობლებს შორის.

ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. ზუქზადიანმა და მისმა მოადგილემ ამხ. გაჯენსკიმ ამის საპასუხოდ ბაზრობის კომიტეტს მიმართეს შემდეგი დეპეშით:

„ბაქოს ბაზრობა მეშვიდე წელიწადია ასრულებს უდიდეს ამოცანას -- საბჭოთა ქვეყნისა და სპარსეთის ეკონომიური კავშირის განმტკიცების ამოცანას. მხურვალე სალამს ვუძღვნით ყველა მუშაკს და უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას“ (ადს).

ამიერ - კავკასიის მონაწილეობა ბაქოს ბაზრობაზე

— თათბირმა, რომელიც შესდგა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის საექსპორტო - სიმპორტო სამმართველოსთან, გადასწყვიტა შეეცადოს, რომ ბაქოს ბაზრობის საიმპორტო კონტიგენტის საერთო რაოდენობიდან ამიერ-კავკასიისათვის გამოიყოს ყველა საქონლის 15 პროცენტი.

„ზაქკოიუზ“-ს ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით განზრახული აქვს ბაქოს ბაზრობაზე შეისყიდოს 770 ტონა ბრინჯი, 650 ტონა გამხმარი ხილი და 32 ტონა კაკალი და ნუში. (ადს).

— ამიერ-კავკ. სახელმწ. ვაჭრობას განზრახული აქვს ბაქოს ბაზრობაზე შეისყიდოს 85 ტონა გამხმარი ხილი, 6.300 შეკვრა მიში, 58 ტონა კუნჟუტი, 85 ტონა აბუსალათინი და 8 ტონა კაკალი და ნუში.(ადს).

— საქართველოდან ბაქოს მეშვიდე ბაზრობაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სატყეო მრეწველ. ტრესტი (ვენერი სკამები, სამი ხარისხის ტყავი, ფანერი), ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანა (ბორჯომის წყალი, კანიფოლი და ნახშირმჟავა გაზი), საქართველოს აბრეშუმის ტრესტი, საქართველოს სახალხო მამულების ტრესტი, საქართველოს მეღვინეთა კავშირი, თამბაქოს ტრესტი, ლითონის ტრესტი (საწოლები), „საქართველოს ჩაი“ და გორის საკონსერვო ფაბრიკა (ადს).

საბჭოთა უნგრეთის 10 წლის თავი

ათი წლის წინად უნგრეთის პროლეტარიატმა თავის ხელში აიღო ძალა-უფლება და სოციალისტური წყობილების ორგანიზაციას შეუდგა. პროლეტარული დიქტატურა წარმოიშვა გრაფ კაროლისა და სოციალ-დემოკრატების დემოკრატიულ-ბურჟუაზიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ.

უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების შექმნის დროს სოციალ - დემოკრატიის ისეთი ლიდერები, როგორნიც არიან პეიდლი, გარბაი, კუნფი და სხვები, მოღალატურ, თვალთმაქცურ როლს თამაშობდნენ. როდესაც გამოირკვა რომ მუშები და ღარიბი გლეხები გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ ყოველგვარ დემოკრატიულ ლოზუნგსა და დაპირებას, როდესაც რევოლიუციონური პროლეტარიატი ბრძოლის სათავეში მოექცა, სოც.-დემოკრატიის ლიდერები სცდილობდნენ შეეჩერებიათ და შეეზღუდათ რევოლიუციონური მოძრაობა, ამისათვის მათ მიმართეს ბურჟუაზიასთან შეთანხმებას და უნგრეთის პროლეტარიატის ისეთი ლიდერების დაპატიმრებას, როგორნიც არიან ბელა კუნი და სხვა ამხანაგები. მაგრამ რევოლიუციონურმა მასებმა სოც.-მოღალატენი შორს გადაისროლეს. სოც.-დემოკრატიის ხელმძღვანელები, საკუთარი თავის გადასარჩენად, იძულებულნი გახდნენ კომპრომისზე წასულიყვნენ და დაეწყოთ მოლაპარაკება ჩვენს ამხანაგებთან, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ ბუდაპეშტში, ცენტრალურ საპატიმროში.

რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, უნგრეთის მუშათა კლასის პარტიისაგან მოითხოვდა მტკიცე ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა ამხანაგებმა, რომელნიც საერთო მოქმედებისათვის გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელებთან, თავის დროზე ვერ მოახერხეს მტკიცე და ფოლადისებური პარტიის შექმნა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა პროლეტარულ დიქტატურას უნგრეთში. ეს აიხსნება იმით, რომ უნგრეთის პროლეტარიატის ლიდერები საპატიმროში ისხდნენ, ისინი დიდი ხნით იყვნენ ჩამოშორებულნი პოლიტიკურ ამბებს, ამ ამბებს ეცნობოდნენ მხოლოდ გაზეთების საშუალებით და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ დიქტატურის ორგანიზაციის შესახებ სოციალ-დემოკრატიის ლიდერებთან. ამ დროს არ სწარმოებდა სათანადო საორგანიზაციო მუშაობა პარტიის შესაქმნელად. როდესაც მოვიდა ცნობა, რომ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელები თანხმდებიან საპატიმროდან ბელა-კუნის მიერ წარმოდგენილ პირობებზედ, — კომუნისტებს ხელში უნდა აეღოთ ძალა-უფლება და სათავეში ჩასდგომოდნენ რევოლიუციონურ მოძრაობას; ამას მოითხოვდა მაშინდელი სიტუაცია. საბჭოთა უნგრეთის სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ამხ. ბელა-კუნმა საპატიმროდან გამოსვლისას სოციალ-დემოკრატებთან ერთად მთავრობის შედგენის დროს, გამოსთქვა შიში: „კარგად ჩაიარა ყველაფერმა. მე მთელი ღამე არ მძინებია, ვფიქრობდი, თუ სად მოხდა შეცდომა, რადგან ეს შეცდომა სადღაც შემოგვეპარა. ჩვენ მას აღმოვაჩენთ, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს“.

სრულ სიმართლეს ამბობდა ბელა-კუნი. ეს ცხადი გახდა შემდგომი ამბებიდან. საბჭოთა ხელისუფლების ოთხი თვის არსებობის შემდეგ იწყება პეროდი სისხლიან თეთრი ტერორის, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა, აუტანელი ტანჯვა მოაყენა უნგრეთის პროლეტარიატს, ასწავლა მას, თუ როგორ უნდა იბრძოლოს მან კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

უნგრეთში პროლეტარული დიქტატურის არსებობის პერიოდს ეკუთვნის პირველი ღონისძიებები, მიღებული საბჭოთა ხელისუფლების განსახორციელებლად და განსამტკიცებლად. მოხდა ბანკებისა, მსხვილი ფაბრიკებისა, ქარხნებისა და მიწის სოციალიზაცია; რაციონალურად განაწილებულ იქნა ბინები, დაარსებულ იქნენ საბინაო კომისიები, რომელნიც ავეჯეულობას ანაწილებდნენ, შრომის ხელფასის საკითხში გათანასწორებულ იქნენ კატეგორიები, ძირითად პრინციპად აღიარებულ იქნა თანაბარი მუშაობისათვის თანაბარი ხელფასი. შემცირებულ იქნა მოხელეთა დიდი არმია. მათ ნაცვლად მოეწყო მუშათა კომიტეტები, რომელთაც მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ საწარმოო კომისართან და სახალხო მეურნეობის საბჭოსთან. ჩქარის ტემპით მიმდინარეობდა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესება.

ამხ. ბელა კუნი

უნგრეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

რაც შეეხება კულტურულ მშენებლობას, მოხდა თეატრებისა და კინოების ნაციონალიზაცია, მოეწყო ცენტრალური სახელმწიფო ბიბლიოთეკა, საიდანაც ხელმძღვანელობა ეწეოდა ბიბლიოთეკების ქვედა ქსელს. ამას გარდა, კულტურულ დაწესებულებათა დეცენტრალიზაციის გამო, პროვინციებში შეუდგნენ მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მოწყობას. სავალდებულო სწავლება დროებით დაწესებულ იქნა 14 წლამდე. განზრახული იყო მისი გაფართოება და დაწესება სავალდებულო სწავლებისა 18 წლამდე.

სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელობის, პროპაგანდა დიქტატურის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა. უნგრულ ენაზე ითარგმნებოდა უცხოეთის რევოლიუციონური მწერლების ნაშრომები და მრავალ ეგზემპლიარად ვრცელდებოდა უნგრეთის მშრომელთა შორის.

დიქტატურის დროსვე მოხდა საარჩევნო უფლების რეორგანიზაცია: მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა საარჩევნო უფლებით სარგებლობდა, უნგრეთის გასაბჭოებამდე 18 მილიონ მოსახლეობიდან საარჩევნო ხმით სარგებლობდა მხოლოდ 750 ათასი კაცი. დიქტატურის დროს კი მარტო ბუდაპეშტში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების დროს 600 ათასმა კაცმა მისცა ხმა.

ოთხი თვის განმავლობაში გმირულად მუშაობდა საბჭოთა უნგრეთი. მან ვერ შესძლო საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციისათვის წინააღმდეგობის გაწევა,--იგი გმირულად დაეცა 133 დღის არსებობის შემდეგ. არავის ეჭვი არ შეეძლო იმაში, რომ პროლეტარული დიქტატურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსოფლიო რევოლიუციასთან. არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცული ბოლშევიკური პატარა კუნძული გასძლებდა მსოფლიო პროლეტარიატის დახმარების გარეშე. საბჭოთა რუსეთთან კავშირი ვერ დამყარდა, შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის გამო. ამნაირად, უნგრეთის პროლეტარიატი მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა.

დიქტატურის დაცემამ გააძლიერა ევროპის რეაქცია, გააძლიერა ბურჟუაზიის დიქტატურა და გამძაფრებული სისხლიანი თეთრი ტერორი, რომელმაც მოსპო პროლეტარიატის საუკეთესო შვილები და აგრძნობინა მსოფლიო პროლეტარიატს, რომ კლასობრივი ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე მან უნდა აწარმოოს ყოველგვარი კომპრომისისა და შეთანხმებლობის გარეშე.

წინ—უნგრეთის საბჭოთა მეორე რესპუბლიკისაკენ!

მ. ტაუცოში.

მუშები გმობენ მოღალატე ტროცკის

სამარყანდი, 20 მარტი. ტროცკის მოქმედების შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ ამბებთან დაკავშირებით, ქალაქის სამრეწველო წარმოებებში გაიმართა მიტინგები. ამ მიტინგებზე მიღებულ რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ ტროცკი თავის მოქმედებით აშკარად გადავიდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. (ადს).

მოგილევი, 20 მარტი. №-ის მესანგრეთა ბატალიონის კრებამ, მოისმინა რა ცნობა საზღვარგარეთ ტროცკის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ, მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც გმობს ტროცკის, როგორც რევოლიუციის გამცემელს და მოღალატეს. კრება საჭიროდ სცნობს სასტიკი ზომების მიღებას კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკისტების წინააღმდეგ, რომლებიც განაგრძობენ ანტისაბჭოთა მუშაობას საბჭოთა კავშირში. (ადს).

ხარკოვი, 20 მარტი. ხარკოვის საწარმოთა მუშებმა თავიანთ კრებებზე გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებშიაც გმობენ ტროცკის კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას საზღვარ-გარეთის ბურჟუაზიულ პრესაში. (ადს).

პოლტავა, 20 მარტი. ადგილობრივი ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები ზიზღით გმობენ ტროცკის გამოსვლას და [illegible] იწონებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებს ტროცკისა და ტროცკისტების მიმართ. (ადს).

არტიომოვსკი, 20 მარტი. პოპასნიანსკის რკინის გზის კვანძის დეპოს ტრანსპორტელთა მრავალრიცხოვანმა კრებამ, რომელიც მოწვეული იყო [illegible] დღის აღსანიშნავად, განიხილა ტროცკის მოქმედება საზღვარ-გარეთ. კრება თავის წერილში ტროცკისადმი მკაცრად გმობს მის მოღალატურ გამოსვლას ბურჟუაზიულ პრესაში. (ადს).

მცირე-ყაბარდოს არხის გაყვანა

ნალჩიკი 20 მარტი. თავდება მცირე-ყაბარდოს არხის გაყვანა; რომელიც უდიდესი საირიგაციო მოწყობილობა იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. არხი გაიხსნება 1 მაისს. წყალს არხი მიიღებს თერგიდან. არხის სიგრძე 10 კილომეტრს უდრის. მარტო მცირე-ყაბარდოში არხი მორწყავს 50.000 ჰექტარ მიწას. არხზე უკვე მუშაობს ორი პატარა ჰიდრო-სადგური. (ადს).

პარტიაში

რა სთქვა კომუნისტ პედაგოგების თათბირმა

(წერილი ქუთაისიდან)

16 მარტს მოწვეულ იქნა ქუთაისის მაზრის კომუნისტ და კომკავშირელ პედაგოგების პირველი სამაზრო თათბირი, რომელსაც 200 მასწავლებელი დაესწრო.

თათბირმა განიხილა ორი საკითხი: 1. სასკოლო მშენებლობა, და 2. იდეოლოგიური ფრონტი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ალ. აფხაძემ.

სკოლებში კომუნისტური გავლენის და პარტ ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად —აღნიშნა მომხსენებელმა,—ჩატარებულ იქნა მთელი პედაგოგიური პერსონალის გადასინჯვა და შეუფერებელი პედაგოგები შეცვლილ იქნენ კომუნისტებით ან ისეთი მასწავლებლებით, რომლებიც იზიარებენ კომუნისტურ მსოფლმხედველობას. დღეს განათლების განყოფილების სასკოლო ქსელის მასწავლებელთა შორის კომუნისტები შეადგენენ 16 პროც. წინედ კი მათი რიცხვი 10 პროც. უდრიდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობის მოწესრიგებას. განათლების განყოფილების ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება. დღეს სკოლებში მოთავსებულია ბავშვების 70 პროც. 30 პროც. კი სკოლის გარეთაა დარჩენილი. საყოველთაო სწავლის შემოღებისათვის საჭირო პირობები მზადაა მხოლოდ საშტრედიის რაიონში.

ზოგიერთი მასწავლებელი ნაკლებად კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და ვერ ერკვევა პედაგოგიურ საკითხებში. საჭიროა კოლექტიური მუშაობის გაძლიერება და გამოცდილებათა გაზიარება.

ზოგან ადგილი აქვს ზნეობრივი ნორმების დარღვევას, არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი მასწავლებელი ლოთობს. რაც სცემს სახალხო მასწავლებლების პრესტიჟს გლეხობაში. არის რელიგიური გადახრის შემთხვევებიც. ცხადია ასეთი მასწავლებელი ჩვენ ახალ კომუნისტურ თაობას ვერ აგვიზრდის. მასწავლებელი ყოველგვარ ცრუ-მორწმუნეებისაგან თავისუფალი უნდა იყოს, მას უნდა ჰქონდეს იმდენი პოლიტიკური მომზადება, რომ ერკვეოდეს სოციალისტური მშენებლობის საკითხებში“.

შემდეგ მოსმენილ იქნა სამაზრკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგის ამხ. კ. ჯანელიძის მოხსენება იდეოლოგიურ ფრონტის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა, ყოველ მხრივ განვამტკიცოთ მარქსისტული იდეოლოგიის პოზიციები და ამით უზრუნველვყოთ მტკიცე კლასიური ხაზის გატარება.

ჩვენ ამოცანას წარმოადგენს უკლასო საზოგადოების შექმნა, ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელია მშრომელთა ფართო მასების აქტიური და შეგნებული მონაწილეობის გარეშე, ამისათვის საჭიროა მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური აღზრდა. მათში კომუნისტური შეგნების დანერგვა, მათი განთავისუფლება ყველა ძველი ზნე-ჩვეულებისა და შეხედულებისაგან. ახალი თაობა უნდა აღვზარდოთ ახალი ეპოქის მოთხოვნილებათა მიხედვით. სისტემატიურად უნდა ვამზადოთ სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრები.

უკანასკნელ ხანებში, ქუთაისის ორგანიზაციაში აშკარად გაძლიერდა ანტირელიგიური პროპაგანდა, გაუმჯობესდა მისი შინაარსი. მაგრამ ზოგიერთ მასწავლებელს ვერ შეუგნია რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა, ის პასიურობას იჩენს ამ საქმეში ან და აშკარა დახმარებას უწევს რელიგიას. უმთავრეს ამოცანას ანტირელიგიურ მუშაობის დარგში წარმოადგენს ძველი „კამპანიურ“ და „დაკვრითი“ მეთოდებიდან მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლა.

მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მიუხედავად ამისა ქუთაისის მაზრაში კიდევ დიდია წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი.

ამიტომ საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულ იქნენ მთელი კულტურული ძალები. მარტო ოფიციალური ორგანოების საშუალებით ჩვენ ვერ შევსძლებთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდირებას.

კომუნისტი მასწავლებლები უნდა გახდნენ იდეოლოგიური ფრონტის დაუღალავი მებრძოლნი. საკუთარ თავზე ზრუნვა, საკუთარ თავის გადაკეთება—„სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა“ (ლენინი)—სადღეისო და პირველ ხარისხოვან ამოცანად უნდა დაისახოს თვითეულმა მასწავლებელმა.

ორივე მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40-მდე მასწავლებელმა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ანტირელიგიურ მუშაობაში მასწავლებლები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ, ზოგიერთი მათგანი შემოწირულებასაც კი აგროვებს ეკლესიის [illegible] (გოდოგნის თემი). მასწავლებელთა შორის არ არის ამხანაგური დამოკიდებულება. აქვს ადგილი კინკლაობას (ხრესილის შვიდ წლედი), ზამის თემში ერთმა შეძლებულმა გლეხმა თავისი ქალიშვილის სახელობაზე ააგო სამკითხველო, დასდგა შიგ ქალის ძეგლი და ბელადთა სურათებს შორისაც მისი სურათი ჩამოჰკიდა.

ორატორები მოითხოვდნენ ანტირელიგიური მუშაობის გაღრმავებას, ნაციონალურ უმცირესობათა შორის. აგრეთვე დაბა სოფლებისათვის რელიგიური სახელწოდებების გამოცვლის და ულმერთოთა უჯრედებისათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობას.

დასასრულ თათბირმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიება სასკოლო მშენებლობის, ანტირელიგიური პროპაგანდის, წერა-კითხვის საზოგადოების და თავისუფალ საზოგადოებათა მუშაობის საკითხებზე.

ხ. შ—ხი.

კოლმეურნეობების მუშაკთა კურსებზე მიღების წესი

(1929—30 სასწავლო წელი)

1. კურსების მიზანია მოამზადოს მუშაკები: ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელისათვის, ორგანიზატორ. ხელმძღვანელნი უმთავრესად საკრედიტო კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელისათვის კურსანტების მთელი შემადგენლობის 30 პროცენტი) და ბ) თვით კოლმეურნეობებისათვის უშუალოდ სახელმძღვანელოდ, 70 პროცენტი)

2. კურსებზე მეცადინეობის ვადა განსაზღვრულია 2 წლით.

3. კურსებზე მიიღებიან:

ა) საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრი მუშები ორი წლის პარტიული სტაჟით (მათ შორის მოჯამაგირენი) და გლეხები, ამასთანავე მუშები უნდა შეადგენდნენ 50 პროცენტზე არა ნაკლებს (მოსამსახურენი კურსებზე არ მიიღებიან),

ბ) რომლებსაც შეუძლიათ თავისუფლად კითხვა წერა და არითმეტიკის 4 მოქმედების შესრულება)

გ) რომლებსაც აქვთ პოლიტიკური განვითარება პოლიტცოდნის სკოლის პროგრამის ფარგლებში;

დ) რომლებსაც უმუშავნიათ სოფლის მეურნეობაში (სასურველია კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში); ვინც მეურნეობას არ იცნობს, კურსებზე არ უნდა გამოიგზავნოს;

ე) კურსებზე მისაღებთა ასაკი—20-დან 35 წლამდე.

4. კანდიდატთა შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატების წამოყენებას ქვედა საფეხურის რიგებიდან (კოლმეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, დაზგის მუშები). ამასთანავე კურსებზე გამოსაგზავნ კანდიდატთა შორის კოლმეურნეობათა მუშაკები უნდა შეადგენდნენ არა უმცირეს 40 პროცენტისა. ისინი წამოყენებულ უნდა იქნენ მსხვილ კოლმეურნეობებიდან. სასურველია, რომ კურსებზე გაიგზავნონ დემობილიზაციაში მყოფი წითელარმიელნი, კერძოდ, წითელი მეთაურები.

5. ეროვნულმა ოლქებმა და ეროვნულმა რესპუბლიკებმა უნდა გაგზავნონ ისეთი კანდიდატები, რომლებმაც იციან რუსული ენა და აკმაყოფილებენ მიღების მოთხოვნილებებს.

6. კურსებზე გასაგზავნ ყველა კანდიდატს უნდა მიეცეს ერთი თვის შვებულება ჯამაგირის შენახვით, ამასთანავე შვებულების ბოლო უშუალოდ უნდა ხვდებოდეს მოსკოვში გამგზავრების დროს.

7. კურსებზე გასაგზავნი კანდიდატები სავსებით უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სამუშაო ხელფასით მოსკოვში გამგზავრებამდე, აგრეთვე გასასვლელი დახმარებით, რის შესახებაც თვითეულს უნდა მიეცეს ცნობა კურსების სამმართველოში წარსადგენად (კურსებზე მიღების შესახებ საბოლოო პასუხის მიღებამდე კანდიდატები სამსახურის ადგილიდან არ უნდა მოიხსნან).

8. კურსანტებს მიეცემათ საერთო საცხოვრებელი ბინა, ქვეშაგები, სასმელ-საჭმელი და სამოსწავლო ნივთები (საცვლები, ფეხსაცმელი და ტანისამოსი კურსანტებს არ მიეცემათ) გარდა ამისა, კურსანტი თვიურად ღებულობს თავისთვის 15 მანეთს, ხოლო ოჯახის შესანახად, ადგილის (სოფელია თუ ქალაქი) და სარჩენთა რიცხვის მიხედვით—40 მან. 90-მდე მანეთს (საშუალო 75 მანეთს.)

9. კანდიდატების მოსკოვში მისაღებ გამოცდებზე გაგზავნისა და მიღებულთა უკან დაბრუნების ხარჯები უნდა გასწიოს იმ პარტიულმა კომიტეტმა, რომელნიც კანდიდატებს გზავნის. პარტკომებსა და თვით კანდიდატებს აქედანვე ეძლევათ გაფრთხილება, რომ ცეკა ამ ხარჯებს ვერ იკისრებს

10. კურსებზე მისაღები გამოცდები იწარმოებს 19—31 აგვისტომდე, ხოლო რეგულიარული მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

11. ყველა კურსანტი იძლევა პირობას იმუშაოს არა ნაკლებ 3 წლისა კოოპერატიულ ან კოლმეურნეობათა ხაზით.

კურსებზე საქართველოს დათმობილი აქვს 8 ადგილი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

თბილისს (ქალი)—1 ადგილი; კახეთს—1; გორს—1 (ქალი); ზუგდიდს—1; აჭარისტანს—1; აფხაზეთს—1 (მოჯამაგირე ქალი); ბორჩალოს—1; ქუთაისს—1.

კურსებზე გასაგზავნ კანდიდატთა შერჩევა აწარმოებს საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას საგ.-საპროპ. [illegible] და დასრულდება არა უგვიანეს 15 აპრილისა.

ადგილობრივი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ კანდიდატთა შერჩევას და გადმოგზავნონ ისინი სათანადო დოკუმენტებით ცეკას საგ.-საპრ. განყოფილებასთან არსებულ შემრჩევ კომისიაში.

კომკავშირი სოფლის კოლექტივიზაციის ფრონტზე

კოლმეურნეობების წევრ კომკავშირელთა თათბირი

მეორე სხდომა

გრძელდება კამათი ამხ. ცაგარელისა და ხერინოვის მოხსენების ირგვლივ.

ამხ. კოჩლავაშვილი, (შორაპნის მაზ.)

სასოფლო-სამეურნეო და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები ფართოდ უნდა ჩაებან კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში. ამისათვის კი საჭიროა აღნიშნულ სკოლების პროგრამებში შეტანილ იქნეს კოლმეურნეობათა პრაქტიკული საკითხები. კოოპერაციის მუშაობა უნდა დაუკავშიროთ კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხებს. ფხიზელი თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, თუ რა ხალხი ან ვინ ერთიანდება კოლექტივებში.

ამხ. კაზიევი, (სამხრეთ-ოსეთი),

ახალგაზრდობის მცირე პროცენტი კოლექტივებში მოწმობს, რომ ჩვენ სუსტად ვღებულობთ მონაწილეობას ამ საქმეში. კომკავშირმა უნდა იზრუნოს, როგორც კომკავშირელების, ისე უპარტიო ახალგაზრდობის გასაერთიანებლად კოლმეურნეობებში.

ამხ. ხუციშვილი, (გორი),

დღემდი გორში დაარსებულ კოლმეურნეობებში უფრო შეძლებული გლეხობა ერთიანდებოდა, ვიდრე ღარიბები. ეს აიხსნება იმით, რომ კოლექტივების დაარსებას პარტია და კომკავშირი არ აქცევს შესაფერ ყურადღებას. უნდა მივიღოთ ზომები კოლექტივების ავადმყოფ წევრთა კურორტებზე გასაგზავნათ.

ამხ. ჩიხლაძე, (ქუთაისი)

ქუთაისის მაზრაში კულაკების ერთმა ჯგუფმა ითხოვა ნებართვა კოლექტივის დაარსების შესახებ. კულაკებმა მიზანს მიაღწიეს და დაარსეს კოლექტივი სწორედ იმ მიწებზე, რომელიც მათ ჩამორთმეული ჰქონდათ. ეს ხდება იმიტომ, რომ პარტიის და კომკავშირის უჯრედები ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ საქმეს. კომკავშირელმა უნდა აწარმოოს ბრძოლა თავის გავლენის მოსახდენათ ოჯახებზედაც. ჩვენ ამნაირად უნდა დავისახოთ, რომ უახლოეს ხანში მოჯამაგირეების 70 პროც. გავაერთიანოთ კოლექტივებში.

მესამე სხდომა

თათბირის მესამე სხდომაზე, 19 მარტს, გრძელდებოდა კამათი ამხ. ცაგარელის და ხერინოვის მოხსენების ირგვლივ:

ამხ. გეჭვაია

(აფხაზეთი)

კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხების განხილვას კომკავშირის უჯრედების სხდომებზე ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს, უჯრედებს გამოაქვთ გრძელ-გრძელი დადგენილებები, კოლექტივების დაარსების შესახებ. მაგრამ ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის არარაფერს ზრუნავს.

ამხ. კურცხალია

(შორაპნის მაზრა)

კოლექტიურ მეურნეობებს ხშირად საკრედიტო ამხანაგობები არ აძლევენ თავის დროზე სესხს, რაც აფერხებს კოლექტივის მუშაობას. ეს აიხსნება იმით, რომ საკრედიტო ამხანაგობებში ბევრგან ანტისაბჭოთა ელემენტები არიან მოკალათებულნი.

ამხ. ნუცუბიძე

(გორი)

კოლმეურნეობებში ხშირად აქვს ადგილი კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების გაერთიანებას. ეს ვაჟბატონები ბოროტად იყენებენ იმ უპირატესობებს, რომელიც ეძლევა კოლექტიურ მეურნეობებს. ასეთი ელემენტებისაგან უნდა გაიწმინდოს ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი.

ამხ. ზვიადაძე

(საქ. კომკავშირის ცეკა)

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის კომკავშირი აწარმოებს მუშაობას, მაგრამ ამ მუშაობაში ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ მოვისუსტებთ. თუ კომკავშირის რიგებში გვყავს ისეთი ელემენტები, რომლებიც ეწევიან აგიტაცია-პროპაგანდას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, მეორეს მხრივ კომკავშირის მასა არ არის გაცნობილი იმ ამოცანებს, რომელსაც ჩვენს წინაშე პარტია აყენებს სოფლად მუშაობის დარგში. ჩვენი მუშაობის მიზანი უნდა იყოს დავარწმუნოთ კომკავშირის მასა იმაში, რომ კოლექტივიზაციის გარეშე არ არის სხვა გზა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. აქ ამხანაგები გამოსთქვამდნენ იმ აზრს, რომ ის კომკავშირელები, რომლებიც არ გაერთიანდებიან კოლექტივებში, უნდა გავრიცხოთ. ეს აზრი არ არის სწორი, თუმცა ჩვენი ამოცანაა, რომ დამოუკიდებელი მეურნე კომკავშირელები მთელი ასი პროცენტით გავაერთიანოთ კოლექტივებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ბაქრაძემ, (ახალქალაქი), შახბაზოვმა (კახეთი) ქიქინაძემ (გურია).

კამათის დასრულების შემდეგ, თათბირმა მოისმინა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები. მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი და დაიხურა.

იდეოლოგიური გარდატეხა

(პროფ. ჩაიანოვის წერილის გამო)

გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ის № 38-ში (15 თებერვალი 1929 წ.) მოთავსებულია პროფ. ჩაიანოვის წერილი შემდეგი სათაურით: «От классовой крестьянской кооперации к социалистической реконструкции сельского хозяйства». პროფ. ჩაიანოვის ეს წერილი საყურადღებოა მრავალი მხრით. ამიტომ ის შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს ჩვენი მკითხველისათვის.

პროფ. ჩაიანოვი ცნობილი რუსი მკვლევარია. მისი კვლევის საგანს შეადგენდა და შეადგენს სასოფლო მეურნეობის საკითხები. ამ საკითხებზე მას რამოდენიმე სერიოზული შრომა აქვს დაწერილი, რომელთაგან ზოგი რამოდენიმეჯერ გამოიცა. პროფესორი ჩაიანოვი ავტორია ე. წ. მშრომელი ოჯახის მეურნეობის თეორიისა (теория трудового семейного хозяйства), რომელსაც ბევრი მიმდევრები ყავდა რუსეთში. ის გახდა ხელმძღვანელი მთელი სკოლის, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა მარქსიზმს.

აღნიშნულ წერილში პროფ. ჩაიანოვი მოგვითხრობს იმ დიდ **იდეოლოგიურ გარდატეხაზე**, რომელიც განიცადა მან უკანასკნელ წლების განმავლობაში. მართალია, ამბობს ის, მე არ ვაწარმოებდი რეკლამას ახალი იდეებისას და ვერ გამოვედი გაბედულად მათ დასაცავად, მაგრამ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ერთი იდეოლოგიური სისტემის გადაქცევა მეორე იდეოლოგიურ სისტემად მოითხოვს დიდ ორგანიულ მუშაობას კონცეპციის ცალკე დეტალებზე და სუბიექტიურად არ შეიძლება არ იყოს მეტად ძნელი და ნელი პროცესი.

პროფ. ჩაიანოვი არ იყო მარქსისტი. პირიქით, ის მთელ თავისი არსებით **ებრძოდა** მარქსიზმს. დღეს ის აცხადებს საჯაროდ, რომ მან განიცადა დიდი იდეოლოგიური გარდატეხა. ის არ აცხადებს თავის თავს მარქსისტად, მაგრამ უეჭველად ღებულობს მარქსისტული მოძღვრების ზოგიერთ **ძირითად** დებულებებს, რომელთა წინააღმდეგ ის უწინ იბრძოდა.

პროფ. ჩაიანოვი **პირდაპირ** არ ამბობს, რომ ის ღებულობს ზოგიერთ მარქსისტულ დებულებებს. ის იხევს უკან მარქსიზმის წინაშე, მაგრამ ეს უკან დახევა ხდება მეტად ოსტატურად და მოფიქრებულად. თავისი ძველი კონცეპციის სისწორეს ის არ უარყოფს თავისი დროისათვის. უწინ ეს კონცეპცია პროგრესიული და რევოლიუციონური იყო, რადგან ჩვენ მაშინ წვრილი მეურნეობათა სახელით, რომლებიც კოოპერაციაში იყო შეკავშირებული, ვებრძოდით მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებს. ეხლაო, ამბობს ავტორი, მდგომარეობა გამოიცვალა, მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობათა ნაცვლად გვაქვს მსხვილი სოციალისტური და კოლექტიური მეურნეობანი და ამიტომ მათთან ბრძოლა ეხლა არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესიულად და რევოლიუციონურად. ამიტომ წვრილ მეურნეობებმა მხარი უნდა დაუჭირონ სოციალისტურ მშენებლობას სოფელში და შეეცადონ წარმოების ახალ სისტემაზე გადასვლით შესცვალონ თავისი ბუნებაო.

პროფ. ჩაიანოვის გამოსვლა საყურადღებოა იმიტომ, რომ მან აღიარა და აშკარად განაცხადა მასში მომხდარ იდეოლოგიური გარდატეხის შესახებ. რადგანაც ის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია თავისი სკოლის, ამიტომ ეს ფაქტი თავის თავად მეტად საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც. რომ ჩაიანოვი, მიუხედავად იდეოლოგიური გარდატეხისა, **აფუჩეჩებს** ზოგიერთ საკითხებს, ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ის **უწინ** მართალი იყო, ნაწილობრივ მაინც, და რომ ეხლა მისი კონცეპცია უნდა შეცვლილიყო ახალი გარემოების მიხედვით. ჩვენ ვესალმებით პროფ. ჩაიანოვის გამოსვლას, მაგრამ არ შეიძლება არ შევეხოთ ზოგიერთ ძირითად საკითხებს რომლებიც მიფუჩეჩებულია ავტორის მიერ. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ პროფ. ჩაიანოვი გაბედულად ბოლომდის არ აღიარებს თავის შეცდომებს.

უპირველეს ყოვლისა ავიღოთ მსხვილი მეურნეობის პრობლემა სასოფლო მეურნეობაში.

პროფ. ჩაიანოვი ამბობს, რომ მას სწამს მსხვილი მეურნეობის განვითარების შესაძლებლობა სოფელში. მაგრამ როგორც ჩვენ, ისე ჩვენი მომხრეები, ამბობს ის, არც უწინ ვიყავით „დამცველები დაქსაქსული წვრილი მეურნეობისა, ჩვენ ნათლად გვესმოდა, რომ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას, საზოგადოთ, **არა აქვს არავითარი მომავალი** და რომ ის უნდა წავიდეს ან კოლექტივიზაციის გზით ან და კაპიტალისტური განვითარების გზით“.

გამოდის, რომ ომის წინად მსხვილი მეურნეობის პრობლემა არ იყო სადავო მარქსისტებსა და ჩაიანოვს შორის.

ჩვენ არ შეგვიძლია ვერწმუნოთ ასეთ ისტორიას. აქ ისტორიული ფაქტები უეჭველად მახინჯათ არის გადმოცემული. მსხვილი მეურნეობის შესაძლებლობა სოფლის მეურნეობაში, — ეს ისეთი პრობლემა იყო, რომლის გარშემო მთელი ათეული წლებით გრძელდებოდა დავა ეკონომიურ ლიტერატურაში. საკმარისია აქ მოვიგონოთ ცნობილი გერმანელი რევიზიონისტის დავიდის, გერცის, ბულგაკოვის და სხ. ნაწერები ამ საკითხზე.

სწორედ ეს პრობლემა იყო ისეთი პრობლემა, რომელზედაც ასტეხეს რევიზიონისტებმა ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მარქსის დებულება წარმოების კონცენტრაციის შესახებ სოფლის მეურნეობაში არ გამართლდა, რადგან იქ სულ სხვა კანონები მეფობდაო. სოფლის მეურნეობა, მათი აზრით, უნდა დარჩენილიყო წვრილი გლეხური საკუთრების სამეფოდ, რადგან მსხვილი მეურნეობის განვითარება იქ შეუძლებელიაო.

ასე ამბობდენ რევიზიონისტები. ამ დებულების დასამტკიცებლად მათ დახარჯეს აუარებელი ენერგია, ქაღალდი და მელანი.

მაგრამ რა შუაშია აქ პროფ. ჩაიანოვი და მისი სკოლა?

საქმე იმაშია, რომ ჩაიანოვი იდგა ამ რევიზიონისტული შეხედულებების ნიადაგზე, იზიარებდა მათ. ჩაიანოვს არ სწამდა მსხვილი მეურნეობის მნიშვნელოვანათ განვითარება სასოფლო მეურნეობაში. მხოლოდ ზოგიერთ სასოფლო მეურნეობის დარგებში შეიძლება ადგილი ექნეს და განვითარდეს მსხვილი წარმოება. მიუხედავად ამისა, სასოფლო მეურნეობა მთლიანად რჩება წვრილი კერძო მეურნეობის სამეფოდ.

ასეთ შეხედულებებს ანვითარებდა პროფ. ჩაიანოვი არა მარტო ომის წინად, არამედ ომის შემდეგაც. რომ უფრო ნათელი გავხადოთ ეს დებულება მოვიყვანოთ სათანადო ადგილები პროფ. ჩაიანოვის „კაპიტალური“ შრომიდან: „Основные идеи и формы организации крестьянской кооперации“, რომელიც დაიბეჭდა და გამოვიდა მოსკოვში 1919 წელს, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დროს.

პროფ. ჩაიანოვის აზრით შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში **გაცვლა - გამოცვლის პროცესი** და საკრედიტო სისტემა მოეწყოს ფართო მასშტაბში, მსხვილი მეურნეობების ფორმებში. აქ ადგილი ექნება მსხვილ მეურნეობას. გლეხობამ უნდა გადასცეს ყიდვა - გაყიდვის ოპერაციები და საკრედიტო საქმე სათანადო კოოპერატივებს, რომლებიც ამ ოპერაციებს ფართო მასშტაბში აწესრიგებენ, როგორც მსხვილ მეურნეობას. მაგრამ ეს კოოპერაცია არ ეხება თვით **გლეხის წარმოების პროცესს**, რომელიც უნდა დარჩეს **მუდმივად** წვრილ წარმოებათ. გლეხისათვის ხელსაყრელია ყიდვა-გაყიდვის მიზნით და სესხის მიღების მიზნით კოოპერატივებში შეკავშირება, მაგრამ მისთვის არ არის ხელსაყრელი **საწარმოო პროცესების გადაცემა კოლექტივების ხელში**, რადგან ეს უკანასკნელები ვერ გაამართლებენ თავის თავს.

მოვუსმინოთ თვით პროფ. ჩაიანოვს: „მშრომელთა კომუნა ყოველთვის **იქნება უფრო სუსტი** კოოპერატივში შეკავშირებულ მშრომელის მეურნეობაზე, რადგან თავისი სტრუქტურის მიხედვით მან უნდა მოაწყოს მსხვილ ფორმებში არა მარტო ის საწარმოო დარგები, რომელთა ასე მოწყობა უფრო სასარგებლო და საჭიროა, არამედ ისეთებიც, **სადაც წვრილი მეურნეობა ტექნიკურის მხრივ უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს**... ასეთია ის მოსაზრებები, რომლებიც ჩვენ გვაიძულებს დავასკვნათ, რომ **გადასვლა ნაწილობრივი კოოპერაციიდან წარმოების სრულ კომუნიზაციაზე ტექნიკური მოსაზრებით არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესიულ მოვლენად** (ხაზი ჩვენია კ. ო.). [1]).

თუ გლეხებმა გააუქმა თავისი მეურნეობანი და შეკავშირდა კომუნებში, მაშინ ისინი წააგებენ, რადგან ტექნიკური თვალსაზრისით წვრილი წარმოება სოფლის მეურნეობაში უფრო მიზანშეწონილი და გამართლებულია. ასეთია პროფ. ჩაიანოვის აზრი, რომელსაც ის მეორე ადგილასაც იმეორებს [2]).

როგორც ვხედავთ პროფ. ჩაიანოვი უარყოფდა მსხვილი მეურნეობის შესაძლებლობას სოფლის მეურნეობაში, საჭიროდ და უფრო პროგრესიულად სთვლიდა წვრილი წარმოების შენახვას, ამართლებდა მის არსებობას. პროფეს. ჩაიანოვის კონცეპციის სახით ჩვენ გვქონდა თეორია წვრილი მეურნეობის გამუდმივებისა. სწორედ ამას ამბობდა გერმანელი რევიზიონისტებიც. აქ დიდი განსხვავება არ არის ჩაიანოვსა და რევიზიონისტებს შორის. ცნობილი დავიდის რევიზიონისტული თეორიაც აპოლოგია იყო სოფ. წვრ. მეურნეობისა (იხ: მისი წიგნი—Социализм и сельское хозяйство, 1908 წ., გვ. 546). ჩაიანოვი მხოლოდ იმეორებს და რუსულად „სთარგმნის“ დავიდის „აღმოჩენებს“.

მაშასადამე, პროფ. ჩაიანოვი უარყოფდა სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოებას, უარყოფდა მისი მსხვილი მეურნეობის საფუძვლებზე გადასვლის შესაძლებლობას. ეხლა კი ის გამოდის და გვეუბნება, რომ უწინ ის არ გამოდიოდა წვრილი წარმოების დამცველის როლში. პროფ. ჩაიანოვი „მორცხვობს“, ის ვერ ამბობს გაბედულად, რომ აღნიშნულ საკითხში მართალი იყო მარქსისტები და არა რევიზიონისტები და ჩაიანოვი თავისი სკოლით.

ეხლა ავიღოთ მეორე საკითხი — **კოოპერაციის როლის შესახებ კაპიტალიზმის და პროლეტარიატის დიქტატურის დროს.**

მართალია, რომ ჩაიანოვი უწინ აყენებდა გლეხურ მეურნეობების კოოპერატივებში შეკავშირების საკითხს. მაგრამ ვიკითხოთ რა მიზანს ისახავდა ის და მისი მომხრეები კოოპერატიული იდეის პროპაგანდის დროს?

პროფ. ჩაიანოვი უპირდაპირებდა კაპიტალიზმის ხანაში არსებულ კოოპერაციას კაპიტალიზმს, და ფიქრობდა, რომ სწორედ კოოპერაცია იხსნის გლეხობას კაპიტალისტური განვითარების გზისაგან და მიიყვანს სოციალიზმამდის. ჩვენ ვფიქრობდით, ამბობს ჩაიანოვი, რომ „გლეხობისათვის ერთად ერთი გამოსავალი — ეს არის კოოპერატიული განვითარების გზა“. თავის დროს (ე. ი. კაპიტალიზმის დროს) ეს პოზიცია სწორი და რევოლიუციონური იყო, ეხლა კი ასეთი დაპირდაპირება კოოპერატიული და სოციალისტური განვითარებისა რეაქციონურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ამ საკითხშიც პროფ. ჩაიანოვი სასტიკად სცდება. კოოპერაციის საშუალებით გლეხობის გაბედნიერება კაპიტალიზმის დროს წმინდა წყლის უტოპიას წარმოადგენს. თვით კოოპერაცია სრულებით არ უპირდაპირდება კაპიტალიზმს, არამედ იყო მხოლოდ იარაღი ამ უკანასკნელის ხელში. პროფეს. ჩაიანოვს არ ესმის, რომ მისი „კოოპერატიული გზა“ კაპიტალიზმის დროს იყო და არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო კაპიტალისტური განვითარების გზა.

პროფ. ჩაიანოვი ოცნებობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე, რომელიც მისი აზრით, იცავდა გლეხობის **კლასიურ ინტერესებს**. მაგრამ ეს კოოპერაცია აკავშირებდა გლეხებს მხოლოდ გაცვლის პროცესში და ოდნავადაც არ უწყობდა ხელს მათ სოციალისტურ გზაზე გამოყვანას. პირიქით, კოოპერაციას, კაპიტალიზმის პირობებში, **მიჰყავდა გლეხობა კაპიტალისტური განვითარების გზით, ის ხელს უწყობდა მის დაშლას სხვადასხვა სოციალურ ფენებათ** და, მაშასადამე, **ახალი კლასების წარმოშობას.**

ეს უდავო ელემენტარული ჭეშმარიტება დღესაც ვერ შეუგნია პროფ. ჩაიანოვს და თავის ძველ უტოპიას ის ასალებს რევოლიუციონურ რამეთ. ნამდვილად კი მისი თეორია **რეაქციონურ უტოპიას წარმოადგენდა**. პროფ. ჩაიანოვი დღეს ახდენს რევიზიას თავისი წარსული იდეოლოგიური შეხედულებისას, მათ გადაფასებას. მაგრამ ის გაბედულად ვერ სწყვეტს კავშირს წარსულთან. მას მისაღებად მიაჩნია ამხ. ლენინის კოოპერატიული გეგმა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, მაგრამ ამავე დროს ის ცდილობს თავისი ძველი რეაქციონური უტოპიის გამართლებას. ეს მოწმობს იმას. რომ ხსენებული წერილის ავტორი ვერ განთავისუფლებულა სავსებით თავისი ძველი შეხედულებებისაგან.

რაც არ უნდა იყოს ჩვენ მაინც გვაქვს პროგრესი. პროფ. ჩაიანოვი შორდება თავის ძველ პოზიციას და ნაწილობრივ დაშორდა კიდეც. **ის ეხლა ლაპარაკობს მსხვილი სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობაზე სოფლის მეურნეობაში, გიგანტიური კოლექტიური მეურნეობის შექმნაზე მთელი თემების და რაიონების მასშტაბით.** მეორეს მხრივ მას მისაღებათ მიაჩნია ამხ. ლენინის **კოოპერატიული გეგმა.** წვრილი გლეხური მეურნეობა თანდათან უარყოფს თავის თავს და გადასცემს სამეურნეო ფუნქციებს და ოპერაციებს მსხვილ კოლექტივებს. **მოხდება წვრილი გლეხური წარმოების განსაზოგადოება კოლექტივების სახით.** ასეთი კოოპერატიული განვითარების გზით გლეხობა თანდათან დაუახლოვდება სოციალისტურ სექტორს და ბოლოს და ბოლოს გაითქვიფება მასში.

ამ ორი მნიშვნელოვანი დებულების მიღება პროფ. ჩაიანოვის და მისი ზოგიერთი მომხრეების მიერ არ შეიძლება არ ჩაითვალოს მარქსიზმის დიდ მორიგ გამარჯვებათ.

რითი არის გამოწვეული ეს გამარჯვება? რატომ ახდენს პროფ. ჩაიანოვი თავისი იდეების გადაფასებას?

ეს გარემოება აიხსნება ჩვენი დიდი მიღწევებით სოფელში მსხვილი სოციალისტური მეურნეობების განვითარების საქმეში. ჩვენ მოწმენი ვართ გიგანტიური კოლექტიურ მეურნეობათა შექმნისა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში. ეს მეურნეობანი ტრაქტორების კოლონიების და სხვა მანქანების შემწეობით „სასწაულებს“ ახდენენ. თუ უწინ წვრილი კოლექტივები ვერ იძლეოდა საჭირო სამეურნეო ეფექტს და მასიურ განსაზოგადოებას, ეხლა მსხვილი კოლექტივები იწვევენ მთელ რევოლიუციას სოფლის მეურნეობაში. გლეხობის ფართო წრეებისათვის ხდება უდავო ჭეშმარიტებათ მსხვილი კოლექტიური მეურნეობების დიდი უპირატესობანი. **ინგრევა მათი ფანატიზმი, საფუძველი ეთხრება მათ ინდივიდუალიზმს.** ხდება გარდატეხა გლეხობის შეხედულებებში, პსიქოლოგიაში.

ეს პროცესი ინდივიდუალურ მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობებათ გადაქცევისა პოულობს თავის თეორეტიულ გამოხატულებას. თეორეტიულად ის გამოიხატება ძველი ინდივიდუალისტური თეორიის საფუძვლების რევიზიასა და გადაფასებაში, ახალ კოლექტიურ პრინციპებთან დაახლოვებასა და ამ პრინციპების მიღებაში. მდგომარეობა ქმნის შეგნებას...

იდეოლოგიური გარდატეხა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ჩაიანოვის სახით, ამ მხრივ მეტად საინტერესო სიმპტომატიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

პროფ. ჩაიანოვი არ გამხდარა მარქსისტი. როგორც ის თვით ამბობს პროცესი იდეოლოგიური გარდატეხისა მეტად ძნელი და ნელი პროცესია. მაგრამ მან მიიღო, სცნო მართებულად ზოგიერთი ძირითადი დებულებანი მარქსიზმისა, რეალური სინამდვილის შესწავლამ დაარწმუნა ის ამ დებულებათა სისწორეში.

პროფ. ჩაიანოვი ჩაბმულია სასოფლო მეურნეობის მშენებლობაში, კერძოდ კი მსხვილი კოლექტიური მეურნეობათა მშენებლობაში. ეს პრაქტიკული მუშაობა კიდევ უფრო დაარწმუნებს მას, რომ მარქსისტული თეორია სოფლის მეურნეობის განვითარებისა სავსებით სწორია. შესაძლებელია რომ პრაქტიკული მუშაობის პროცესში ის სავსებით გასწყვეტს კავშირს თავის ყალბ ძველ იდეებთან და დაასრულებს იდეოლოგიურ ევოლიუციას და გარდატეხის გზას მარქსიზმის სრული ცნობით.

ამას მომავალი დაგვანახვებს.

კ. ორაგველიძე.

---

[1] А. Чаянов—Основные идеи и формы организации крестьянской кооперации, 1919 წ. გვ. 42.

[2] იქვე გვ. 468—469.

ახალი მიღწევებისაკენ

(ქართული წითელი არმიის რვა წლის თავის გამო)

დღეს რვა წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი ქართულ წითელ არმიის ჩამოყალიბების შესახებ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში ამხ. სერგო ორჯონიკიძემ ლენინისაგან მიიღო წერილი, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ქართული წითელი არმიის შექმნის მნიშვნელობა.

დიდი სიძნელენი იქნა დაძლეული ქართულ წითელ არმიის აღმშენებლობის პროცესში. უპირველეს ყოვლისა დაისვა მეტად რთული ამოცანა—საკუთარ მეთაურთა შემადგენლობის კადრის შექმნის შესახებ მუშ. და გლეხებისაგან.

№ ქართულ მსრ. ლეგიონის მეთაურები სამხ. ამოცანის გარჩევაზე

ამ რვა წლის განმავლობაში არა ერთი და ორი ასეული მეთაურები იქნა მომზადებული ქართულ მეთაურთა სკოლის მიერ მუშებისაგან და გლეხებისაგან. დღეს № ქართულ დივიზიაში მეთაურთა შემადგენლობის 53 პროც. კომპარტიის წევრია.

დიდი დაბრკოლებები ელობებოდა ქართული წითელი ნაწილების შექმნას მატერიალურ მხრივაც. მენშევიკებისაგან ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ სრულიად დანგრეული და უვარგისი სამხედრო მეურნეობა, საჭირო იყო ყველაფრის ხელახლა აშენება. ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცებასთან ერთად თანდათანობით უმჯობესდებოდა ქართულ წითელ ჯარის ნაწილების მატერიალური მდგომარეობაც, წითელ ყაზარმის დათვალიერების დროს, რაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ იქნა ჩატარებული, მშრომელი მასები დარწმუნდნენ იმ დიდ მიღწევებში, რომელიც დღეს ქართულ ნაწილებს აქვთ საბინაო და ყოფა-ცხოვრებრივ დარგებში.

საკავშირო ასეულის წითელ-არმიელები

ერთ-ერთ მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა აგრეთვე ტერიტორიალურ ერთეულების შექმნა საქართველოში, რთული იყო ეს ამოცანა ჯერ იმიტომაც, რომ წარსულში ჩვენ არ გვქონდა გამოცდილება ამ საქმეში. თუ რამდენად წარმოადგენდნენ დღეს ტერიტორიალური ნაწილები მძლავრ სამხედრო ძალას, ჩანს შემდეგ ფაქტებიდან: მეორე ქართულმა ტერიტორიალურმა დივიზიამ 1927 წელში აიღო პირველი ადგილი ტყვიაფრქვევების სროლაში და მეორე თოფების სროლაში, ხოლო 1928 წელში დივიზიამ აიღო საკავშირო რევოლუციონური სამხედრო საბჭოს სახელობის მესამე საარტილერიო ჯილდო.

თუ რამდენად მტკიცეა გაბმული კავშირი ტერიტორიალურ დივიზიის და მოსახლეობას შორის ჩანს იმ ბრწყინვალე შედეგებიდან, რომლითაც დამთავრდა აჭარელთა პირველი გაწვევა წითელ ჯარში. გ. წ. შემოდგომაზე.

პირველ გამოცდების დაჭერა ქართულ წითელ ჯარის ნაწილებს მოუხდათ ჯერ კიდევ 1922 წელში, ხევსურეთში ბანდიტების წინააღმდეგ მოქმედების დროს. შემდეგ ქართული დივიზია აწარმოებს ბრძოლას მენშევიკურ ავანტიურის წინააღმდეგ 1924 წელში.

ამჟამად ქართულმა დივიზიებმა უკვე განვლეს საორგანიზაციო პერიოდი და ისინი წარმოადგენდნენ სავსებით ჩამოყალიბებულ ნაწილებს, რომლებიც თავის ბრძოლის უნარიანობით არ ჩამორჩებიან მუშათა და გლეხთა წითელ არმიის დანარჩენ ერთეულებს.

ეს მიღწევები უპირველეს ყოვლისა უნდა მიეწეროს იმ დიდ პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას, რომელიც სწარმოებს ქართულ დივიზიებში პარტიულ ორგანიზაციის და პოლიტიკურ აპარატის საშუალებით. მხოლოდ უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში ორივე დივიზიებში პარტიულ ორგანიზაციებში მიღებული იქნა 1728 კაცი, უმთავრესად მუშები და გლეხები. ყოველწლიურად მატულობს მუშების რიცხვი არა მარტო სამხედრო პარტორგანიზაციაში, არამედ ნაწილების მთელ შემადგენლობაში. ამ დროს განმავლობაში სპეციალურ კურსებზე მომზადებულ იქნა 3.300 კაცი, რომლებიც წითელ ჯარიდან დათხოვნის შემდეგ აწარმოებენ მუშაობას სოფლად.

წითელ-არმიელები მეცადინეობის დროს

ჯარიდან არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ ბრუნდება სახლში იმ დროს, როდესაც გაწვევის დროს ახალგაზრდობის დაახლოებით ერთი მესამედი წერა-კითხვის უცოდინარია.

ამჟამად ორივე ქართულ დივიზიაში ჩამოყალიბებულია 12 კლუბი, 164 ფუნდამენტალური და მოძრავი ბიბლიოთეკა, 79 ლენკუთხე 224 კედლის გაზეთი და ერთი ბეჭდვითი ორგანო „წითელი არმიელი", რომელიც ვრცელდება არა მარტო წითელარმიელთა შორის, არამედ სხვა მოქალაქეებშიაც.

წითელ არმიის ქართულ ნაწილებმა უკვე დაამტკიცეს თავისი ერთგულება მუშათა კლასის საქმისადმი. ისინი მზად არიან გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად, თუ ეს მოითხოვა მდგომარეობამ.

წითელი მხედარი.

„ლენინის სახელობის სამდღიური"

უპატრონო ბავშვთა დახმარე ფონდის გასაძლიერებლად ახლო ხანში ჩატარებული იქნება „ლენინის სახელობის სამდღიური". სამდღიურის ჩასატარებლად საქართველოს ცაკთან დაარსდა რესპუბლიკანური კომისია.

კომისიამ ამხ. კ. ხომერიკის თავმჯდომარეობით თავის პირველ სხდომაზე შეიმუშავა სამდღიურის ჩატარების გეგმა. გარდა მატერიალურ საშუალებების გაძლიერებისა, სამდღიურის მიზანია მოსახლეობისათვის ბავშთა უპატრონობის წარმომშობ მიზეზების განმარტება და ამ მიზეზების მოსასპობათ ფართო მასების ამოქმედება. ამ მიზნით სამდღიურის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე პრესის საშუალებით ჩატარებული იქნება კამპანია სათაურით „ლენინის სახელობის სამდღიური". გამოშვებული იქნება სპეციალური პლაკატები, ფლეტონები და დასურათებული ჟურნალი ქართულ და რუსულ ენებზე.

მუშათა კლუბებში და წარმოება-დაწესებულებებში მოეწყობა შესაფერი საღამოები და ლექცია-საუბრები ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლის შესახებ.

სამდღიურის ჩასატარებლად ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებში მოეწყობა ადგილობრივი კომისიები. გარდა ამისა ადგილებზე წინასწარი მოსამზადებელი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ, კომისიამ დაადგინა გაიგზავნოს: ქუთაისის მაზრაში—ამხ. ქაცარავა, სენაკისა და ზუგდიდში—ამხ. ცომაია, კახეთში—ამხ. ხომერიკი, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ბორჩალოსა და ახალციხეში—ამხ. მგელაძე.

სამდღიური მთელს რესპუბლიკაში ჩატარებული იქნება 21, 22 და 23 აპრილს. 22 აპრილს (ორშაბათს) სამდღიურის სასარგებლოდ ყველა თეატრებსა და კინოებში მოეწყობა საღამოები, წარმოდგენები, კონცერტები და სხვ. სამდღიურის განმავლობაში მთელს რესპუბლიკაში იწარმოებს შემოწირულებისა და ყულაბებით ფულის შეგროვება. ამასთანავე სამდღიურის სასარგებლოდ 10 პროცენტით დაბეგვრილი იქნება ყველა გასართობები, სასტუმროები, სასადილოები და სხვ.

თბილისში სამდღიურის ჩასატარებლად გამოყოფილი იქნა ქვე-კომისია ამხ. ნინა მახარაძის თავმჯდომარეობით.

ანგარიშგებისა და ბალანსების წარდგენა და განხილვა

ანგარიშგებით ვალდებულ ყველა საწარმოს დაევალა დაუყოვნებლივ წარუდგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1927—28 საოპერ. წლის ანგარიშები და ბალანსები გათვალისწინებული დანართებით და ახსნითი ბარათით.

მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაევალა თვალყური ადევნოს საწარმოთა მიერ ანგარიშგების დროზე წარდგენას ფინსახკომში და ანგარიშების დროზე წარმოუდგენლობისათვის დამნაშავე პირები მისცეს პასუხისგებაში.

მიმდინარე წლის საბალანსო კამპანიის დამთავრების ვადათ დანიშნულია 1929 წ. მაისის 1-ლი.

განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხანაში ყოველდღიურად 20.000 სამუშაო საათი უნაყოფოდ იკარგება. — მეორე ზეთის სახდელ ქარხნის გამგე და ქარხკომის მდივანი ღვინით გალეშილები ცხადდებიან სამუშაოზე. — რიონჰესის მთავარ სამმართველოში ადგილი აქვს თანამშრომლების დაგვიანებას სამსახურში. — ავეჯეულობის ქარხანაში შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად დაეცა.

როგორ ირღვევა შრომის დისციპლინა

შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი ფართოდ არის დასმული ჩვენს წინაშე. ამ საკითხით დღეს დაინტერესებული არიან არა მარტო საწარმოების ხელმძღვანელები, პროფკავშირები და სხვა ორგანოები, არამედ თვით მუშათა ფართო მასებიც, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმული წარმოების ყოველდღიურ საქმიანობაში და თვალყურს ადევნებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

თუ გადავავლებთ თვალს ჩვენი საწარმოების მუშაობას და გავეცნობით წარმოების ნაყოფიერებას, ვნახავთ, რომ შრომის დისციპლინის დაცემის გამო, ფერხდება შრომის ნაყოფიერების ზრდა, ირღვევა საწარმოო პროგრამა, ძვირდება პროდუქტის თვითღირებულება და ეცემა ნაწარმოების ხარისხიც. ბევრს საწარმოში არამც თუ სრულდება წინასწარ დასახული საწარმოო პროგრამა, არამედ ხშირად ამ საწარმოო პროგრამის 50 პროცენტსაც ძლივს აღწევს შრომის ნაყოფიერება. ასეა ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში, სატყეო ტრესტის ავეჯეულობის ქარხანაში, არსენალის მექანიკურ ქარხანაში და სხვ.

ვაგონებისა და ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის ამწყობთა საამქრომ, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ძირითადი შეკეთებიდან გამოუშვა 15 ორთქლმავალი, ე. ი. საწარმოო პროგრამის 79 პროცენტი. საშუალო შეკეთებიდან 5 ორთქლმავალი, 56 პროც. ასეთივე მდგომარეობაა აღნიშნულ ქარხნის სხვა საამქროებშიაც.

ამასთან ერთად საამქროებში აუარებელი სამუშაო საათები იკარგება უნაყოფოდ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ თითქმის ყოველდღე ბევრი მუშა რამდენიმე წუთით ადრე უშვებს ხელს სამუშაოს და პირის საბანთან ტყუილ-უბრალოდ დგას სანამ საყვირს აუშვებენ ხშირად აქვს ადგილი აგრეთვე სამუშაოს ფარულად გაცდენას. (ნომერის დაკიდვას და შემდეგ რამდენიმე საათით წასვლას საწარმოდან და სხვ). ეს წუთები მთელს ქარხანაში, დღეში 20.000 სამუშაო საათს უდრის. ამასთან დღეში დაახლოებით 5000 სამუშაო საათი არ არის საკმაოდ დატვირთული საქმით. ეს გარემოება კი რამდენიმე ათას მანეთ ზარალს აყენებს წარმოებას.

აღსანიშნავია, რომ შრომის დისციპლინას ხშირად თვით პასუხისმგებელი მუშაკებიც არღვევენ. მეორე ზეთის სახდელი ქარხნის გამგე და ამავე ქარხნის ქარხკომის მდივანი, თითქმის ყოველდღე ღვინით გალეშილები ცხადდებიან ქარხანაში სხვა მუშებსაც აცდენენ სამუშაოს. ასეთი ხელმძღვანელების ხელში ზედმეტი არის ლაპარაკი შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე და წარმოების გაჯანსაღებაზე.

შრომის ნაყოფიერება ეცემა

(რიონჰესი)

რიონჰესის სამუშაოებზე ამჟამად მრავალი მუშა მუშაობს; ყველა უბანში გაცხოველებით მიდის მშენებლობა, მაგრამ ადმინისტრაცია ზოგ საკითხში ძალიან დაუკვირებლობას იჩენს, რითაც საგრძნობლად ეცემა შრომის ნაყოფიერება.

7 მარტს მთავარ სამმართველოში სამუშაოზე დაიგვიანა 19 კაცმა 341 წუთით, რვა მარტს 24 კაცმა 380 წუთით, ცხრა მარტს კი ოცმა კაცმა 344 წუთით. სულ სამი დღის განმავლობაში დაგვიანება უდრის 1065 წუთს, ე. ი. 17 საათსა და 45 წუთს, თუ თვეზე გადავიყვანთ უდრის 23 დღეს და 2 საათს. ეს ხდება მთავარ სამმართველოში, სადაც ახლოა ხელმძღვანელიც და ვფიქრობ შრომის დისციპლინა შედარებით უკეთ უნდა იყოს. რა იქნება უბნების კანტორებში, რომლებიც ასე თუ ისე დაშორებული არიან ცენტრს? ჩვენის აზრით ამ საკითხს ყურადღება უნდა აქციონ სათანადო ორგანოებმა.

ახლობელი.

ვინ არღვევს შრომის დისციპლინას

(№ 2 ზეთის სახდელი ქარხანა)

თბილისის მეორე ზეთის სახდელი ქარხნის გამგე ამხ. ვ. ნაფეტვარიძეს და ამავე ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარეს ამხ. დანგიაშვილს ძალიან უყვართ სამიკიტნოში ქეიფი და ერთად დროების ტარება. ამაზე არაფერს იტყოდა კაცი, რომ მათი ასეთი საქციელი არ არღვევდეს შრომის დისციპლინას და ხელს არ უშლიდეს შრომის ნაყოფიერების ზრდას. არ გავა ისეთი დღე, რომ ეს ორი მეგობარი ღვინით გალეშილი არ გამოცხადდენ ქარხანაში და მოვალეობის შესრულების მაგიერ მუშებთან უნაყოფო საუბარში და ლაზღანდარობაში არ გაატარონ დრო. ისინი არამც თუ თვითონ არღვევენ შრომის დისციპლინას და სცდებიან სამუშაოს, არამედ სხვა მუშებსაც ხელს უშლიან მუშაობაში, რაც ძალზე მოქმედობს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ამასთან ერთად ეს მხიარული და ქეიფის მოყვარული მეგობრები, ძალიან ხშირად იგვიანებენ სამუშაოზე, რის გამოც არც ერთი შენიშვნა და არც ერთი გაფრთხილება არავის არ მიუცია. ასეთ ქარხკომის თავმჯდომარის და გამგის ხელში, რასაკვირველია, რომ ზედმეტია ლაპარაკი შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე და წარმოების გაუმჯობესებაზე.

ხევსური.

რა უშლის ხელს წარმოების რაციონალიზაციას

(ფ.-ტელეგრაფის მთავარი კანტორა)

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორაში არსებობს მიღებულ ფოსტის გამრჩევი განყოფილება. მის მოვალეობას შეადგენს რკინის გზით მიღებულ ფოსტის მთავარ კანტორაში გადატანა, გარჩევა და შემდეგ ადრესების მიხედვით მისი განაწილება.

ეს მუშაობა არც ისე რთულია. მთელ მუშაობას სავსებით შეასრულებს 3—4 კაცი. მაგრამ განყოფილების შტატი ამ რიცხვს გაცილებით აღემატება. თანამშრომლები არ არიან სავსებით დატვირთულნი მუშაობით. ზოგი მათგანი დატვირთულია 50 პროც., ზოგი 60 პროც. გამოდის, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ჯამაგირს იძლევა უსაქმობისათვის.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება კანტორის თანამშრომელმა ვ. გონგაძემ და წარუდგინა საწარმოო კომისიას თავისი მოსაზრება გადამრჩევი განყოფილების გადახალისების შესახებ. მისი აზრით შესაძლებელია განყოფილების სრულიად გაუქმება. ეს მუშაობა შეიძლება დაეკისროს იმ თანამშრომლებს, რომლებიც ეხლა მხოლოდ იღებენ ფოსტას რკინის გზის განყოფილებაში და გადააქვთ მთავარ კანტორაში. ამგვარად განთავისუფლდებიან განყოფილების დანარჩენი თანამშრომლები, რომელთა გამოყენება შეიძლება სხვა სამუშაოებზე.

ამხ. გონგაძის მოსაზრება ყოველმხრივ იქნა შესწავლილი.

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გამოიყო ამ მიზნით, საკმაო დროის განმავლობაში აწარმოა დაკვირვება გადამრჩევი განყოფილების მუშაობაზე და გამოიტანა ის დასკვნა, რომ აქ თანამშრომლები მართლაც არ არიან დატვირთული მუშაობით, რაც თვით საქმის ხასიათით აიხსნება. კომისიამ ამხ. გონგაძის მოსაზრება განყოფილების გადახალისების შესახებ მიზანშეწონილად და შესაძლებლად სცნო.

ამ წინადადების ცხოვრებაში გატარებით ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას დარჩება ყოველთვიურად დაახლოებით 600—700 მანეთი. წინადადებამ გაიარა ყველა ინსტანცია. კანტორის თანამშრომელთა საერთო კრებაც კი გაეცნო მას და გამოიტანა დადგენილება, რათა გონგაძეს, სარგებლიან წინადადებისათვის ჯილდო მისცემოდა. მაგრამ სამწუხაროდ წინადადება დღემდე განუხორციელებელია.

აღსანიშნავია ის, რომ თვით ადმინისტრაციის წარმომადგენელნიც იღებდნენ მონაწილეობას ამხ. გონგაძის წინადადების შესწავლაში; მათაც უწერიათ ხელი იმ ოქმზე, სადაც გონგაძის წინადადება მიზანშეწონილად არის ცნობილი. მაშ რატომ არ ატარებენ ცხოვრებაში მუშის წინადადებას?

ჩვენის აზრით ეს არის ადმინისტრაციის თვითნებობა, ბიუროკრატობა და მეტი არაფერი.

ტ—ძე.

პიონერები აგროვებენ ლითონის ნამტვრევებს

სად იკარგება დღეში ორი საათი

ორთქლმავალთა და ვაგონების შემკ. ქარხნის სალითონო საამქროს ადმინისტრაცია ყოველგვარ საშუალებას ხმარობს წარმოების ასაწევად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მან არ იცის როგორ და რით შეიძლება გაუმჯობესდეს წარმოება და გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება. საამქროს მუშები დატვირთულნი არიან მთელი რვა საათის განმავლობაში, მაგრამ როცა ამ დატვირთვის ხელფასის დასაკმაყოფილებლად მიმართავენ ხოლმე მუშები ადმინისტრაციას, უკანასკნელი იმ წამსვე შრომის კოდექსებს გადაუშლის და ისტუმრებს უარით.

შრომის კოდექსს ადმინისტრაცია მხოლოდ ზოგ მუშებზე ანხორციელებს. ამავე დროს კი ადმინისტრაცია სრულებით არ აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ყოველ დღე საამქროს აკლდება 8 საათი, რომლითაც სარგებლობენ ჩამომსხმელების უფროსები. ჩამომსხმელების უფროსებს ეწერებათ რვა საათი, და მუშაობენ კი ოთხ საათს. ისინი ლითონის ჩამოსხმამდე დაბრძანდებიან თავისუფლად, რაც წარმოებას დიდ ზარალს აყენებს. ნუ თუ ვერ ხედავს ადმინისტრაცია ამ მოვლენას.

კალმის წვერი.

ცუდი ხელმძღვანელობის გამო შრომის ნაყოფიერება დაეცა

(შავი ზღვის რკინის გზა)

გასული წლის სექტემბერში შავი ზღვის რკინის გზის მე-35 კილომეტრში დიდი მუშაობა გაჩაღდა. ამ მუშაობას პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა „ცესუ". მიწის გადამცლელ მუშებს კარგ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. თითო ბაქნის გადაცლაში ეძლეოდათ 1 მან. 75 კაპ.-დან 2 მან. 25 კაპ.-მდე. მუშაობა სწრაფად მიმდინარეობდა და შრომის ნაყოფიერებაც ყოველდღიურად იზრდებოდა. თითო მუშა დღეში 6—8 ვაგონს სცლიდა.

მაგრამ როცა სამუშაო, პირველი კვარტალის დამთავრების შემდეგ. გადაიბარა მეორე უბნის უფროსმა ამხ. ხვადაგიანმა, რომელმაც მუშები გადაიყვანა დღიურად, შრომის ნაყოფიერება დაეცა. მუშა დღეში სცლიდა საშუალოდ—1 ნახ. კვ. საჟენს და ამაში ღებულობდა 1 მან. 62 კაპ. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეაფერხა წარმოება და დიდი ზარალიც მიაყენა შავი ზღვის რკინის გზას.

ბეჟუაშვილი.

ნათლიმამობა თბილისის ტელეფონის სადგურში

თბილისის ტელეფონის სადგურში დიდ დაუდევრობას და ნათლიმამობას აქვს ადგილი. აქ თანამშრომლების მიღების საქმე ვერ არის სათანადოდ მოგვარებული. ადგილკომთან არსებული შემფასებელი საკონფლიქტო კომისიაც ვერ იჩენს სათანადო უნარიანობას შტატის შემცირების დროს და ვერ აქცევს საჭირო ყურადღებას თანამშრომელთა შერჩევის საქმეს.

აი ამის მაგალითი: 1926 წლის ოქტომბერს, დროებით სამუშაოზე მიღებულ იქნა ამხ. ნინა მაისურაძე. მისი მიღების შემდეგ გადის მრავალი თვეები და მაისურაძის ქალი არამც თუ გადაჰყავთ შტატში საერთო წესით, არამედ ყოველი თვის ბოლოს ხელახლად რიცხავენ მას დროებით სამუშაოზე. ასე გრძელდება თითქმის მთელი ორი წელიწადი. ამგვარად ტელეფონის ქსელის ადმინისტრაციამ, დიდი წესებისა და ფორმალური მხარეების დაცვით შეინახა დროებით სამუშაოზე მაისურაძის ქალი. ამავე დროს კი სამსახურში, იმავე თანამდებობაზე მიიღეს და შტატში ჩარიცხეს ვინმე ექიმ ჯემშერაშვილის ცოლი. ეს მოხდა 1927 წლის აპრილში. ამის შემდეგ ხდება შტატების შემცირება. შემფასებელი საკონფლიქტო კომისია სამსახურში სტოვებს ჯემშერაშვილის ქალს იმ მოსაზრებით, რომ ამ უკანასკნელის ექიმი ქმარი ხშირად მივლინებაში დადის და ეს იწვევს ოჯახის ორმაგ ხარჯებს. მაისურაძის ქალი კი კვლავ შტატს გარედ დასტოვეს. ალბად იმ მოსაზრებით, რომ ჯერ ერთი ის იყო შედარებით უფრო ძველი მომუშავე და მეორეც მისი ქმარი იყო წითელ არმიელი.

ასე არჩევს თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ქსელის შემფასებელი საკონფლიქტო კომისია თანამშრომელთა შტატის შემცირების საქმეს.

ნიკო მკერვალი.

საქ. სახკომსაბჭოში

სვანეთის გზის საალმშ. კომიტეტი

სვანეთის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლად სვანეთის გზის საალმშენებლო კომიტეტში დაინიშნა სვანეთის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნავერიანი.

წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად გადადებული თანხის გადიდება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად გადადებული თანხის გადიდება 150.000 მანეთით.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს ეთხოვა გაიღოს ხსენებული 150.000 მან. თავის სარეზერვო ფონდიდან.

ახალი სასტუმროს აგება ქ. ბორჯომში

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დააკმაყოფილა კურორტთა მთავარ სამმართველოს შუამდგომლობა (ცენტრალური კომუნალური ბანკის ხაზით 1928—29 წ. საკურორტო მშენებლობისათვის გაღებული 150.000 მან. ქ. ბორჯომში ახალი სასტუმროს შენობის ასაგებად გამოყენების შესახებ.

ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის შენობის აგება

თბილისის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის შენობის ასაგებად საჭირო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 127.000 მან. რაოდენობით.

მთავრობის წევრები საწარმოებში

იუსტიციის სახ. კომისარი ამხ. შ. მათიკაშვილი ტრამვაის მუშებთან

20 მარტს, ტრამვაელთა კლუბში შესდგა ტრამვაის მუშათა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენება იუსტ. სახალხო კომისარიატისა და სასამართლოს ორგანოების მუშაობის შესახებ.

ამხ. მათიკაშვილმა აღნიშნა რევოლუციონური კანონიერების მნიშვნელობა სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში და დაასახელა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან იუსტიციის ორგანოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესაფერად გადაჭრაში. შემდეგ ამხ. მათიკაშვილი შეეხო სასამართლოს ორგანოების მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებს, მუშ. ფართო მასების როლს ამ დეფექტების აღმოფხვრაში.

უმთავრესი საკითხები, რომელთა გარშემო ამჟამად აწარმოებენ მუშაობას სასამართლოს ორგანოები და საერთოდ იუსტიციის მთელი უწყება არის—ბრძოლა მფლანგველობასთან, უყაირათობასთან, ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან, შრომის კანონების დარღვევასთან და სხვა.

ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საქმეს ხშირად უშლის ხელს პროტექციონიზმი და თვით იუსტიციის ორგანოებში შემოღებული მუშაობის სისტემა. იუსტიციის სახალხო კომისარიატი აწარმოებს მუშაობას მთელ რიგ ისეთ ახალ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად, რომელთა ცხოვრებაში გატარებით შესაძლებელი გახდება არსებული დეფექტების თავიდან აცილება და რევოლუციონური კანონიერების ისე დაცვა, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესი.

პირველ რიგში იუსტიციის კომისარიატს განზრახვა აქვს შეიმუშაოს ღონისძიებები დასჯისა და გასწორების მთელი სისტემის გასაუმჯობესებლად. გამასწორებელ სახლებში შემოღებული უნდა იქნეს ისეთი რეჟიმი, რომლის საშუალებითაც იქ გაგზავნილი დამნაშავე მართლაც უნდა გამოსწორდეს. მეორეს მხრივ ისეთი დამნაშავეებისათვის, რომლებიც პროფესიონალური ბოროტმოქმედნი არიან და მათი გამოსწორება მოკლე ვადის განმავლობაში შეუძლებელია, შემოღებულ უნდა იქნეს უფრო სასტიკი რეჟიმი.

შემდეგ იუსტიციის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მთელ რიგ ღონისძიებების გამომუშავება ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან საბრძოლველათ თვით იუსტიციის ორგანოებში და სხ.

მოხსენების გარშემო შეტანილ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა კამათი გადაიდოს შემდეგი კრებისათვის, რომელიც მოწვეული იქნება უახლოეს ხანში.

ტურისტულ საზ-ბაში

გუშინ, საქართველოს ტურისტულ საზოგადოებაში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ზაფხულზე მუშაობის გეგმა. გეგმის თანახმად 1 მაისისათვის თბილისსა და ქუთაისში მოეწყობა საექსკურსიო ბაზები. ქუთაისში ბაზის მოწყობის მიზანს შეადგენს ექსკურსიების სისტემატიურად მოწყობა ახალ სამრეწველო მშენებლობის და „რიონჰესი"-ს მშენებლობის გასაცნობად. დანარჩენ პუნქტებში ბაზები მოეწყობა 10 ივნისიდან. სულ მოწყობილი იქნება 20 ბაზა.

ტურისტულმა ბიურომ გადასწყვიტა წელს შემოიღოს მოგზაურობის ახალი მარშრუტი — ქუთაისიდან აბასთუმნამდე და ბორჯომამდე.

გარდა ამისა ტურისტული ხასიათის ექსკურსიები მოეწყობა საქართველოს და ოსეთის სამხედრო გზებზე, ბორჯომსა და მის მიდამოებში, შავი ზღვის ნაპირებზე და სხვ.

გაზაფხულის თესვისათვის

მუშათა სარემონტო ბრიგადების თათბირი

17 მარტს, თბილისის საშეფო საზოგადოების საბჭოს ბინაზე შესდგა სოფლად გასაგზავნ მუშების თათბირი თესვის შესახებ. დღის წესრიგის პირველ საკითხზე—სასოფლო სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლომთათიძემ. მომხსენებელმა გააცნო თათბირს ის შეღავათები, რომელსაც ანიჭებს ახალი კანონი გლეხობას.

მეორე საკითხზე—საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ მოსმენილ იქნა მიწადმოქმედების კომისარის ამხ. ჯულელის მოხსენება.

მომხსენებელი შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომელიც მიღებულია თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ცკას სოფლად მუშაობის განყოფილების გამგის ამხ. არუთინოვის მოხსენება მუშების ამოცანების შესახებ თესვის კამპანიაში. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა რა მუშების ამოცანებზე თესვის კამპანიის ჩატარებაში—აღნიშნა, რომ თესვის კამპანიის ჩატარების შემდეგ, სოფლად გაგზავნილ მუშებმა თან უნდა ჩამოიყვანონ გლეხები. წარმოებებში გამართულ კრებებზე მოსმენილ უნდა იქნეს სოფლიდან ჩამოსულ გლეხების მოხსენება თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ ბრიგადის წევრ მუშების თანამოხსენებასთან ერთად.

თანხები მუშა-საქონლის შესაძენად

თბილისის აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებამ მუშა-საქონლის შესაძენათ გაანაწილა 21 ათასი მანეთი. ამ თანხიდან მანგლისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას მიეცემა 1.200 მანეთი, ალგეთისას—3.200 მანეთი, ავჭალის საკრედიტო ამხანაგობას—1.000 მანეთი, ყარაიას—4.000 მანეთი, საგარეჯოსას—800 მანეთი, მარტყოფისას—3.200 მანეთი, მცხეთისას—800 მანეთი, დუშეთის საკრედიტო ამხანაგობას—400 მანეთი, ნატახტარისას—1.600 მანეთი, მუხრანის საკრედიტო ამხანაგობას—400 მანეთი და წყნეთის, კოჯორის და თელეთის თემებისათვის გადადებულია—3.600 მანეთი.

ადგილებზე

ცუდი ამინდი აფერხებს თესვას

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მაზრაში საერთოდ ყანების და ბაღბოსტან-ბახჩების დასამუშავებლად გამზადება ხდებოდა თებერვლის თვეში. მარტსა და აპრილში კი ხნა თავდებოდა და თესვაც მიმდინარეობდა. სამწუხაროდ უკანასკნელი სამ. წლის განმავლობაში მდგომარეობა გაუარესდა: თებერვალში მუდამ ცუდი ამინდებია, ამას ზედ ერთვის მარტის ცუდი ამინდები და გაძნელება ყანების დამუშავება.

წელსაც მეტად არა სასიამოვნო მდგომარეობა იქმნება: ხშირად სწვიმს, წვიმას თოვლი სცვლის და ასე გრძელდება უკვე მარტის პირველი ნახევრის განმავლობაში.

ასეთი მდგომარეობა ძლიერ უშლის ხელს გლეხობას გავიდნენ ყანებში და ჩაატარონ საგაზაფხულო მუშაობა ადრე, დაუგვიანებლად.

თემებიდან მიღებული ცნობებით, იქ თესვის საკითხებზე მოსაწვევ წინასწარ თათბირებს ძლიერ უშლის ხელს წვიმები: კრებები ვერ სდგება ან არ არის მრავალრიცხოვანი.

ტრაქტორების მუშაობაც შეფერხებულია ცუდი ამინდების გამო. ამინდის გაუმჯობესებისთანავე საჭიროა გაძლიერებული ენერგიის გამოჩენა, რომ მაზრამ დასახული გეგმა განახორციელოს.

გ. უჩანეიშვილი.

სამზადისი თესვისათვის

(წერილი ჭრებალოდან)

ამ დღეებში ჭრებალოში შესდგა აგრონომების და საკრედიტო ამხანაგობების თავმჯდომარეთა გაერთიანებული სამაზრო თათბირი. თათბირის მიერ შემუშავებული იქნა საგაზაფხულო თესვის ჩატარების გეგმა რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში. ამ გეგმის მიხედვით მაზრის საკრედიტო ამხანაგობებს გაუნაწილდებათ 14.000 ფუთი სათესლე სიმინდი გლეხობაზე დასარიგებლად, მაგრამ ვინაიდან მიღებული სიმინდის ადგილობრივ ნიადაგთან შესაფერისობა გამოურკვეველია, ამიტომ თათბირმა გადასწყვიტა აღნიშნული სიმინდი გადაცვალოს ადგილობრივ სათესლე სიმინდზე და ისე დაურიგოს გლეხობას.

ამავე თათბირზე მიღებული იქნა დადგენილება 300 დესეტინა მიწაზე კონტრაქტაციის გატარების შესახებ და საამისო სადირექტივო მასალები დამუშავებულ იქნა თათბირის მიერ დაწვრილებით.

მუშა-საქონლის შესაძენათ რაჭა-ლეჩხუმის საკრედიტო ამხანაგობებზე განაწილდება 25 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხის სახით. ამავე გეგმის მიხედვით შეძენილი და დარიგებული იქნება გლეხობაზე ნისიათ 5 ვაგონი საქონლის საკვები—თივა და ბზე.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე მოხსენება სასოფლო სამეურნეო გადასახადში თესვის კამპანიასთან დაკავშირებით შეტანილი ცვლილებათა შესახებ.

შ. ჭელიძე.

საბჭოთა სამაზრო ყრილობები

შორაპნის მაზრის საბჭოთა ყრილობა

ყრილობის მისალმებანი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას

ზესტაფონი, 20 მარტი. მშრომელთა ჭეშმარიტ დამცველს საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) ცეკას მხურვალე სალამი შორაპნის მაზრის საბჭოთა მეექვსე ყრილობისაგან. საბჭოთა ყრილობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ მშრომელი მასა კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობით მიდის ლენინის მიერ დასახულ მიზნისაკენ—სოციალიზმისაკენ. ყრილობას სწამს, რომ მშრომელი მასა გადალახავს სოციალისტურ მშენებლობის გზაზე წამოჭრილ ყველა სიძნელეებს, განამტკიცებს ოქტომბრის მონაპოვარს, რაც ქვაკუთხედათ დაედება მშრომელი მასის საბოლოო გამარჯვების ზეიმს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მშრომელთა კლასის მთლიანობას კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

ყრილობის პრეზიდიუმი.

საქართველოს ცაკს

ზესტაფონი, 20 მარტი. შორაპნის მაზრის საბჭოთა მეექვსე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების უზენაეს ორგანოს —საქართველოს ცაკს, და მტკიცე ფიცს სდებს მის წინაშე, რომ ყრილობის წინაშე მდგომ კითხვების გადაწყვეტის დროს ურყევად იხელმძღვანელებს ცაკის მიერ ნაჩვენები გზით.

ყრილობის პრეზიდიუმი.

საქ. სახკომსაბჭოს

ზესტაფონი, 20 მარტი. შორაპნის მაზრის საბჭოთა მეექვსე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის და ერთსულოვნად სდებს ფიცს, რომ მტკიცედ დაიცავს ოქტომბრის მონაპოვარს, ყოველთვის უყოყმანოთ შეასრულებს მუშურ-გლეხური მთავრობის მშრომელი მასების საკეთილდღეოდ მიმართულ დირექტივებს.

საბჭოების გადარჩევა ბორჩალოს მაზრაში

ლიუქსემბურგი, 19 მარტი. ბორჩალოს მაზრაში დამთავრდა საბჭოების გადარჩევა. სავსებით დამაკმაყოფილებლად იქნა გადაჭრილი საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. კრებებზე დასწრება მაზრაში უდრის 71,7 პროცენტს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამომრჩეველ ქალთა (თურქ-ქალთა) მასების მონაწილეობა როგორც საანგარიშო, ისე საარჩევნო კამპანიაში. ქალთა დასწრების პროცენტი უდრის 63,1-ს, ნაცვლად წასული არჩევნების 36,1 პროცენტისა, არჩეულ იქნა 18 თემსაბჭო და 7 სოფლის საბჭო. საბჭოების შემადგენლობაში 16,3 პროცენტს ქალები შეადგენენ, ნაცვლად წინანდელი 3,3 პროცენტისა.

გადარჩევის კამპანიაში კულაკებმა ძლიერ აქტივობა გამოიჩინეს. კულაკები ბევრგან შეეცადნენ ჩაეშალათ ღარიბთა საარჩევნო კრებები, დაშინებით და გადაბირებით ამომრჩევლები, მაგრამ მათ ცდას ერთსულოვნად წინააღუდგნენ ღარიბი და საშუალო გლეხები.

ბორჩალოს მაზრის საბჭოების მეშვიდე ყრილობა დანიშნულია 1 აპრილისათვის. (ადს).

დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გამოკვლევა

(თათბირი საქ. მუშგლეხინთან)

გუშინ, 20 მარტს, ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ბინაზე მოწვეული იქნა თათბირი დაწინაურებული მუშათა მუშაობის პირობების გამოკვლევის შესახებ, რომელზედაც საინსტრუქციო მოხსენება გააკეთა ამხ. ვარდანიანმა.

დაწინაურების საქმე,—სთქვა ამხ. ვარდანიანმა,—დღეს არა თუ არის მოგვარებული, არამედ ბევრს ადგილებში გადამახინჯებულიცაა. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, ისახავს რა მიზნათ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან და სხვ. მავნე მოვლენებთან, რომლებიც არსებობს ჩვენს სახელმწიფო აპარატში, ერთ-ერთ ღონისძიებათ სთვლის აპარატის გამუშურებას და ამიტომ ატარებს მუშათა დაწინაურების სისტემას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხაზი ბევრმა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებმა დამახინჯებით ჩაატარა. ადგილი აქვს მუშათა დაწინაურებას ანგარიშებში შესატანად (სტატისტიკისათვის), ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები დაწინაურებულ მუშებს იყენებენ თავისი ბიუროკრატიული მიზნების მისაღწევად, „აწინაურებენ" პროტექციით ან ზოგჯერ ანგარიშს არ უწევენ დაწინაურებულ მუშას. ადგილი აქვს პირიქით მოვლენასაც, როცა დაწინაურებული მუშა თვითონ ეშვება ბიუროკრატიზმის ჭაობში, უხეშად ეპყრობა დაზგის მუშებს და სხვ. ჩვენს მოვალეობას შეადგენს ყველა ამ მავნე მოვლენათა შესწავლა და მათი თავიდან აცილება, ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია 21 მარტს ატარებს დაწინაურებულ მუშათა მუშაობის პირობების გამოკვლევას. რასაკვირველია, ის ერთი დღე, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია ამ გამოკვლევის ჩასატარებლათ, ვერ მოგვცემს დაწინაურებულთა მუშაობის მთლიან სურათს. ჩვენ კიდევ უნდა დავუბრუნდეთ ამ საქმეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გავაკეთოთ ის, რის გაკეთებაც ამ ერთი დღის განმავლობაში მაინც შეიძლება. ამ გამოკვლევისათვის გამოყენებული იქნება როგორც „მსუბუქი კავალერია", ისე სხვა მოხალისეები. გამოკვლევა ჩატარდება სულ 37 დაწესებულებაში (25 საქართველოს და 12 ამიერ-კავკასიის).

ამხ. ვარდანიანის მოხსენების შემდეგ გარჩეული იქნა გამოკვლევასთან დაკავშირებული ტეხნიკური საკითხები.

საშუამავლო საბინაო ბიურო

მშრომელთა შორის საცხოვრებელ ფართობის უფრო მიზანშეწონილად განაწილებისა, ბინების გაცვლისა და ქირაობის საქმის მოსაგვარებლად, თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო თბილისში საშუამავლო ბიუროს დაარსება. ბიურო იმუშავებს კომუნალურ განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ.

ბიუროს გადაეცემა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებისა და კომუნალურ სახლებში განთავისუფლებული ყველა ოთახები.

საშუამავლო ბიუროს გადაეცემა აგრეთვე კერძო სახლებში კომუნალურ ფონდის ბინებში განთავისუფლებული ოთახები.

კერძო პირთა სახლებში ბინების გაცვლა— შეიძლება მხოლოდ მეპატრონეთა თანხმობით.

ბიუროს მოვალეობას შეადგენს: დაინტერესებულ პირთა განცხადების მიხედვით გასაცვლელ ან თავისუფალ საცხოვრებელ ფართობის აღრიცხვა და მასთან დაკავშირებით ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკების წარმოება და სხვ.

ბიუროს აგრეთვე ევალება ისეთი ბინების გამოკვლევა, რომლებიც დაკავებულია არადანიშნულებისამებრ და სათანადო ზომების მიღება, როგორც მათი, ისე დღემდე საცხოვრებლად გამოუყენებელ ბინების განსათავისუფლებლად.

ბიუროს აგრეთვე უფლება აქვს მოახდინოს ბინების გაცვლა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების იმ მუშაკთა შორის, რომლებიც მოისურვებენ ერთ ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლა-გადმოსვლას. ბიუროს კავშირი ექნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში არსებულ საშუამავლო ბიუროებთან.

იმ პირმა, რომლებიც ბიუროს საშუალებით გაცვლის ან დაიკავებს ბინას თუ ოთახს, ბიუროში უნდა შეიტანოს: მუშა-მოსამსახურემ ერთი თვის ქირის ნახევარი მის მიერ დაკავებულ ფართობის მიხედვით, ხოლო დანარჩენებმა ერთი თვის ქირა.

ბიურო ყოველმხრივ ეცდება თავის დროზე დააკმაყოფილოს მთხოვნელები. ამრიგად, საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსებით ბოლო მოეღება კერძო მაკლერებსა და ბინის გადამყიდველების სპეკულიაციას.

ბიუროს დებულება დასამტკიცებლად წარედგინა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს.

გაფიცვა კერძო წარმოებაში

რუსთაველის პრ. არსებობს ხაზეინკლო-წყალსადენის შემკეთებელი სახელოსნო, რომელიც ეკუთვნის კერძო მწარმოებელს გერშოვს. სახელოსნოში მუშაობს 8 კვალიფიციური მუშა და 4 შეგირდი.

მიმდინარე წლის 1 თანვარს ვადა გაუვიდა ძველ კოლექტიურ ხელშეკრულებას. ახალი ხელშეკრულების დასადებად დაწყებულ მოლაპარაკების დროს კავშირმა წამოაყენა მოთხოვნილება კვალიფიციური მუშების ხელფასის 10 პროც. და შეგირდების პირველი თანრიგის 5 მანეთით გადიდების შესახებ. ამას გარდა კავშირი მოითხოვდა, რომ მუშებს თავის დროზე მიეცეს სპეცტანისამოსი, რადგან შარშანდელი კოლექტიური ხელშეკრულება ამ მხრივ ხშირად ირღვეოდა.

მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დასადებად დაიწყო 15 იანვრიდან; დამქირავებელი ცდილობდა გაეჭიანურებია მოლაპარაკება და გარკვეულ პასუხს არ იძლეოდა. უკანასკნელად მან უარი განაცხადა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

გუშინ მელითონეთა კავშირმა წინადადება მისცა გერშოვს დააკმაყოფილოს კავშირის მოთხოვნილება და ვადათ დაუნიშნა 21 მარტი დილის 10 საათი. თუ ამ დროისათვის კავშირმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, **დღეს, 12 საათიდან გერშოვის სახელოსნოში დაიწყება გაფიცვა.**

მრეწველობის განვითარების 5 წლ. გეგმის კორექტივები

III*)

სატყეო და ხის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება საქ. ს. მ. უ. საბჭოს გეგმით ხუთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 30,2 პროც.-ით, ფასების დაკლება კი 25,5 პროც., ამავე დროს საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს გეგმით თვითღირებულების შემცირება დასახულია 34,1 პროცენტით და ფასების — 31,5 პროც., მაშასადამე, ჩვენი გეგმით უფრო ნაკლები შემცირება არის ნავარაუდევი. ეს მისაღები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენში თვითღირებულება და ფასები ნაკლები ყოფილიყოს, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ნამდვილად კი საქ. სატყეო ტრესტის პროდუქციის თვითღირებულება და ფასები შეუდარებლად მაღალი არიან. დახერხილ კუბომეტრი მასალის თვითღირებულება საბჭოთა კავშირში არ აღემატება 30 მანეთს, ჩვენში 36 მანეთზე მეტი არის. ასეთივე დიდი განსხვავება არის ფასებშიაც. ეს განსხვავება ჩვენი გეგმის მეორე ვარიანტით ხუთი წლის ბოლოში არა თუ ნელდება, არამედ უფრო იზრდება.

სატყეო ტრესტის საკასრე ტკეჩის ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებაც არა საკმაო რაოდენობით არის დასახული (28,8 პროც.), მაშინ, როცა 1927-28 წელში და მიმდინარე წელშიაც ტრესტი ამ ნაწარმოებს ყიდის უფრო ნაკლებ ფასებში, ვიდრე მას უზის. შემდეგ წლებში, თუმცა თვითღირებულება ფასებზე ნაკლები არის ნავარაუდევი, მაგრამ მათ შორის იმდენად ნაკლები განსხვავებაა, რომ წარმოების ნორმალური მსვლელობის ოდნავი შეფერხებაც ქარხანას წამგებიანად გახდის.

ვენის სკამზე (მარელისის ქარხნის პროდუქცია) თვითღირებულების შემცირება ხუთი წლის განმავლობაში პროცენტებით საგრძნობლად ხდება. ნავარაუდევია 57. პროცენტი. მაგრამ არსებითად ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან 1927-28 წელი, რომელთან შედარებით დასახულია 57 პროცენტით შემცირება, ამ წარმოებისათვის ფრიად არა ნორმალური წელი იყო.

სკამი ჯდებოდა 10 მანეთი, ყიდდენ კი 6 მანეთად. მიმდინარე 1928-29 წელში სათანადო ღონისძიებათა გატარების საშუალებით თვითღირებულება შემცირდა 34,5 პროც. ესე იგი, რაც დასახულია ხუთი წლის განმავლობაში, 50 პროც.-ით უკვე მიღწეულია, მხოლოდ ერთ კვარტალში. აქედან ადვილია იმ დასკვნის გამოყვანა რომ გეგმით დასახული ვენის სკამის თვითღირებულების შემცირება არაა საკმარისი.

თბილისის ავეჯის ქარხნის პროდუქციაზე გეგმით ნავარაუდევია თვითღირებულების ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ 10 პროცენტით შემცირება, გასაყიდ ფასების კი 4 პროცენტით. ამ ჟამად მაღალი თვითღირებულების გამო თბილისის ქარხნის ავეჯი იყიდება ზარალით (თვითღირებულება 20—30 პროცენტით მეტია გასაყიდ ფასებზე) და გასაყიდი ფასები მაინც ძლიერ მაღალია. მუშკოოპს ჟიტომირიდან და ხარკოვიდან მოტანილი ავეჯი (მიუხედავად საფრახტო ხარჯებისა), 60 პროც.-ით უფრო იაფი უჯდება. ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ თვითღირებულების შემცირება 10 პროცენტით და გასაყიდ ფასებისა 40 პროცენტით, რაც გეგმით ნავარაუდევია. სრულიად დაუშვებელია და ასეთი „ტემპით" წარმოების გაუმჯობესება უნდა დაგმობილ იქნეს.

ტყიბულის ქვანახშირის თვითღირებულების შემცირება გეგმით გათვალისწინებულია 38 პროცენტით, გასაყიდ ფასების დაკლება კი 8 პროც.. (ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ 8 პროცენტით). ამ ჟამად ტყიბულის ქვანახშირის ერთი ტონის თვითღირებულება 14 მანეთზე მეტია (გასაყიდი ფასი 10 მ. 83 კ.) ამავე ხარისხის ქვანახშირის თვითღირებულება დონბასში უდრის 9 მან., ურალში —6 მ. 45 კაპ., ციმბირში 7 მ. 65 კაპ., მოსკოვის რაიონში — 5 მ. 26 კაპ. ჩვენი გეგმით ნავარაუდევი შემცირება ტყიბულის ქვანახშირის თვითღირებულებას ხუთი წლის ბოლოში ვერ დაიყვანს იმ დონემდე, როგორიც ახლა უკვე გვაქვს საბჭოთა კავშირში. გასაყიდ ფასების განსხვავება კიდევ უფრო გაიზრდება (ჩვენში დასახულია ფასების 8 პროცენტით შემცირება, საბჭოთა კავშირში 24,5 პროცენტით). შეიძლება ძალიან მცირე დაკლება ახსნან ტყიბულში მუშაობის თავისებურობით და ეგრედ წოდებულ „ობიექტიურ" პირობებით. მაგრამ თუ არსებითად განვიხილავთ საკითხს, ამ თვითღირებულებას არ აქვს ადგილი. გასულ წლებში ტყიბულის ქვანახშირის თვითღირებულება უფრო ნაკლები იყო (1926-27 წელში ერთი ტონის ღირებულება 10 მ. 91 კაპ. უდრიდა). აღსანიშნავია, რომ 26-27 წელში თვითღირებულების არსებულ დონის მიღწევა გეგმით გათვალისწინებულია მხოლოდ 1930-31 წელში. ეს იმას ამტკიცებს, თუ როგორი არა საღი მიდგომაა გეგმაში თვითღირებულების შემცირების საკითხისადმი.

ტყავის და ფეხსაცმელების მრეწველობაშიაც გეგმით თვითღირებულებისა და გასაყიდ ფასების შემცირება არ არის დასახული დამაკმაყოფილებლად. შემცირება იმავე რაოდენობით ხდება, როგორც საბჭოთა კავშირში, მაშინ როცა, თვითღირებულება და ფასები ადგილობრივ ტყავი და ფეხსაცმელების წარმოების პროდუქციაზე გაცილებით მეტია, ვიდრე, საბჭოთა კავშირში საშუალოდ. თვითღირებულების და ფასების შემცირების ასეთი მცირეოდენი დაკლება არაფრით არ შეიძლება გამართლდეს. ხუთი წლის ბოლო წლებში თბილისში დაიწყებს მუშაობას ფეხსაცმელების ახალი მექანიკური ქარხანა, რამაც ფრიად საგრძნობლად უნდა შეამციროს თვითღირებულება.

ლითონის წარმოებაშიაც თვითღირებულების და გასაყიდ ფასების შემცირება არ არის დამაკმაყოფილებლად დასახული. გეგმით გათვალისწინებულია თვითღირებულების 35—36 პროცენტით შემცირება და გასაყიდ ფასების — 28—29 პროცენტით. ამავე დარგში საბჭოთა კავშირის გეგმით დასახულია თვითღირებულების 38 პროცენტით და გასაყიდ ფასების 31 პროცენტით შემცირება. საქ. ლითონის წარმოების ახლანდელი თვითღირებულება და ფასები გაცილებით მაღლა სდგას საბჭოთა კავშირთან შედარებით. თუ საქ. ს.მ.უ. საბჭოს გეგმა არ იქნა ამ საკითხში გადამუშავებული, ხუთი წლის ბოლოში ეს განსხვავება არა თუ არ შენელდება, არამედ უფრო გაიზრდება. გეგმით ლითონის წარმოებაში თვითღირებულების და ფასების ასეთი მცირე შემცირება საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ამ ხუთი წლის ბოლო წლებში ამუშავდება თბილისში ლითონის ახალი ქარხანა.

პოლიგრაფიულ წარმოების გეგმა თვითღირებულების და ფასების ნაწილში კიდევ უფრო სუსტად არის დამუშავებული. თვითღირებულების შემცირება ნავარაუდევია 26—30 პროცენტამდე, ფასების დაკლება კი მხოლოდ 10 პროცენტით. (ხუთი წლის განმავლობაში). ცხადია, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომა ხელს შეუშლის ნაბეჭდი ნაწარმოების გაიაფებას.

საფეიქრო მრეწველობაშიაც თვითღირებულების და ფასების შემცირების საკითხი გეგმით სუსტად არის დამუშავებული. ქუთაისის მაუდის ქარხნის ნაწარმოების თვითღირებულება გეგმით უნდა შემცირდეს 22,8 პროცენტით, და გასაყიდი ფასები 16,2 პროცენტით. საკავშირო მასშტაბით სათანადო წარმოებებში თვითღირებულების შემცირება მეტი რაოდენობით არის ნავარაუდევი, მაშინ, როცა იქ თვითღირებულება და ფასები უფრო ნაკლებია. მაშასადამე, ამ წარმოებაშიც ს.მ.უ. საბჭოს გეგმით ხუთი წლის ბოლოში არა თუ არ მცირდება განსხვავება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის შორის, არამედ უფრო იზრდება.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ბამბისა და ბამბის ნართის წარმოებაში. გეგმით არც ამ დარგებშია დასახული დამაკმაყოფილებელი შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ გეგმით ეს წარმოებები (თბილისის ორი ქარხანა) ტეხნიკურად სრულიად უნდა გადახალისდენ. ხუთი წლის ბოლოში ამ დარგებშიაც გეგმას გათვალისწინებული აქვს თვითღირებულების და ფასების მეტი დაშორება საბჭოთა კავშირის სათანადო წარმოებებთან შედარებით.

სამკერვალო წარმოებაშიაც თვითღირებულების და ფასების მხრივ საქართველოს, და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს შორის განსხვავება არა თუ არ ნელდება, არამედ, პირიქით, იზრდება გეგმაში ნავარაუდევი ციფრებით. როგორც ფასები, ისე თვითღირებულება საქ. სამკერვალო წარმოებაში გაცილებით მაღლა სდგას, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. მაგალითად, ერთი და იმავე ხარისხის კოსტიუმის გასაყიდი ფასები არის მოსკოვში 49 მ. 50 კაპ., ადგილობრივი ქარხნების („მკერავი") — 70 მან. აი, ასეთი დიდი განსხვავების პირობებში, ადგილობრივი გეგმით თვითღირებულების შემცირება 30 პროცენტით არის დასახული, საკავშირო გეგმით კი 34 პროცენტით, გასაყიდი ფასები ჩვენში 28 პროცენტით, საბჭოთა კავშირში კი 24 პროცენტით. (ეს ოთხი პროცენტი ოდნავადაც ვერ შეანელებს ფასებში არსებულ განსხვავებას).

თამბაქოს წარმოებაშიაც თვითღირებულების მხრივ დიდი განსხვავება არის. 1927-28 წელში ათასი ცალი პაპიროსი საქართველოს თამბაქოს ტრესტს უჯდებოდა 2 მ. 47 კაპ., „მოსელპრომს" —2 მ. 11 კ., აზერბეიჯანს — 2 მ. 11 კაპ., ყირიმს — 1 მ. 81 კ., ლენინგრადს — 1 მ. 93 კ., და დონის მხარეს — 1 მ. 93 კაპ., საქ. ს.მ.უ. საბჭოს გეგმით დასახული თვითღირებულების 30 პროცენტით შემცირება, —იმავე რაოდენობით, რაც საშუალოდ დასახულია საკავშირო თამბაქოს წარმოებებში, მაშინ როცა ახლანდელი განსხვავება ფრიად საგრძნობელია. საქ. თამბაქოს ტრესტის სპეციალისტების ცნობით, მექანიზაციის მხრივ ხუთი წლის ბოლოში ჩვენი წარმოებები იმავე დონეზე იქნებიან, როგორც საკავშირო თამბაქოს კარგად დაყენებული მსხვილი წარმოებები. თუ ეს მართალია, ჩვენი თვითღირებულება უნდა გაუთანასწორდეს მათ თვითღირებულებას. ჩვენი გეგმით კი რჩება ისეთივე განსხვავება, როგორც ახლა არის.

საამშენებლო მასალების დარგშიაც არ არის გეგმით სწორად გათვალისწინებული თვითღირებულების და ფასების დაკლება. მაგალითად, აგურის თვითღირებულების შემცირება ჩვენში ხუთი წლის განმავლობაში ნავარაუდევია 36,4 პროც., საბჭოთა კავშირში 37,5 პროც., გასაყიდი ფასები აგურზე ჩვენში 27,4 პროც., საბჭოთა კავშირში — 35 პროც. დიდი განსხვავება არის. ფასების დაკლებაში. ფასების დაკლებას საამშენებლო მასალებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; უმთავრესად ამით გახდება შესაძლებელი კაპიტალური მშენებლობის გაიაფება.

ხელფასის ზრდის მხრივაც საქ. ს.მ.უ. საბჭოს გეგმა ძლიერ მოისუსტებს. საკავშირო გეგმით ხუთი წლის განმავლობაში დასახულია ნომინალური ხელფასის 35,9 პროც.-ით გაზრდა. (მძიმე მრეწველობის დარგებში — 38,7 პროც., მსუბუქ მრეწველობის დარგებში — 31 პროც.). საქ. ს.მ.უ. საბჭ. გეგმით ნომინალური ხელფასის ზრდა საქართველოში უნდა იყოს დაახლოვებით 23-26 პროცენტით. ასეთი მცირე ზრდის გამართლება შეიძლება, [illegible]

ს. ღოღობერიძე.

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 61 და 62.

ქრონიკა

მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს

საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. ფილიპე მახარაძემ ბერლინიდან შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო:

„ბერლინის საბჭოთა კოლონია, შეკრებილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აღსანიშნავად მოწვეულ საზეიმო სხდომაზე, თქვენი სახით ესალმება საქართველოს მუშებსა და გლეხებს. საბჭოთა საქართველოს განვლილმა რვა წლის მშენებლობამ დაამტკიცა, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას შეეძლო საქართველოს მშრომელი მასების განთავისუფლება სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისა და ეკონომიურ-კულტურული ჩამორჩენილობისაგან. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება მტკიცედ იდგომება საქართველოს მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე და აღკვეთს იმპერიალისტების და მათი მაჩანჩალების—მენშევიკების ცდებს, მიმართულს სოციალისტური მშენებლობის ჩაშლისაკენ".

საბავშვო დაწესებულებები კოლმეურნეობებთან

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო კომისართა საბჭოს თავის მხრივ წინადადება მისცეს განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, რათა ამ უკანასკნელებმა თავიანთ განკარგულებაში არსებულ სადამშენებლო ფონდიდან 10 პროცენტი გადადონ კოლექტიურ მეურნეობებთან საბავშვო დაწესებულებების მოსაწყობად.

მარგანეცის ექსპორტის ზრდა

მიმდინარე წლის იანვარში ფოთიდან საზღვარგარეთ სამი გემით გაიტანეს 12.885 ინგლისური ტონა, ხოლო თებერვალში შვიდი გემით 35.573 ტონა მარგანეცი. 1-დან 15 მარტამდი ხუთი გემით გაიტანეს 28.510 ტონა. ამჟამად იტვირთება ხუთი გემი. (ადს).

ზაჰესის ახალი ქვესადგური

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ განიხილა ტრამვაისათვის ზაჰესის ქვესადგურის აგების საკითხი და დაადგინა: ტრამვაის წარმოებების ელექტრო-ენერგიით უზრუნველსაყოფად და აგრეთვე ტრამვაის ქსელის გაფართოების მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი ახალ ქვესადგურის აგება. სადგურის მოწყობა დაჯდება დაახლოებით 426.000 მანეთი

მესამე საავიაციო ლატარია

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცნობით, დღემდე მთელ საქართველოში გასაღებულია მესამე საავიაციო ლატარიის 45.000 ბილეთი. ამ დღეებში ადგილებს გაუნაწილდებათ დამატებით 10.000 ბილეთი.

მოსკოვიდან მიღებული ცნობებით, ლატარიის გათამაშება შესდგება მოსკოვში 2 ივნისს.

საკონსერვო ქარხანა ქუთაისში

ს. მ. უ. საბჭოს დადგენილებით ქუთაისში აგებული იქნება ახალი საკონსერვო ქარხანა, რომელიც დაამზადებს შორეული მაზრებისათვის ხილისა და ბოსტნეულობის კონსერვებს. ქარხნის ასაგებ ადგილის ამოსარჩევად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ამ დღეებში კომისია თავის დასკვნებს წარმოადგენს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში.

2430 მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის საოლქო კანტორის ცნობით მთელ საქართველოში გაცემულია ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟის 2430 მოგება 78.500 მანეთის რაოდენობით.

თბილისის აღმასკომში

◆ უბედურ შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით თბ. აღმასკომმა აკრძალა ცხენიან ტვირთსაზიდების მოძრაობა იმ ქუჩებზე, რომლებზედაც გაყვანილია ტრამვაის ხაზები.

◆ მოზაიკურ სახელოსნოს გასაფართოებლად გადადო 21.000 მან.

◆ ლენინის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტამდე ტრამვაის ხაზის გასაყვანად აღმასკომი წელს დახარჯავს 240 600 მან.

◆ ხევსურეთის გზატკეცილი. კეთილმოწყობის ქვე-განყოფილებას ხევსურეთის გზატკეცილის გასაყვანად გადაეცა 75.000 მან.

◆ წყალდიდობასთან საბრძოლველად აღმასკომთან დაარსდა სამაზრო საგანგებო სამეული

შრომის სახ. კომისარიატში

◆ მშრომელ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შრ. სახ. კომისარიატმა გადასდო 6000 მანეთი.

◆ საზოგადო სამუშაოები. შრ. სახ. კომისარიატი შეუდგა გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდისათვის საზოგადო სამუშაოების მოწყობას.

სხვადასხვა

◆ საქ. მუზეუმის აუდიტორიაში დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება საქ. გეოგრაფიულ საზ-ბის მთასვლა-მგზავრობის განყოფილების წლიური კრება. მომხსენებლები: ი. ასლანიშვილი—მთასვლობის მიღწევები საქართველოში უკანასკნელ 5 წ. განმავლობაში; ლ. მიქელაძე—მთასვლა-მგზავრობის განყოფილების 1926—1928 წლების მუშაობის ანგარიში; ბ. პატარიძე—სარევიზიო კომისიის ანგარიში. დასასრულ ახალი გამგეობის არჩევნები.

◆ საშფო საზოგადოების კვირეული, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ა. წ. 25 მარტიდან, გადადებულია 31 მარტისათვის. კვირეული ჩატარდება 31 მარტიდან—5 აპრილამდე.

◆ მოტო-გადარბენა. საშფო საზოგადოების კვირეულთან დაკავშირებით თბილისის საშფო საბჭო თბილისის მაზრაში აწყობს მოტო-გადარბენას 31 მარტიდან—5 აპრილამდე.

პირველი გადარბენა მოეწყობა 31 მარტს. მიმართულებაა: თბილისი, სართიჭალა, საგარეჯო, მეორე გადარბენა მოეწყობა 5 აპრილს. მიმართულება: თბილისი, ასურეთი, ალგეთი, თბილისი.

◆ განათლების სახ. კომისარიატმა საქ. სასოფლო-სამეურნეო და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების აგრონომთა თათბირის დელეგატებს დაურიგა 50 მანეთი თითოს და მისცა ნებართვები, რომ მათ ჩაატარონ რაიონებში სკოლების მასწავლებელთა და გლეხობის კონფერენციები საგაზაფხულო თესვის შესახებ. ზემოხსენებულებს თანხა მიეცათ მათ რაიონში მოგზაურობისათვის თესვის საქმეებზე.

◆ „თამილა" ქართულად. დაიბეჭდა და გამოვიდა ფერდინანდ დიუშენის ცნობილი რომანი თამილა. თარგმანი პოლიო აბრამიასი.

„სოფლის კომუნისტი"

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი" № 3 (46). შინაარსი: სასტიკი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ალ. მაისურაძე—კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები და დიფერენციალური პაი. ს. ხ-რია—საბჭოები და სოფლის მეურნეობის გარდაქმნა. შ. დ.—გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაცია. ც. ბელენკი—კოლმეურნეობის მშენებლობის უახლოესი ამოცანები. ვ. ხ.—დაზოგვის ერთიანი კამპანია სოფლად. აგრ. ვ. ჯაში—საბჭოთა კავშირის მე-2 აგრონომიულ ყრილობის შედეგები. კ. მელიქაძე—შრომის დაცვის საკითხები სოფლად. გ. სტურუა—პარტიული მასების და მისი ორგანოების მონაწილეობა პარტიის წმენდაში. ს. ლომიძე—პარტიის რიგების გენერალური წმენდა რას ამბობს სოფლის პარტმუშაკები პარტიის წმენდის შესახებ. გ. სტეფანოვი—პარტიის წმენდა და შედეგები. დ. დოლიძე—კომინტერნის არსებობის ათი წელი. ვ. კიტია—პარტიის ზრდის მოწესრიგებისათვის. დ. ორაგველიძე—აგრონომიული კურსები სოფლად. გ. პიტოევი—ბრძოლა რელიგიურ ჩვევათა წინააღმდეგ ხალხუმსახიობათა შორის. ზ. მაღლაკელიძე—როგორ უნდა ჩატარდეს პარტიის წმენდა. ი. ძიძიგური—პოლიტგანორგანოების მონაწილეობა თესვის კამპანიაში. შ. გუგიბერიძე—ყოფა ცხოვრების საკითხები ქობულეთის მაზრაში. ბ. ჟუჩაიშვილი—არჩევნების შედეგები სენაკის მაზრაში. ვლ. ჯიბუტი—არჩევნები სართიჭალის თემში პ. ხოშუა—პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა აფხაზეთში. შ. მევრელიძე—კოლმეურნეობათა მშენებლობა აჭარისტანში. ალ. ბედიაშვილი—კომკავშირის საქმიანობა კოლექტივების დასაარსებლად. ბიბლიოგრაფია.

სასამართლო

მოიჯარადრეებს ოინი არ გაუვიდათ

ივანე მარქაროვსა და დარჩო გალუსტოვს იჯარით ჰქონდათ აღებული თევზის სარეწაოები ივლაზში და, როგორც გაქნილი კომბინატორები, დიდძალ ფულს იგებდნენ. მათ დაქირავებული ჰყავდათ მუშები, რომელთაც ჯოჯოხეთურ პირობებში ამუშავებდნენ და ჰკვებავდნენ მხოლოდ დაპირებებით.

მოიჯარადრეები უფრო ეტანებოდნენ არასრულ წლოვანთა დაქირავებას, ჰპირდებოდნენ ხელობის სწავლებას, რასაკვირველია, დაპირება დაპირებად რჩებოდა. მოიჯარადრეები მოზარდებს ამუშავებდნენ უფასოდ, არ აძლევდნენ და თუ ვინმე მოინდომებდა საჩივრის აღძვრას, მაშინვე გუდა-ნაბადს აჰკიდებდნენ და [illegible].

მარქაროვთან და გალუსტოვთან მუშაობდნენ მამა-შვილი დვალიშვილები, მამა, ალექსი დვალიშვილი თვიურ ხელფასად იღებდა 60 მანეთს. მისი სამუშაო დრო განუსაზღვრელი იყო. მათთვის არ არსებობდა კვირა უქმე დღე, შვებულება და სხვა.

დვალიშვილის არასრულწლოვან შვილს მოიჯარადრეები ამუშავებდნენ უფასოდ. ჰპირდებოდნენ ჯამაგირის შემდეგში დანიშვნას. მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა. ასეთ პირობებში მუშაობა ძლიერ აიტანა ახალგაზრდა დვალიშვილმა და საჩივარი აღძრა შრომის ინსპექციის წინაშე. საჩივარმა გამოიღო თავისი ნაყოფი და თავიდე მოიჯარადრეებს ახალგაზრდა დვალიშვილმა გადაახდევინა დაქირავების დღიდან კუთვნილი ხელფასი.

ამან ძალიან გააბრაზა მარქაროვი და გალუსტოვი, რომლებიც მორჩილებას მოითხოვდნენ მუშებისაგან.

მათ გადასწყვიტეს დვალიშვილების თავიდან მოშორება. რაკი შვილმა ასეთი „კადნიერება" გამოიჩინა და კანონს მიმართა, მამასაც არა სძლეთ თვალით დაუწყეს ყურება.

გასულ წლის 5 ივნისს მოიჯარადრეებმა ჩაატარეს „შტატების შემცირება" და სრულიად უმიზეზოდ ქუჩაში გამოაგდეს ალექსი დვალიშვილი, რომელიც მათთან მუშაობდა 1926 წლიდან.

დვალიშვილმა აღძრა საჩივარი შრომის სასამართლოში. ეს ამბავი გაიგეს მოიჯარადრეებმა და წინდაწინვე შეადგინეს გეგმა, თუ როგორ გაეცურებიათ ჩალა-გამოვლებული დვალიშვილი.

დაინიშნა საქმის გარჩევის დღე. დვალიშვილი მოითხოვს ზედმეტი საათების, შვებულების, გაცდენილ დროის ხელფასს და სამუშაოზე აღდგენას.

მაგრამ დახეთ! მოიჯარადრეებმა დვალიშვილს ცხვირზე მიაკრეს მისივე ხელწერილი, სადაც იგი „სავსებით დაკმაყოფილებულად სთვლის თავს" და აცხადებს, რომ „არაფერი სადაო არ აქვს „ხაზეინებთან".

ჭკუა კინაღამ დაჰკარგა დვალიშვილმა. საიდან გაჩნდა ეს ხელწერილი,—მან არ იცის. ლაპარაკობს: ალბად მთვრალი თუ ვიყავიო.

სასამართლომ საქმე მოსპო და დვალიშვილს, რომელიც დაახლოებით ათას მანეთს ედავებოდა „ხაზეინებს", ძიებაზე უარი უთხრა.

მას შემდეგ დვალიშვილს მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოხდა მისი ხელწერილი „ხაზეინების" ხელში. გაიხსენა, რომ ერთხელ სიმთვრალის დროს, რაც მიიპატიჟეს მოიჯარადრეებმა, რომელთაც მასთან ტკბილი საუბარი ჰქონდათ. მას შემდეგ რა მოხდა, როგორ დაშორდნენ ერთმანეთს აღარ ახსოვს.

ნაცნობებმა, რომელთაც ენახათ გალუსტოვისაგან დაბრუნებული დვალიშვილი, დაადასტურეს რომ უკანასკნელს ჭკუა აღარ ეკითხებოდა და დახვრეტაზედაც მოაწერდა „უპრისტსტოდ" ხელს.

ეს ამბავი ეცნობა შრომის პროკურორს. შრომის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა უზენაეს სასამართლოს წინაშე. პროკურორი მიუთითებდა იმაზე, რომ სასამართლოს უნდა გამოერკვია, რა პირობებში მოხდა დვალიშვილის გასტუმრება, ჰქონდა თუ არა ადგილი ხელწერილის გამოტყუებას და სხვ....

უზენაესმა სასამართლომ დაარღვია შრომის სასამართლოს განაჩენი და მოითხოვა საქმის ხელახლა გარჩევა.

საქმე ხელმეორედ გაარჩია შრომის სასამართლომ სხვა შემადგენლობით. სასამართლოში უეჭველად დადასტურდა, რომ ყალთაბანდმა მოიჯარადრეებმა სიმთვრალის დროს ძალდატანებით გამოსტყუეს დვალიშვილს ხელწერილი სრული დაკმაყოფილების მიღების შესახებ.

სასამართლომ დაადგინა: გადახდევინოთ მოიჯარადრეებს ალექსი დვალიშვილის სასარგებლოდ შვებულების ფული 60 მანეთი, სპეცტანსაცმელის—30 მან., კვირა-უქმე დღეების—240 მანეთი, რვა თვის ნაცდური—480 მანეთი, ზედმეტ საათებში მუშაობის—118 მან. სულ 928 მანეთი. დვალიშვილი დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნეს თავის თანამდებობაზე.

განაჩენი საბოლოოა და აღარ შეიძლება გასაჩივრება.

ვერ.

შემთხვევები

მკვლელობა

20 მარტს, დილით ვიღაც ბოროტმოქმედმა თავის ბინაზე (პავქვაძის ქ. № 18) რევოლვერის ტყვიით მოჰკლა ივანე პეტრეს ძე ტრუშელიოვი.

ხანძარი

საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო ნორიოს ქუჩაზე № 17 ცეცხლი გაუჩნდა კოოპერატიული ამხანაგობის სახლს. ცეცხლი ჩააქრო სახანძრო რაზმმა

— გუშინ, დილით სომხის ქუჩაზე (№ 29) ხანძარი გაჩნდა ანდრო მილიმინის ხაკუტნაოს. სასწრაფოდ გამოძახებულმა სახანძრო რაზმმა ცეცხლი ჩააქრო 15 წუთში.

უეცარი სიკვდილი

19 მარტს ქალაქის სასაკლაოში უეცრად გარდაიცვალა ივანე ბესარიონის ძე ნიჟარაძე. გვამი გადაგზავნის ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

მკვდარის პოვნა

20 მარტს მე-7 სამილიციო უბნის ფარგლებში იპოვნეს მკვდარი კაცის გვამი. მკვდარის ვინაობა გამოურკვეველია.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა ივანე ვასილის ძე ივანოვი, ნიკოლოზ ვასილის ძე სოლოვენკო (უბინაო), გრიგოლ პეტრეს ძე ოგანეზოვი (უბინაო), რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს სერგო აბრამოვის ბინა (მე-5 სამილიციო უბანი), წაიღეს 500 მანეთის საოჯახო ნივთები;—მოსე საყვარელიძის ბინიდან (მე-7 სამილიციო უბანი) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ივანე ქერივიშვილის ბინა (მე-9 სამილიციო უბანი), წაიღეს 250 მანეთის ნივთები;—მარიამ მესხის ბინიდან (იურევის ქ. № 58) მოიპარეს 170 მანეთის საოჯახო ნივთები.

მოკვლის განზრახვა

ძალუეთის სამილიციო უბანში მოქ. დათა ფეიქარიშვილს მოკვლის მიზნით თავს დაესხა ორი უცნობი პირი, რომლებმაც მას მიაყენეს მსუბუქი ჭრილობა თავში.

კოოპერატივის გაქურდვა

სოფ. კიარაქში (წალკის სამილიციო უბანი) ვიღაც ბოროტმოქმედებმა გასტეხეს კოოპერატიული დუქანი, საიდანაც გაიტაცეს 350 მანეთი ფულად

ქურდი სტუდენტი

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი—ვლადიმერ ბატუას ძე კანკავა, რომელმაც მოქ. ზარ. სანიკიძეს მოპარა ოქროს საათი. კანკავა გამოტყდა დანაშაულში. ნაქურდალი საათი აღმოჩენილია.

რკინის გზებზე

1975 ტონა ტყიბულის ქვანახშირი

აპრილის განმავლობაში ამ.-კავკასიისა და შავი ზღვის რკინის გზების საჭიროებისათვის დაკვეთილია 1975 ტონა ტყიბულის ქვანახშირი.

დაჯახება

გუშინ, დილით სადგ. ხარაგოულში ადგილი ჰქონდა მატარებლების დაჯახებას. დაჯახება შემდეგ პირობებში მოხდა: მარელისიდან სადგურის პირველ ხაზზე მიიღეს მატარებელი № 110. ამ დროს ძირულიდან მოდიოდა მატარებელი № 109 და მას უკან მოჰყვებოდა კიდევ მეორე მატარებელი № 317. მატ. № 109 მიიღეს მესამე ხაზზე; მატ. № 317 კი უნდა მიეღოთ მეორეზე, მაგრამ მეისრემ შეცდომით ისარი გადაიყვანა პირველ ხაზზე და ამგვარად იგი მიღებულ იქნა დაკავებულ ხაზზე.

მოხდა დაჯახება.

დაჯახების გამო უმნიშვნელოდ დაზიანდა ორთავე მატარებლის ორთქლმავლები. დაიმსხვრა ერთი და ლიანდაგიდან გადავარდა სამი ვაგონი.

ყველა ხაზები ძირულისაკენ დაიკეტა და მოძრაობა შეწყდა.

ხაშურიდან გამოიწვიეს დამხმარე მატარებელი.

მატარებლის ქვეშ

სადგ. მცხეთაში მატარებლის ქვეშ მოჰყვა „აზნავთმშენებლობის"-ს ზეინკალი ჩისლოვი. იგი შეახტა დაძრულ მატარებელს. შეხტომის დროს მას ფეხი დაუსხლტა კიბის საფეხურზე და ჩავარდა რელსებში.

ჩისლოვს მატარებელმა გადასჭრა ფეხი.

პირველი დახმარების ადგილობრივ აღმოჩენის შემდეგ დაშავებული გადაგზავნეს თბილისის რკინისგზის საავადმყოფოში.

1 მარტს, სადგ. ძეგვში მატარებელმა № 13 გასრისა ბაგრატ ივანეს ძე სოლოღაშვილი.

შემნახველ სალაროების ერთთვიური

ახალი მეანაბარენი და ანაბარები

შემნახველ სალაროების ერთ-თვიურის კამპანიასთან დაკავშირებით, საქართველოს შემნახველ სალაროებში 1-დან—7 მარტამდე შეტანილ იქნა ახალი ანაბარები 90.000 მანეთამდე და სალაროებში ჩაეწერა 2500-ზე ახალი მეანაბარე.

ხანძრის საქრობი აპარატის გამოცდა

19 მარტს, ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში შესდგა ახლად გამოგონებულ ხანძრის საქრობ აპარატის „პიონერ"-ის საჯარო გამოცდა. გამოცდას დაესწრნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, თბილისის მეხანძრეთა რაზმის, თბილისის ტრამვაის და საბინაო კოოპერაციის წარმომადგენლები, ქალაქის კომენდანტი და სხვა დაინტერესებული დაწესებულებებისა და უწყებების წარმომადგენლები.

ცეცხლის საქრობი აპარატის გამოცდისას, ცეცხლი წაუკიდეს ხის ჭურჭელში ჩასხმულ ბენზინს, ნავთს და მაზუთს. ამოვარდნილი ალი აპარატის საშუალებით ჩაქრობილ იქნა რამდენიმე წამის განმავლობაში, ისე რომ ცეცხლს ჭურჭლისათვის ზიანი არ მიუყენებია. შემდეგ ბენზინ ნარევი ნავთი გადაასხეს ხის ფიცრისაგან გამზადებულ დიდ ფარს და გაუჩინეს ცეცხლი. გაღვივებული ხანძრის ჩაქრობა მოხერხდა რამდენიმე წუთში.

აპარატის გამოცდის შემდეგ სპეციალურმა გამომგონებელმა კომისიამ შეადგინა აქტი, რომლითაც აპარატი მოწონებულია, როგორც ხანძრის საქრობი ყველაზე უკეთესი საშუალება.

აპარატის გამოცდა მოაწყო პროლეტარულ სასპორტო საზოგადოება „დინამოს" ბჭომ, რომელსაც მინდობილი აქვს აღნიშნული აპარატების გავრცელება მთელ ამიერკავკასიაში.

ფიზკულტურა და სპორტი

ბაქო—თბილისი

17 მარტს ბაქოელ ფიზკულტურნიკებს უკანასკნელი შეჯიბრება ჰქონდათ თბილისელებთან. ფეხბურთის შეჯიბრებაში გამარჯვება ხვდა სტუმრებს, თამაში დამთავრდა 2:1. ბაქოელების წინააღმდეგ თამაშობდა პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროს გუნდი.

მეტად საინტერესო გამოდგა კალათბურთელების შეჯიბრება. ბაქოელების წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდი, რომელმაც თბილისის პირველობა აიღო შემოდგომის სეზონში.

თამაში დამთავრდა 47:24 თბილისელების გამარჯვებით.

ფეხბურთის სეზონის გახსნა

ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონი გაიხსნება კვირას, 7 აპრილს. წელს, როგორც წინა სეზონშიაც, პირველობის გათამაშება იწარმოებს ცალკე კატეგორიების მიხედვით.

სომხეთის ფეხბურთელების ჩამოსვლა

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა სომხეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ჩაატარებს აქ ორ შეჯიბრებას. სტუმრებთან ითამაშებს პროფკავშირის გუნდი და „დინამო"

შეჯიბრებები გაიმართება 23 და 24 მარტს „დინამო"-ს სტადიონზე.

საქალაქთაშორისო შეჯიბრებები გაზაფხულზე

თბილისის პროლეტარულ სასპორტო საზ-ბა „დინამომ" თბილისში მოიწვია ამხანაგურ შეჯიბრებებზე ბაქოს, ბათომის, ოდესის, ნიკოლაევის და სხვა ქალაქების „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები.

შეჯიბრებები გაიმართება აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 21 მარტი

რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა—გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 22 მარტი

პარასკევს, თბილისის რადიო-გადაცემები პარასკევს, თბილისის რადიო-გადამცემი სტქტორი 1075 მეტრიან ტალღაზე გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერისა და მოწაფის საათი სომხურ ენაზე. საუბარი ციკლიდან „მოსავლიანობის გადიდებისათვის"—„წყალთა მეურნეობის ათდღიური,"—რუსულ ენაზე. რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე. გაზეთი „ენი კენდ" რადიოთი—თურქულ ენაზე. მოხსენება „წიგნი მასებს"—ქართულ ენაზე. საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე—„ტანთსაცმელი და ჯანმრთელობა"—ქართულ ენაზე. დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი. კომკავშირის რადიო-გაზეთი — რუსულ ენაზე. რადიოს მეგობარის საათი (ტეხნიკური კონსულტაცია). ტრანსლიაცია კონცერტისა ბაქოდან „აღმოსავლური მუსიკა". უკანასკნელი ამბები. მორზეს ანბანი ქართულ ენაზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ხუთშაბათს 1 მარტს დღის სრულ 12 საათზე გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 66) ამხ. თარხანოვთან.

ალექსანდრე სიმონის ძე კულიშოვი, ივანე ალექსის ძე სპირიდონოვი, მარტინ მკრტუმის ძე კარაგეზიანი, ალექსანდრე ვლადიმერის ძე პოლიაკოვი, ასტღიკ ნიკიტას ასული არიზაჯიანი, ვართან კარაპეტის ძე მარქარიანი.

—:—

დღეს 21 მარტს დღის პირველ საათზე შესდგება სახ. უნ. სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა კომკავშირის უჯრედის ბიუროებთან ერთად.

სხდომა შესდგება ბიურო კოლექტივში.

საქ. სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედის კრება შესდგება დღეს 21 მარტს საღამოს 8 საათზე აუდ. № 6. წევრკანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 21 მარტს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. მე-2-რე უჯრედის ბიუროს სხდომა, რომელზედაც წევრ-კანდიდატების გარდა უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

თბილისის სახ. უ—ტის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს აგრონ. ფაკ. მესამე და მეოთხე კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრკანდიდატებს გამოცხადდნენ დღეს 21—მარტს საღამოს სრულ 6 საათზე აგროფაკის შენობაში.

თბ. სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი დღეს 21 მარტს სრულ 12 საათზე იწვევს ორგთათბირს.

უჯრედების პ. მდივნების და ტეხნიკურ მდივნების და საწარმოო უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ დ. ნარიმანაშვილი, კ. გასპარიანი, სულხო, ფ. ბერიშვილი, ზ. გეგეშიძე, ა. ჰუმბურიძე, ვ. მაღრაძე, გრ. კარანაძე, გ. სანაძე, შ. ბარამიძე, კაკაბაძე, დასწრება შეუძლია დაინტერესებულ ამხანაგებსაც აქტივიდან.

ლენინრაიონის მ. გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ 21 მარტს საღამოს 6 საათზე შესდგება სადელეგატო კრების მეცადინეობა: პირველი ჯგუფის—პლეხანოვის სახ. კლუბში, მეორე—რკინის გზის სამმართველოში, მესამე—ძერჟინსკის სახ. კლუბში მეოთხე —რკინის გზის სამმართველოში.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ, შვილები: მარგარიტა, ივანე და გიორგი, რძლები: ნინა და ნუცა, შვილიშვილები: ალექსანდრა, ნოდარ და თამაზ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ძ დაუვიწყარი

გიგო ნიკოლოზის-ძე დიდია

დაკრძალვა კვირას 24 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალ. ფოთში ადგილობრივ სასაფლაოზე. (შ)

დაი დარიკო მეუღლე ბენედიქტე ჩიქობავათი, შვილი გოგით ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სამკურნალო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტის

მარგარიტა (მარგო) მიხეილის ასული თინიკაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ყ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან, 21 მარტს, 4 ს. 925

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მათ რიგებს უდროოდ გამოაკლდა ძვირფასი ამხანაგი

მარგო მიხეილის ასული თინიკაშვილი

გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან დღეს 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 928

ღრმად დამწუხრებული გიორგი ნიჟარაძე, ვაჟია დარახველიძისა და ეკატერინა არონიშიძისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 19 მარტს უეცრად გარდაიცვალა პირველი მამა და მეოხეთა ძმა

ივანე ბეროს-ძე ნიჟარაძე

სამიქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, (გოგოლის ქ. № 23). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 933

თბილისის ქალაქის სასაკლაოს მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 19 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე დაწესებულების თანამშრომელი

ივანე ბესარიონის-ძე ნიჟარაძე 924

დედა ელენე კალანდაძისა შვილებით: ლადო, ვალიკო, ქეთო და მარო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დისშვილის გრიშა გურგენიძის ერთად ერთ ბიჭიკოს

პატარა გივის

უდროოდ გარდაცვალებას. 909

თავზარდაცემული ალექსანდრა ბოკერია-გურგენიძისა ძ გრიშა გურგენიძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს თავისი ერთად-ერთი შვილის

გივის

დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ბინიდან—მელიქიშვილის (ყოფ. წყნეთის) 1-ლი ჩიხი № 3. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 908

ღრმად დამწუხრებულნი: ოლღა, ირაკლი, ტიტიკო, ოიია, ვალიკო, ანეტა და პატარა კაკი გურგენიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი უძვირფასესი

გივი გურგენიძის

გარდაცვალებას. 908

ანეტა და სევერიანე ბოკერია შვილებით: ნინა, მარო, ვერა, ანტონინა, მამია, ირაკლი და ანატოლი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი შვილიშვილის ძ დისშვილის

გივი გურგენიძის

დაკარგვას. 908

ნინა და მარო ბოკერიები, ლიზა სარჯველაძე, ქიტია მაქაცარია; ევპრაქსია რამიშვილი, ლადო ანთაძე, ფელიქს ხარაზიშვილი და იასე შაქარიშვილი იუწყებიან მათი საყვარელი

გივიკო გურგენიძის

დაკარგვას. 908

ახლო მეგობრები ქსენია ბიბინეიშვილი, ქეთო რამიშვილი, ევპრაქსია რამიშვილი, საშა გრატიაშვილი, პავლე ცინცაძე და სიმონ შონია მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს შურა და გრიშა გურგენიძის საყვარელი ბიჭიკოს

პატარა გივის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 21 მარტს, 4 საათზე. 913

დამწუხრებულნი: სიძე ალექსანდრე სურგულაძე მეუღლე ანეტათი; მიშა ხომერიკი თავის ოჯახობით ძ ცოლისძმა არტემ კარსანიძე თავის მეუღლით აუწყებენ საზოგადოებას

სილოვან (ისიხო) სამსონიას

უეცრად გარდაცვალებას. 923

თბილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი საყვარელი ამხანაგის, ძველი რკინის გზელის

სილოვან (ისიხო) გაბრიელის-ძე სამსონიას

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 საათზე. 927

მე-9 შრომის სკოლის დამხმარე კომიტეტი, მასწავლებელთა კორპორაცია და მოსწავლენი მწუხარებით იუწყებიან დამხმარე კომიტეტის წევრის

სილოვან (ისიხო) გაბრიელის-ძე სამსონიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 მარტს. მშობლები, მასწავლებლები და მოწაფენი გროვდებიან ამ დღეს 14 ნახ. საათზე სასწავლებელში, საიდანაც მოხდება გამგზავრება მიცვალებულის ბინაზე. 926

ა.-კ. რკინის გზის მოძრაობის დარგის მე-2 განყოფილების სათადარიგო აგენტები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ ამხანაგ

სილოვან გაბრიელის-ძე სამსონიას

უეცრად გარდაცვალებას. 921

ა.-კ. რკ. გზ. მოძრაობის დარგის მე-2 განყოფილების მუშა-მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 17 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე დარგის ძველი თანამშრომელი

სილოვან (ისიხო) გაბრიელის ძე სამსონია

გამოსვენება რკინის გზის სახლიდან № 1, 21 მარტს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 922

უზომოდ შეწუხებულნი ძმები: რევაზ და გიორგი და რძლები: ბარბარე, მარიამი და მარუსა უთნელიშვილები აუწყებენ ნათესავებს და მახლობლებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და

მარიამ ივანეს ასული უთნელიშვილი

გამოსვენება ხუთშაბათს, 21 მარტს, 3 ნახ. საათზე, მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის). 2—2 886

გიორგი მიხეილის-ძე თაქთაქიშვილი აუწყებს ნათესავებს და მახლობლებს, რომ გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი

მარიამ ივანეს ასული უთნელიშვილი

გამოსვენება დღეს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის). 887

ქალაქთაშორის ტელეფონით შემაერთებლობის თბილისის კვანძის მუშაკები აუწყებენ საზოგადოებას მათი დაწესებულების ყოფილი თანამშრომლის სასიქადულო ადამიანის

მარიამ ივანეს ასული უთნელიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 634

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ლაზარე, შვილები: გიორგი, აბესალომ, თეოდორე, კასიანე, კალენიკე, შაშიკო, ამინადარი; შვილიშვილები: ვლადისა, პოლიკარპე, ნინა და პიპიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის ძვირფასი

ელისაბედ მესხის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 23 მარტს, სოფელ ბზვანში. 923

რუსთაველის თეატრი

2—2 ნ. 2412

ხუთშაბათს 21 მარტს

„უდეგა" გ. როგაქიძის
დრამა 4 მოქმ.

დადგმა: ალ. ახმეტელის ძ შ. აღსაბაძის მხატვ.: ირ. გამრეკელი.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში.

სახელმწიფო აკადემიური ოპერის თეატრი

ნ. 2393 2—2

ქუთაის-ბათომის ქართული დრამის თეატრი

კ. ა. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

იწყება ბილეთების გაყიდვა პირველ 3 წარმოდგენაზე
(აბონემენტის გარეშე)

ხუთშაბათს, 4 აპრილს **ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ**
ერნსტ ტოლერის დრამა—კინო რადიო 4 მოქ. თარგ. ბ. ჟღენტის

კვირას, 7 აპრილს **ლიანდაგი გუგუნებს** —ვ. კირშონის
დრ. 4 მოქ. თარგმანი ს. ჩიქოვანის

ხუთშაბათს, 11 აპრილს **ცხვრის წყარო** —ლოპე-დე-ვეგასი
პიესა 3 მოქმ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე (ორშაბათების გარდა) 10—2 საათ. და 6—9 საათამდი დაწვრილებით აფიშებში ნ. 2414

სახელმწიფო კინოები

განთიადი	მხატვრული ფილმი **მისი გზა**
სოლეი	მხატვრული სურათი **ქარიშხალი** სოლნცევას, ზამიჩკოვსკის და სხვ. მონაწილეობით
არფასტო	სეზონის საუკეთესო კომედია
ვალახი	**დედოფალა**
მინიონი	**მილიონებით** იგორ ილინსკის, გ. კრავჩენკოს, ა. ვოიციკის, ფოგელის და სხვ. მონაწილეობით.
აპოლო	დუგლას მაკ-ლინ ახალ კომედიაში **წარმადგინეთ**
დარბაზი	**სალამანდრა**
პროლეტარი	**ღრუბლების თავშესაფარი**

კვირას დღის სეანსები სოლეიში და განთიადში

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ შაბათს 23 და კვირას 24 მარტს დილის 11 საათზე სასახლის ქ. № 3

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება: ბუფეტები, გარდერობები, საწოლები, კამოდები, ხალიჩები, ფარდაგები, სარკეები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 2416

იყიდება

კოსტა ხვიჩიას ძე პილასონიას სეული

სახლი

ქ. ზუგდიდში, შაუმიანის ქ. № 14 ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

0—5 გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა

თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად საქართველოს

ყრილობა

გაიხსნება ქ. თბილისში ა. წ. 4 აპრილს საღამოს 6 საათზე

დღის წესრიგი:

1) საანგარიშო მოხსენება პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.
2) თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო მუშაობა (მომხ. ამხ. გიორგაძე)
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა სოფლად.
5) არჩევნები.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმი.

გაზეთ „კომუნისტი"-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ

ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში

აპრილის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ.

მარტის დამლევამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ აპრილიდან შეწყვეტილი იქნება.

პროვინციის წლიური ხელისმომწერლებმა აპრილის მორიგი გადასახადი 1 მან. 50 კ. მთლიანად, ფოსტის ხარჯების გამოუკლებლივ, აუცილებლივ უნდა გამოუგზავნონ მთავარ კანტორას თბილისში (რუსთაველის პრ. № 34) იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელმა იგი მიიღოს აპრილის 1-მდე წინააღმდეგ შემთხვევაში—1-ლ აპრილიდან მათაც შეუწყდებათ გაზეთ „კომუნისტი"-ს გზავნა. იმ პირთ, რომელთაც უკვე შეუწყდათ გაზეთების გზავნა—მარტის თვის მორიგი გადასახადის შემოუტანლობის გამო, გაზეთი გაეგზავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარტისა და აპრილის თვეების გადასახადს (3 მ.) შემოიტანენ ერთდროულად.

0—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

ლორთქიფანიძე

აცხადებს, რომ ამ 22 მარტს 1929 წ. დღის 10 საათზე სახლში № 9 ჟორესის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. კერესელიძის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სკამებს, ქვაბებს და სასადილოს სხვა მოწყობილობას შეფასებულს 284 მანეთად, საზ. კვების კავშირის 648 მან. ვალის დ საკმაყოფილებლად თანახმად შრომის სახ.კომისარიატის სახალხო სასამართლოსაგან 15 მარტის 1929 წ. თარიღით, № 2366 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 917

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

კ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

კინო **სოლეი**

დღეიდან გმირული ფილმი

ქარიშხალი

(შუქურა შავ ზღვაზე)

რეჟისორი ი. დოლინა
ოპერატორი ნ. გუდიმა
მთავარ როლებში
ი. სოლნცევა დამსახურებული
არტისტი ი. ზამიჩკოვსკი
ა. კლიმენკო და სხვ.

ანონსი: მალე **პატი არისტოკრატი**

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—1

ექიმი

დავით მანუჩარის-ძე თოფურია

განაახლებს ავადმყოფების მიღებას ქალ. ბათომში ჯორჯიაშვილის ქ. № 1

მიღება დილის 9—11
საღამოს 5—8

ქალებისათვის ძ ბავშვებისათვის განცალკევებით. 835 13—4

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

მიღება: დილის 7—8 ნახ.
საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

კალინინის ქუჩა № 33
(ყოფ. ნიკოლოზის)

ექ. ი. დ. თოფურიძე

კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეიის გართულებები)

მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ.
ქალები 10—11 დილით

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ მესანგრეთა ქ.) ყოფ. კადეტის კორპუსის უკან. 25—

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 6. 25—9

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს. .——ს.— საღ. 6 8 [illegible] 25

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა

აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

პონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ.
საღამოს 7—8 საათ.

გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელის, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარგარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ა·1

თმის მკურნალობა

ვ. ი. დანილევსკაიას

საექიმო კოსმეტიკა

ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

ქ. ქუთაისი
ექიმი

ი. ხ. შველიძე

კანის ძ ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914", ტრიპერის ძ მისი შედეგების მკურნალობა)

მიღება: დილის 8—9 საათამდე
საღამ. 7 ნახ.—9 საათ.

ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდი

მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14

25—3 806

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების ძ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 412 25—1

დაიკარგა: საპენსიო წიგნაკი № 6039 გაცემული სოცდაზღვევის კომიტეტის მიერ ვასილ ბათოს ძე გოგრაჭაძის სახელზე, ჩ. გ. 931

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 77 სევერიან გაზოშიძის სახელზე, ჩ. გ. 929

დაიკარგა: პროფ-კავშირის საწევრო წიგნაკი № 22079 ვასილ კოპალიანის სახელზე, ჩ. გ. 924

დაიკარგა: მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 33727 ლავრენტი მოგელაძის სახელზე, ჩ. გ. 929

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 0868373 რუბენ ლილავას სახელზე, ჩ. გ. 911

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 101298, დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 11 მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 9607, ეფრემ ქერდიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 912

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ნიკოლოზ ივანესძე თევზაძის სახელზე, ჩ. გ. 918

დაიკარგა: პასპორტი და შრომის ბირჟის აღრიცხვის ფურცელი ხაიმ მიხეილის ძე დავარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 920

დაიკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 8843 ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძის სახელზე, ჩ. გ. 919

დაიკარგა, დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 187 ლაზო ხუციშვილის სახელზე, ჩ. გ. 916

დაიკარგა: „ზაქტპო"-ს წიგნაკი № 21219 თედორე დიმიტრისძე შავლაძეს სახელზე, ჩ. გ. 904

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 27528 ლიუბა ვაჩნაძეს სახელზე, ჩ. გ. 914

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ანთიმოზ სპირიდონის ძე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ 907

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 16842 ალექსანდრე ანტონის ძე ნაკაიძეს სახელზე, ჩ. გ. 906

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 7695 ელენე ერმალოზის ასულ ცხომელიძის სახელზე ჩ. გ. 904

დაიკარგა: კოოპერატივის წიგნაკი აკაკი ბაბუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 905

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 25678 პოლიევქტ გაგოშიძის სახელზე, ჩ. გ. 930

დაიკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 22422 ივანე კასრაძის სახელზე, ჩ. გ. 901

ტირაჟი—38.943
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904